პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
9 აპრილი **ოთხშაბათი** 2014
№ 067 (14 288) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

80 აპრილში ლელო იუბილარია

# ბაჰ! ჩელსი გავიდა

## დორტმუნდმა მაგრად იბრძოლა, მაგრამ...



პირველი ნახევარფინალისტები:
## ჩელსი და რეალი

16

# დღეს

ნახევარფინალების წინათქმა

## გაუძლებს ატლეტიკო ბარსელონას?

## მიუნხენში დიდი ომი იქნება

UEFA CHAMPIONS LEAGUE



8-9



2

დინამო-დილა 1:0 — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# სათასო ლოგიკა

## განმეორდება შარშანდელი ფინალი? დინამომ და ჩიხურამ პირველი ნაბიჯი გადადგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი

# რევაზ ჩელებაძე: ოცნებას დავემშვიდობე

08.04. ქობულეთი. ჩელე არენა
უმაყურებლოდ

| | |
|---|---|
| შუქურა | 1 |
| ჩიხურა | 2 |

1:0 ბაჯელიძე (12. ჩელებაძის პასით), 1:1 (63. ჯილაურის პასით), 1:2 დეკანოიძე (71).

შუქურა:(4-2-3-1): კოტრიკაძე, ტაკიძე, მალანია, ბაჯელიძე, შეროზია (80. კომახიძე), გოლიხინი, კალანდაძე, ლობე (75. ზ. ტულუში), ჩელებაძე (69. ჩალაძე), კუტალია, კოპალიანი

*სათადარიგოები: ქათამაძე, ცენტერაძე, მამულაძე, ჭკუასელი*

მთავარი მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

ჩიხურა (4-2-3-1): თევდორაძე, ოდიკაძე, ლ. ჭელიძე, შ. კაშია, ჩიკვაიძე, ხმალაძე, ქიმაძე, ნ. კვასხვაძე (65. ნინამძღვრიშვილი), ჯილაური, გაბედავა, დეკანოიძე

*სათადარიგოები: სომხიშვილი, ე. გრიგალაშვილი, ლომაშვილი, დათუნაიშვილი, ბექვაია, ს. ლომია*

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: ბაჯელიძე (39), მალანია (85).

არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)

ქობულეთის "შუქურამ" ისტორია უკვე გაილამაზა. პირველი ლიგის გუნდმა დავით ყიფიანის სახელობის თასის 1/2-ფინალამდე მიაღწია, გზიდან კი უმაღლესი ლიგის ორი წარმომადგენელი ჩამოიშორა, თბილისის "ვიტ ჯორჯია" და მარტვილის "მერანი".

ეს უკვე მიღწევა იყო. მაგრამ ოცნებას ვინ მოუკლავს და ქობულეთელებიც თასის ფინალში გასვლაზე ოცნებობდნენ. თუმცა, გამოცდილმა მეტოქემ მათ იმედებს ცივი შხაპი გადაასხა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა, რომელიც ქობულეთისთვის მოვლენა უნდა გამხდარიყო, გუნდმა ცარიელი ტრიბუნების წინაშე ჩაატარა. მიზეზი არახალია: პირველ ლიგაში უშუალო კონკურენტ ფოთის "კოლხეთთან" მატჩის შემდეგ, ადგილობრივმა გულშემატკივართა ნაწილმა სტუმართა მხარდამჭერები შეურაცხყვეს და ავტობუსზე მინები ჩაუმსხვრიეს. ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა "შუქურას" მშობლიურ "ჩელე არენაზე" მატჩის უგულშემატკივროდ ჩატარება მიუსაჯა.

რა თქმა უნდა, ეს სასჯელი იყო. თუმცა, მასპინძელთა ფანებმა გამოსავალი მაინც იპოვეს, სტადიონის კედლებზე შემოსკუპდნენ და იქიდან დასცხეს ყიჟინა. "შუქურამაც" შეხვედრა შემართებით დაიწყო, მაგრამ თავდაპირველად მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევა სტუმრებმა განახორციელეს. ორჯერ სახიფათოდ შეუტია **ნიკა კვასხვაძემ**: პირველად ბურთი კარს ააცილა, მეორედ კი "შუქურას" მეკარე **ამირან კოტრიკაძემ** საიმედოდ ითამაშა.

მასპინძლებმა კი პირველივე სახიფათო შეტევა გოლით დაასრულეს: მარჯვენა ფლანგიდან ჯარიმა **გიორგი ჩელებაძემ** შეასრულა, საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს პირველად **აჩიკო ბაჯელიძე** შეწვდა და თავური დარტყმით ანგარიში გახსნა – 1:0.

წარმატებით შეგულიანებულ "შუქურას" სტუმართა კარის აღება მე-16 წუთზე კიდევ ერთხელ შეეძლო. საჩხერელებს შეტევის მოგერიება გაუჭირდათ, ქობულეთელებმა კარში სამჯერ დაარტყეს, მაგრამ ორჯერ ბურთს მცველები გადაეფარნენ, ბოლოს კი **მაქსიმ გოლიხინმა** კარს ააცილა.

ამის შემდეგ, მოულოდნელად, ორივე გუნდი ისე მოეშვა, ერთი და იგივე შეძახილი რამდენჯერმე გაისმა - "გაიღვიძეთ!". ჯერ "შუქურას" მთავარი მწვრთნელი **ბესიკ შეროზია** შეეცადა თავისიანთა გამოფხიზლებას, შემდეგ კი თანაგუნდელებს "ჩიხურას" მეკარე **რევაზ თევდორაძემ** და კაპიტანმა **დავით ოდიკაძემ** შემოსძახეს. მაგრამ მეტოქეები ტაიმის ბოლომდე მაინც ინერტულად გამოიყურებოდნენ.

მეორე ნახევარში მხოლოდ "ჩიხურა" გამოცოცხლდა და წონასწორობა აღადგინა: მარცხენა ფლანგიდან **ჯაბა ჯილაურმა** შეტევა საჯარიმოში **გიორგი გაბედავას** გაუგრძელა, რომლის დარტყმაც მეკარემ მოიგერია, მაგრამ ბურთი მაინც სტუმრებს დარჩათ, მარცხენა ფლანგიდან ამჯერად **ლაშა ჩიკვაიძემ** ჩაკიდა, გაბედავამ კი მცველსა და მეკარეს დაასწრო და ზუსტად დაარტყა – 1:1.

"ჩიხურამ" კიდევ უფრო მწვავედ შეუტია და 71-ე წუთზე დაწინაურდა კიდეც: მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოსკენ **ბესიკ დეკანოიძე** დაიძრა, მცველებს ხელი არ შეუშლიათ და კარში ძლიერად დაარტყა, მეკარე კოტრიკაძეც შეცდა და ბურთი ბადეში ჩაეხვა – 1:2.


რევაზ ჩელებაძე

ქობულეთელებმა ფარ-ხმალი მაინც არ დაყარეს. 72-ე წუთზე ისეთი მძლავრი შეტევა განახორციელეს, ვალდებულიც იყვნენ, ანგარიში გაეთანაბრებინათ: ფლანგიდან ჩაკიდებულ ბურთს მიმართულება კვლავ ბაჯელიძემ შეუცვალა, მაგრამ "ჩიხურას" მეკარე **რევაზ თევდორაძემ** ბურთი "ცხრიანიდან" მოხსნა. შეტევა გაგრძელდა და მეორედ კარს უკვე **მერაბ კოპალიანი** დაემუქრა, მაგრამ ბურთს მცველი გადაეფარა და სტუმრები აშკარა გოლისგან იხსნა.

ეს იყო და ეს. ქობულეთელებმა კი გაიბრძოლეს, მაგრამ ბოლოს აშკარად გადაიღალნენ, პლუს, მათი ლიდერი გიორგი ჩელებაძე დაშავდა, შეცვალეს და "შუქურას" ფეხბურთელთა ენთუზიაზმიც დაცხრა. ცხადია, მათზე გავლენა მეტოქის თამაშმა იქონია. "შუქურამ" დაცვა გააშიშვლა, საჩხერელებმა კი რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს. "ჩიხურას" უპირატესობის გაზრდა სამჯერ შეეძლო გაბედავას, მაგრამ ამ შესაძლებლობებით ერთხელაც ვერ ისარგებლა.

საბოლოოდ, "ჩიხურამ" სტუმრად 2:1 გაიმარჯვა და თასის ნახევარფინალის განმეორებით შეხვედრამდე (რომელიც 23 აპრილს ივანწმინდაში გაიმართება) დიდი უპირატესობა მოიპოვა.

*"ოცნებას დავემშვიდობე. ერთი მხრივ, კარგიც არის, ახლა პირველი ლიგის დარჩენილ შეხვედრებს მივხედავთ და უმაღლესში გადასასვლელად უფრო დამშვიდებულად ვიბრძოლებთ"* – ეს სიტყვები მატჩის შემდეგ "შუქურას" პრეზიდენტმა **რევაზ ჩელებაძემ** გვითხრა, რომელიც იმედგაცრუებული კი იყო, მაგრამ ამავე დროს, სიამაყეც ეტყობოდა – მისი პატარა ქალაქის გუნდი ხომ თასზე ასე შორს არასოდეს გასულა, ქობულეთისთვის კი ესეც მიღწევაა.

**მერაბ მამულაშვილი**
ქობულეთი-თბილისი

# ფინალი გორში გამოჩნდება

08.04. თბილისი. დინამო არენა.
1500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) | 1 |
| დილა | 0 |

1:0 მარცვალაძე (45. ჩისკოს პასით)

დინამო (4-2-3-1): ლორია-ხურცილავა, რეხვიაშვილი, ხიდეშელი, კვირკველია - ცინცაძე, ძარია - ჩისკო (80. ჯანელიძე ), მოდებაძე (75. პაპუნაშვილი ), გლიშიჩი (46. მერებაშვილი) - მარცვალაძე

*სათადარიგოები: მიგინეიშვილი, გორგიაშვილი, პაპავა, გოგა*

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

დილა: (4-5-1) ლეგაშვილი-კობახიძე (60. გურ. გურეშიძე), ო. ხიზანეიშვილი, კვახაძე, ორბელაძე - სადალაშვილი (46. ნ. ჯიშკარიანი), რაზმაძე, კოშკაძე (74 ხოჯავა), ბოლქვაძე, შალამბერიძე - ბერიაშვილი

სათადარიგოები: შეყრილაძე, რაჟამაშვილი, ნიქარიძე, გ. ქვილითაია.

მწვრთნელი: გია გიგატაძე

გაფრთხილება: ძარია (52), რაზმაძე (79), გურეშიძე (85)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია


ოთარ მარცვალაძემ (შუაში) კიდევ გაიტანა — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ჩემპიონატში ორივე გუნდს საქმე ფაქტობრივად მომთავრებული აქვს — სასწაული თუ არაფერი მოხდა, „დინამოს" ჩემპიონობას ვერც წლეულს შეეცილებიან; „დილა" კი ქვედა ექვსეულში არის არხეინად, გასავარდნთა ზონას გვარიანად დაშორებულია და ევროსარბიელის საგზურს მხოლოდ საქართველოს თასზე წარმატება თუ მოუტანს. მოკლედ, „დინამო"-„დილას" ნახევარფინალური წყვილი საინტერესო მატჩებს გვპირდებოდა და ორიდან ერთი ასეთი თბილისში უკვე ვნახეთ. ანგარიშიც ისეთი დაფიქსირდა, საპასუხო მატჩს სერიოზულ ინტრიგას რომ სძენს. თანაც ნუ დავივიწყებთ, „დილა" საქართველოს თასის შარშანწინდელი მფლობელია, „დინამო" — შარშანდელი.

გუშინაც, „დინამოს" ყველა ის საგოლე მომენტი წარმატებით რომ დაესრულებინა, რომელიც **დავით ლეგაშვილის** კართან შესვენების შემდეგ შექმნეს, ერთი ფინალისტის ვინაობა შესაძლოა თბილისშივე გარკვეულიყო.

შესვენებამდე კი მოედანზე მაინცდამაინც საინტერესო არაფერი მომხდარა... თუმცა მეტი რალა უნდა მომხდარიყო, როცა მატჩის ერთადერთი გოლი სწორედ 45-ე წუთის ბოლოს ვნახეთ. ხოლო იქამდე ფეხბურთელებს ერთმანეთის კარში ერთხელაც არ დაურტყამთ, მატჩს ტიპური სათასო შეხვედრის ელფერი დაჰკრავდა. „დინამო" შინ თამაშობდა და ცხადია, მეტად ფრთხილობდა. ამიტომაც იყო, რომ გორელებმა მასპინძელ მეტოქეს ერთი-ორჯერ მწვავედ შეუტიეს, მაგრამ ვერაფერს გამორჩნენ. გამოცდილმა **ალექსანდრე კოშკაძემ გიორგი ლორიას** კარს ერთხელ საკმაოდ ააცილა, მეორედ კი **გიორგი ბერიაშვილს** გაუცუდდა დარტყმა, არადა, ბურთი კარგად მიიღო. ტაიმის ბოლოს კი „დინამოს" ორი მთავარი დამრტყმელი ძალის — **ჩისკოსა** და **ოთარ მარცვალაძის** ჯერი დადგა. ერთმა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, ხოლო მეორემ კარისკენ ზურგით მყოფმა ისეთი თავური დაარტყა, ბარე ორს რომ შემურდებოდა — მარცვალაძის დარტყმული ბურთი კარის შორეულ კუთხეში ჩაეშვა. აქვე ვთქვათ, რომ ეს საქართველოს ჩემპიონატში რუსეთიდან მობრუნებული მარცვალაძისთვის ზედიზედ მეოთხე გოლი იყო. შესვენებაზე ერთი შეცვლა **მალხაზ ჟვანიამ** გააკეთა, ერთიც - **გია გიგატაძემ**. ორივე მწვრთნელმა ფლანგები გააძლიერა. „დინამომ" საქმეში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი მერაბაშვილი** ჩართო, ხოლო „დილამ" თბილისელთა გუნდის უფროსის შვილი - **ნიკოლოზ ჯიშკარიანი**. ტაქტიკური თვალსაზრისით მოედანზე ბევრი არაფერი შეცვლილა, აი, ტემპსა და სიმწვავეს კი მეტოქეებმა აშკარად უმატეს. თამაშიც ახალგანახლებული იყო, როცა გოლს „დინამო" გადაურჩა. მასპინძელთა საჯარიმოს მისადგომებთან დანიშნული ჯარიმიდან **ოთარ ხიზანეიშვილმა** ბურთი კოშკაძეს დაუგორა, რომელმაც ლორიას ახლოდან დაურტყა — მეკარე ბურთს ადგილზე. რამდენიმე წუთში ისევ ბერიაშვილი აღმოჩნდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ მცველებმა აღარ დაარტყმევინეს. ეს იყო და, თითქოს დაბნეული „დინამოც" გამოფხიზლდა და მეტოქეს ისეთი შეუტია, ალალი იქნებოდა, გორში კიდევ ერთი-ორი გოლით ზურგმომაგრებული წასულიყო. თბილისელებს არ გაუმართლათ, როცა **გიორგი რეხვიაშვილის** თავური გორელთა კარის ხარიხამ აისხლიტა; თბილისელებს არ გაუმართლათ, როცა **ირაკლი ძარიას** დარტყმულზე ლეგაშვილმა სასწაულებრივი რეაქცია გამოავლინა და ბურთი კუთხურზე მოიგერია; მასპინძლებს არც მაშინ გაუმართლათ, როცა ჩისკომ ვერ დაუმიზნა კარს და იღბალი მარცვლაძის დარტყმულის დროსაც გორელთა მხარეს დარჩა. თითმის 20 წუთი ბურთი მოედნის „დილას" ნახევარზე დაგორავდა, კარის ხაზს იქით კი მასპინძლებმა ვერაფრით გადააგორეს. მატჩის ბოლოსკენ გორელებმა ერთიც გაიბრძოლეს, მაგრამ ხეირი ვერ ნახეს. თუმცა „დილას" წინ კიდევ 90 საშინაო წუთი აქვს. გორელთა მწვრთნელს ერთი გუნდი თასის ფინალში უკვე ჰყავს გაყვანილი და ეჭვი გვაქვს, უარი „დილას" ფინალში თამაშზეც თქვას. ვნახოთ, რა იქნება, გორში ფრიად სერიოზული და თვალსასეირო ბრძოლა უნდა იყოს.

**კობა ინასარიძე**


სახიფათო მომენტი დინამოს კართან — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ბოლნისიანი, ანუ ლანჩხუთში ფეხბურთელებმა იომეს: მოედანზეც და გასახდელშიც!

08.04. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე
1 000 მაყურებელი

გურია **1**
სიონი **2**

0:1 კახელიშვილი (22), 1:1 ისიანი (41), 1:2 სამხარაძე (54. კახელიშვილის პასით)

გურია (4-2-3-1): ბობლიაშვილი - ძამსაშვილი (20. ნ. კილაძე), ჭეიშვილი, ქურდაძე, მეგრელიშვილი - ე. კილაძე (57. ნიქაბაძე), ვ. ხორგუაშვილი (85. გაგნიძე) - შენგელია, გაჩეჩილაძე, კვირტია - ვ. ისიანი

სათადარიგოები: გოგუაძე, ზარნაძე, ჭეიძე, თოდაძე

მთავარი მწვრთნელი: დავით მახარაძე

სიონი (4-4-2): მერლანი - ფოფხაძე, სვანიძე, აბრამიძე, თოთაძე - ზ. ლობჟანიძე, ცხადაია, იმედაშვილი, ბიბილეიშვილი (90+3. მამასახლისი) - კახელიშვილი (72. მიკუჩაძე), სამხარაძე (61. უგულავა)

სათადარიგოები: ზუხბაია, ნ. ისიანი, გიორხელიძე

მთავარი მწვრთნელი: ლადო ბურდული

გაფრთხილება: შენგელია (83), ლობჟანიძე (83), ჭეიშვილი (85)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

მატჩის დაწყებამდე „გურიას“ დირექტორის, **კობა მირზაშვილის** ახლახან გარდაცვლილი შვილის ხსოვნას წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი. გემახსოვრებათ, ეს მატჩი ათიოდ დღის წინ უნდა გამართულიყო და სწორედ ნახსენები ტრაგიკული შემთხვევის გამო იყო გადმოტანილი.

შეხვედრის შედეგს ორივე გუნდისთვის ევროსაგზურისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ინტრიგას ისიც მატებდა, რომ ამ სეზონში გურულებმა ორივე თამაში წააგეს ბოლნისელებთან და **დავით მახარაძის** გუნდი რევანშზეც ფიქრობდა. ამასთან, გუნდს საკუთარი მაყურებლის წინაშე რეაბილიტაციაც სჭირდებოდა — „გურიამ“ ხომ ბოლო სამი თამაში წააგო, მათ შორის პირველ ექვსეულში გამართული ორივე შეხვედრა. ქვემოქართლელებმა კი პირიქით, ბოლო სამი მოიგეს და აქედან ორი ექვსეულის სტარტზე.

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ შეხვედრას დაძაბულობა ბოლო წუთებამდე მიჰყვებოდა და თქვენ წარმოიდგინეთ, გასახდელშიც გაგრძელდა!

ალბათ, დამატებითი ინტრიგა იყო „გურიას“ რიგებში ექსსიონელების — **მინდია ბობლიაშვილისა** და **ვილი ისიანის** ყოფნაც, რომლებმაც ამ სეზონში ახალ გუნდში ლიდერების ფუნქციები იკისრეს და ბოლნისელებიც სეზონის წინ მიღებულ გადაწყვეტილებაში, ალბათ, დააფიქრეს კიდეც.

პირველი ტაიმის მიწურულს ისიანმა თავის ყოფილ გუნდს საჯარიმოდან ულამაზესი გოლი გაუტანა და ანგარიშის გათანაბრებით „გურიას“ ფსიქოლოგიური უპირატესობაც მისცა, მაგრამ ლანჩხუთელებმა მისი გამოყენება მეტად ველარ მოახერხეს.

ამ გოლამდე კი ლამის პირველი ხიფათი სტუმრებმა მასპინძელთათვის თითქოს უწყინარ სიტუაციაში გოლად აქციეს: ბობლიაშვილის დარტყმული, თანაგუნდელს მოხვდა, მცველებმა რეაგირება ველარ მოასწრეს და 21-ე წუთზე, „სიონის“ 21-ემ — **გიორგი კახელიშვილმა** საჩუქარი გოლად აქცია, 0:1.

ამას მასპინძელთა შეტევები მოჰყვა — ჯერ **ჭეიშვილის** ჩაწოდებულზე უფრო ადრე შეეძლო გაყაიმება ისიანს, შემდეგ კი **ალექსანდრე შენგელიამ** ბოლომდე იბრძოლა და კარს ცოტათი გადააცილა.

გათანაბრების შემდეგ კი **კვირტიას** ჩამოწოდებულ კუთხურს არავინ გამოეხმაურა, თორემ ამ სეზონში „გურია“-„სიონის“ ქობულეთური მატჩის სცენარი გამეორდებოდა — ოღონდ მაშინ ტაიმის შუაში ანგარიში გურულებმა გახსნეს და ბოლო ხუთ წუთში ორი გოლი ბოლნისელებმა გაიტანეს.

მეორე ტაიმიც საინტერესო გამოდგა. თითქოს დასაწყისში უპირატესობას „გურია“ ფლობდა, მაგრამ კვირტიას, ისიანისა და შენგელიას მცდელობებს „სიონმა“ გოლით უპასუხა: ამჯერად კონტრშეტევის წამოწყებისას შეცდნენ ლანჩხუთელები, გოლის ავტორმა კახელიშვილმა კი **ირაკლი სამხარაძეს** გაატანინა, 2:1.

ამის შემდეგ, ვითარებიდან გამომდინარე, „გურია“ გათანაბრებას, ხოლო „სიონი“ მეტოქის კონტრშეტევაზე დაჭერას ცდილობდა.

ეს კი **ლადო ბურდულის** გუნდს უფრო გამოუვიდა — მისმა შეგირდებმა დაცვაში საიმედოდ ითამაშეს, ხოლო ერთხელ, როცა ბობლიაშვილიც წინ იყო წასული, მოედნის შუაგულიდან საჯარიმოსკენ გაგზავნილ ბურთს თავის ნახევარზე მყოფი ერთ-ერთი ბოლნისელი „გადაეფარა“ და ბურთი „გურიას“ კარისკენ წავიდა — ლანჩხუთელთა მეკარემ სისწრაფეში აჯობა მეტოქესაც და ბურთსაც, რომელსაც კარში შესვლის საშუალება არ მისცა.

ამას **ალექსი კრიჭაშვილის** საფინალო სასტვენი მოჰყვა, რომელმაც წუთების ადრე თანამსაჯების დახმარებით მოახერხა მოედანზე მეტოქე ფეხბურთელების დაშოშმინება.



განევ-გამონევა მოედანზეც იყო და გასახდელშიც



ავტორის ფოტოები

თუმცა ბოლომდე ეს ვერ შეძლო და შეხლა-შემოხლა გასახდელის დერეფანშიც გაგრძელდა. საქმეში კლუბების ხელმძღვანელობა და სამართალდამცველები დროულად ჩაერთვნენ, თორემ დიდი შანსი იყო, ვითარება უმართავი გამხდარიყო. მატჩის ორგანიზატორებმა კი, ზედმეტი პრობლემის ასაცილებლად, სტადიონიდან ჯერ მასპინძლები გაამგზავრეს და მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს სტუმრებს „ევგრაფი შევარდნაძის“ დატოვების უფლება.

### მატჩის შემდეგ

**ლადო ბურდული (სიონი):** „ლანჩხუთს გამორჩეული გულშემატკივარი ჰყავს, რომელიც გუნდის მე-12 მოთამაშეა, „გურიაც“ ტრადიციული გუნდია და აქ მოგება იოლი არავისთვისაა. დღეს ჩვენ ორი მომენტი გამოვიყენეთ, მეტოქემ კი - ვერა. ეს მოგება ევროსაგზურისთვის ბრძოლაში გამოგვადგება. ინციდენტი? ისეთი არაფერი ყოფილა, დაძაბული თამაში იყო და ასეთი რამ ახლავს ხოლმე. ბიჭებმა უკვე ისაუბრეს ერთმანეთთან ტელეფონით და არანაირი პრობლემა არ არსებობს“.

**დავით მახარაძე (გურია):** „მეტოქეს ვულოცავ მოგებას. ჩვენ სერიოზული საკადრო პრობლემები გვაქვს, თამაშის დროსაც დაგვიშავდა მცველი, რომელ ხაზშიც ყველაზე მეტად გვიჭირს. თუმცა, ამით თავს არ ვიმართლებთ. ზედა ექვსეულში მოხვედრით მიზანი შევასრულეთ და ქომაგს ვპირდებით, რომ ბოლომდე ვიბრძოლებთ ყველა შეხვედრაში. „მეტალურგთან“ მოგებას და იმ მცირე შანსისთვის ბრძოლას ვეცდებით, რომელიც ევროსარბიელზე მოსახვედრად გვაქვს“.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

### I-VI ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 25 | 17 | 4 | 4 | 56 | 18 | 55 |
| 2 | ზესტაფონი | 25 | 14 | 4 | 7 | 33 | 16 | 46 |
| 3 | სიონი | 25 | 12 | 6 | 7 | 32 | 25 | 42 |
| 4 | ჩიხურა | 25 | 11 | 6 | 8 | 42 | 38 | 39 |
| 5 | მეტალურგი | 25 | 10 | 6 | 9 | 28 | 29 | 36 |
| 6 | გურია | 25 | 11 | 0 | 14 | 26 | 35 | 33 |

ცხრილი მომზადებულია gff.ge-ს მიხედვით

ინტერვიუ



გია გეგუჩაძე

# გია გეგუჩაძე: 16-გუნდიანი ჩემპიონატი დამღუპველი იქნება

**"ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე უმაღლესი ლიგის გაზრდის წინააღმდეგია. მის აზრით, ეს იდეა ქართულ ფეხბურთს არათუ არ წაადგება, არამედ – დაასამარებს:**

- სიმართლე გითხრათ, ზოგადად მიმაჩნია, რომ 16-გუნდიანი ჩემპიონატი იდეალური ვარიანტია.

**- ანუ ლიგის გაზრდის იდეა მოგეწონათ?**

- მე ამას არ ვამბობ. ეს იქნებოდა იდეალური ვარიანტი, ჩვენ რომ დალაგებული ქვეყანა ვიყოთ. მაგრამ ჩვენს პირობებში ეს ძალიან დიდი უაზრობა იქნება, რადგან მის განხორციელებას ქართული რეალობა ხელს ვერ შეუწყობს.

მართალია "ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია, 16-გუნდიანი ჩემპიონატის გამართვას რომ არ ეთანხმება. კლუბის მთავარი მწვრთნელი და ხელმძღვანელი ისედაც ერთ პოზიციაზე უნდა ვიყოთ. მეორე მხრივ, კოკაიას მართლაც ვეთანხმები. ჩემთვის ერთი რამ არის გაუგებარი – პროექტი გამოაქვეყნეს, მაგრამ არაფერია თქმული, როდის შედის ის ძალაში. გარდა ამისა, ამ პროექტთან დაკავშირებით არაერთი ინტერვიუ წამიკითხავს, ბევრმა სპეციალისტმა გამოთქვა უარყოფითი აზრი და ჩემი აზრით, 16-გუნდიან ჩემპიონატზე გადასვლა ქართული ფეხბურთისთვის დამღუპველი იქნება.

**- თუ სახელმწიფო კლუბებს დააფინანსებს, დამღუპველი რატომ იქნება?**

- აქ არ უნდა იყოს მასობრიობაზე აქცენტი, ჩვენ ყურადღება ხარისხზე უნდა გადავიტანოთ. უმაღლესი ლიგაც გამოკვეთილად ხარისხიანი უნდა იყოს – გუნდებით, მოთამაშეებით, თამაშებით, სტადიონებისა და მოედნების მდგომარეობით. თავისთავად ცხადია, სხვაგვარად ქართული ფეხბურთით ბიზნესი არ ინტერესდება და არც დაინტერესდება.

მეორე საკითხია – ბოლოს და ბოლოს, უეფამ ევროპული ფეხბურთის დონე მოთხოვნების გამკაცრებით გაზარდა და არა წაყრუებით. ბევრი გუნდი აკმაყოფილებს საქართველოში უეფას ლიცენზირების პირობებს? რომელს გააჩნია საკუთარი სტადიონი, ბაზა და მთლიანობაში, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა? ან ფინანსური გამჭირვალეობის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ?

ამიტომ ვამბობ: ახლა არის იმედი, რომ სახელმწიფო ფეხბურთს დაეხმარება და ამით უნდა ვისარგებლოთ. მაგრამ რაოდენობის კი არა, ხარისხის გაზრდაზე უნდა ვიზრუნოთ.

**- თქვენი აზრით, საქართველოსთვის ოპტიმალური როგორი ფორმატი იქნება?**

- მიმაჩნია, რომ დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, საუკეთესო მოდელია 10-გუნდიანი ჩემპიონატის ოთხ წრედ ჩატარება. ეს სეზონში 36 თამაშია. გუნდების რაოდენობიდან გამომდინარე, იქნება ბევრი დაძაბული მატჩი, რაც მოთამაშეთა გაზრდის წინაპირობა არის. ჩვენ თუ ხარისხი არ მივილეთ, არაფერი გამოვა.

**- მეორე მხრივ, ლიგის გაფართოების მომხრეთა არგუმენტებიც გასათვალისწინებელია – ქართულ ფეხბურთს მასობრიობა მართლაც წაადგება, მეტი გუნდი და მეტი მოთამაშე დასაქმდება, მეტი ნიჭიერი მენეჯერი და მმართველი გამოჩნდება.**

- კი ბატონო, ამას რა სჯობს, მასობრიობას მეც ვემხრობი, ოღონდ, ქვედა ლიგებსა და ბავშვთა ფეხბურთში. უმაღლესი ლიგა საფრთხილო თემაა, მეტი დაფიქრება გვჭირდება, რადგან ის ქვეყნის ფეხბურთის სახეა და იმდენად გამორჩეული უნდა იყოს, რომ მაყურებელიც მიიზიდოს და სპონსორებიც. უმაღლესი ლიგის გუნდებში კი უნდა მოდიოდნენ უკვე დაოსტატებული ფეხბურთელები. ახლა მათი დეფიციტია და გუნდებს როგორ დავაკომპლექტებთ? ასეთ ვითარებაში უმაღლესი ლიგის გაფართოება ჩვენს კრიზისს კიდევ უფრო მძაფრად გამოაჩენს. სახელმწიფო ფეხბურთში ფულს რომ ჩადებს, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი პრობლემები უცებ გაქრება.

**- რამდენად სერიოზულად ეკიდებით მოსაზრებას, რომ 16-გუნდიანი ჩემპიონატის იდეა არჩევნების მოახლოების გამო გახდა აქტუალური?**

- შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყოს, მაგრამ მე ზუსტად არ ვიცი, ეს ინიციატივა რატომ წამოწიეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინფრასტრუქტურა

# ფოთში სტადიონი შენდება

"კოლხეთის" გენერალური დირექტორის **თემურ ბარქაიას** ინფორმაციით, ფოთის სტადიონის რეაბილიტაციისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან 6,5 მილიონი ლარია გამოყოფილი.

"ჩატარდა ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია და დაიწყო დასავლეთ ტრიბუნის მშენებლობა. მაგრამ ტენდერით გათვალისწინებულ დროში სამუშაოები ვერ შეასრულა და ახლა სასამართლო დავა აქვს. თუმცა, შესაძლოა, ეს საქმე დაასრულოს სხვა კომპანიამ, რომელმაც აღმოსავლეთ ტრიბუნის ასაშენებლად გამართული ტენდერი მოიგო. ნებისმიერ შემთხვევაში, სტადიონი უნდა აშენდეს" – ამბობს ბარქაია.

აღსანიშნავია, რომ სტადიონის მშენებლობა 2011 წელს დაიწყო, მაგრამ საარჩევნო კამპანიას ემსხვერპლა – 2012 წლის 1 ოქტომბერს უფრო სხვა საკითხებისთვის ეცალათ. მერე კი ცენტრალურმა ხელისუფლებამ სტადიონის აშენება კვლავ პრიორიტეტულად ჩათვალა.

**მერა მამულაშვილი**

## მწვრთნელი

# სოსო ჭედია: კრიზისის დაძლევა შესაძლებელია

მთავრობის კანცელარიაში, პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** ხელმძღვანელობით, ფეხბურთის განვითარების ხელისშემწყობი სამთავრობო კომისიის პირველ სხდომაზე ფეხბურთში არსებული პრობლემები და მისი აღორძინებისთვის პროექტები განიხილეს.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის განცხადებაში საინტერესო დეტალი იყო გაჟღერებული, რაც მედიას გამოეპარა. როდესაც ფეხბურთის ფედერაცია 3-წლიან პროგრამაზე ლაპარაკობდა, ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ სამთავრობო კომისია მიზნად ფეხბურთის განვითარების 5-წლიანი გეგმის შემუშავებას ისახავს. იყო სხვა მესიჯებიც კერძო ინვესტორთა და მასობრივი ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობაზე. და კიდევ: სავარაუდოდ, კომისიის წევრები მთავრობის ადმინისტრაციაში მომავალ კვირას კვლავ შეიკრიბებიან.

კვიპროსული ფეხბურთის განვითარების მიზეზებზე საინტერესო ამბები მოგვიყვა **სოსო ჭედიამ**. საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ხომ ამ კუნძულოვან ქვეყანაში წლების განმავლობაში თამაშობდა და შემდეგ, **თემურ ქეცბაიასთან** ერთად, მწვრთნელად მუშაობდა. როდესაც არასაფეხბურთო და ჩამორჩენილი კვიპროსი ახლა ნაკრების დონეზეც იბრძვის, მისი გუნდები კი ჩემპიონთა და ევროპის ლიგაშიც ხშირად ხვდებიან.

"როგორც ვიცი, კვიპროსის ხელისუფლება ფეხბურთს ყოველწლიური დოტაციით ეხმარება. სწორედ სახელმწიფოს დახმარების ხარჯზე დასძლიეს კლუბებმა ევროპელებთან ჩამორჩენა და ფეხზე დადგნენ. როდესაც თემურს "ანორთოსისში" ვეხმარებოდი, გუნდის ბიუჯეტი 12 მილიონი ევრო იყო. ყველაფერი გვქონდა, როგორც ახლა თბილისის "დინამოს" – კარგი ბაზა, მშვენიერი სავარჯიშო პირობები, ხელფას-პრემიები არ გვიანდებოდა. მაგრამ დღევანდელი თბილისის "დინამოსგან" ის განასხვავებდა, რომ კვიპროსში კიდევ რამდენიმე შეძლებული კლუბი იყო. დანარჩენებს კი ელემენტარული პირობები შეუქმნეს და მათთვის მოწესრიგებული ბაზა, სავარჯიშო და ფინანსური პირობები პრობლემას არ წარმოადგენდა. ჩემპიონატში იყო კონკურენცია, მოთამაშეები მთელი სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე ატარებდნენ იმ დონესა და სისწრაფეებზეც შეხვედრებს, როგორ პირობებშიც შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში გვიწევდა გამოსვლაც. "ანორთოსისს" სწორედ ამან შეუწყო ხელი, რომ ჩემპიონთა ლიგაში გასულიყო. მართალია, ახლა ფინანსურად გაუჭირდათ, მაგრამ ეს დროებითია. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონატის დონე ძალიან დაბლაც არ დაცემულა. საქართველოში კი რა ხდება? თბილისის "დინამოს", "ზესტაფონს" და ორიოდე სხვას თუ არ ჩავთვლით, ყველა დანარჩენი სულს ღაფავს და არავინ უწყის, სეზონის დასრულების შემდეგ რა ბედი ელით. ეს იმის შედეგია, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ ქართულ ფეხბურთში სერიოზული ინვესტიცია არ განხორციელებულა. მე ზოგადად ქართულ ფეხბურთს ვგულისხმობ და არა ცალკეულ კლუბებს" – ამბობს ჭედია.

ეროვნული გუნდის მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ქართული ფეხბურთის პრობლემის გასაღები ბავშვთა ფეხბურთშია: "საქართველოში ბავშვთა ფეხბურთი ყველამ დაივიწყა. არადა, დიდი ფეხბურთი აქედან იწყება. ხე თუ არ დარგე, არ მოუარე და გაზარდე, ნაყოფს ხომ არ მოისხამს? ასევეა ფეხბურთიც. ჩვენ ხე არ დაგვირგავს და ნაყოფს ველით – რატომ, რის საფუძველზე? 25 წელია, საბავშვო სკოლები უყურადღებოდაა მიგდებული. ამიტომ მსურდა, რომ მის განვითარებაში ჩემი წვლილი შემეტანა. ბავშვები მოდიან და ვამჩნევ, რომ ისეთი სკოლა არ აქვთ გავლილი, რაც ჩვენს დიდ ვარსკვლავებს. ამიტომ მიხარია, მშვენიერი აკადემია რომ ჩამოაყალიბა "დინამოში" - რომან ფიფიამ, ზესტაფონში – ილია კოკაიამ, "საბურთალოს" პრეზიდენტმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, "ლოკომოტივში" - ლექსო თოფურიამ. ახლახან 35-ე სკოლის დირექტორად დამნიშნეს და მსიამოვნებს, სკოლის აღორძინებაზე რომ ვზრუნავ. მაგრამ საქმეს ყველა ქალაქსა და რეგიონში უნდა მივხედოთ, გულშემატკივრის სანატრელი შედეგი რომ მივიღოთ".



სოსო ჭედია

ჭედიას აზრით, სახელმწიფოს სახსრების ეფექტური ხარჯვა გადამწყვეტი იქნება: "მთავარი ის კი არაა, სახელმწიფო 100 მილიონს გამოყოფს თუ 50-ს, არამედ ის, სახსრები როგორ დაიხარჯება და სწორად მივა თუ არა ბავშვებამდე. თუ ყველაფერი აზრიანად გაკეთდება, ნახავთ, 5-6 წლის შემდეგ პოზიციებს თუ არ დავიბრუნებთ. ძალიან ბევრს ნიშნავს, აქვს თუ არა ბავშვს საერთაშორისო გამოცდილება. მე საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვთამაშობდი და ხან ტულონის ტურნირზე დავდიოდით, ხან - არგენტინასა თუ ბრაზილიაში. ჩვენი ბავშვების უმრავლესობა საერთაშორისო გამოცდილებას სანაკრებო შეხვედრებში იღებს, აბსოლუტური უმრავლესობა კი ამას მოკლებულია".

თუმცა, ჭედია იმედოვნებს, რომ საქართველოს ნაკრებებს ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ადრინდელზე ხშირად ვიხილავთ: "უეფამ, ისევე როგორც დიდებში, ასაკობრივი ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობაც გაზარდა და 8-ის ნაცვლად მალე ფინალურ ეტაპზე 16 გუნდი ითამაშებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ელიტრაუნდიდან ევროფინალში ერთის ნაცვლად, ორი გუნდი გავა და მჯერა, ასეთი დონის ტურნირზე მომავალში საქართველო გაცილებით ხშირად ითამაშებს".

**მერაბ მამულაშვილი**

## პირველი ლიგა

### XX ტური

### A ზონა

**გაგრა-საპოვნელა 3:1**

02.04. თბილისი. მერანი. 50 მაყურებელი

1:0 გ. გოგატიშვილი (32), 1:1 ლ. გაბრიჭიძე (70), 2:1 ვ. ჭაბუკიანი (71), 3:1 გ. გოგატიშვილი (76, პენალტით)

გაგრა: ჯ. რეჭია, გ. სიჭინავა, გ. ნიჟარაძე (89. გ. დანელიანი), გ. ჯგერენაია, გ. გადრანი, ნ. ნოზაძე (78. ც. მოსიაშვილი), გ. მაისურაძე (81. ა. მუსელიანი), ვ. ჭაბუკიანი, ბ. ქარდავა (82. ი. გაბესკირია), გ. გოგატიშვილი, ზ. ღირდალაძე (61. რ. ცაცკრიალაშვილი).

სათადარიგოები: მ. რამიშვილი, ს. კარტოზია

მწვრთნელი: თენგიზ სიჭინავა

საპოვნელა: ვ. კახეთელიძე, დ. ჩხიკვაძე, ზ. ენდელაძე, თ. ჯიმშელეიშვილი, ს. შუღლაძე, ს. ცქიფურიშვილი (54. ბ. ბარბაქაძე), ვ. მურადაშვილი, ვ. ჭრელაშვილი, ბ. ფოცხვერაშვილი, ლ. გაბრიჭიძე, ზ. აბულაძე (61. თ. დარსაველიძე).

სათადარიგოები: ა. გიორგაძე, ლ. ცხადაძე, ნ. სირაძე

მწვრთნელი: მირიან გენაძე

გაფრთხილება: ნ. ნოზაძე, გ. გადრანი, ჯ. რეჭია — თ. ჯიმშელეიშვილი

არბიტრი: მ. ურუშაძე

**შუქურა-კოლხეთი (ფ) 1:1**

02.04. ქობულეთი. ჩელო-არენა. 1500 მაყურებელი

1:0 ლ. კუტალია (72), 1:1 თ. შარაშენიძე (90+7)

შუქურა: ვ. კაკალაძე (90+10 ა. კოტრიკაძე), ი. ტაკიძე (43. ვ. შეროზია), ლ. კალანდაძე, ი. ხუჭუა (56. ა. ბაჯელიძე), ზ. მალანია, რ. ლობე, მ. გოლიხინი (68. მ. კოპალიანი), ლ. კუტალია, გ. ჩელებაძე, ლ. ჩალაძე (60. მ. ჭკუასელი), მ. კაკალაძე.

სათადარიგოები: მ. მამულაძე, ზ. ტულუში

მთავარი მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

კოლხეთი: ლ. ძაგანია, გ. კილასონია, თ. ფარულავა, დ. ხოჭოლავა, ლ. კაკულია (49. ა. ქორჩილავა), ო. გოგონაია (88. ვ. ნემსაძე), გ. კრასოვსკი, თ. შარაშენიძე, თ. ჟიშკარიანი (17. ლ. ყიფიანი), დ. სიჭინავა (76. ლ. გულუა), შ. კვანტალიანი

სათადარიგოები: ი. მაღრაძე, კ. ბარამიძე, პ. ცხვიტარია

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

გაფრთხილება: თ. კაკალაძე, მ. გოლიხინი, ვ. შეროზია, მ. კოპალიანი-ო. გოგონაია

გაძევება: ო. გოგონაია (სათადარიგოთა სკამიდან)

არბიტრი გ. ვადაჭკორია

**იმერეთი-სქური 1:0**

02.04. ხონი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

1:0 გ. ცაგარეიშვილი (84, პენალტით)

იმერეთი: ს. მეძველია, თ. ხარებავა, გ. ხელაძე, გ. ცაგარეიშვილი (90. გ. ხვიჩია), თ. ბაბუნაშვილი, ი. ჭანკვეტაძე, ო. ტორაძე (71. ჯ. კილაძე), დ. კუხალაშვილი, გ. გენძეხაძე, ო. გიორგობიანი, ნ. ჩიხლაძე (67. მ. აშვეთია).

სათადარიგოები: დ. ხაბურძანია, გ. ქირია, ი. გოგატიშვილი, ნ. ბანძავა

მწვრთნელი: დავით ჭელიძე

სქური: დ. კეკელიძე, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, გ. შელია, ლ. მორგოშია, თ. ფურთუხია, ლ. გაბუნია (90. გ. კვირკვია), ზ. ქვარცხავა, გ. სართანია, ი. კუტალია (67. გ. სალია), დ. შონია.

სათადარიგოები: ბ. სვანიძე, ი. ქარდავა, კ. სოსელია, ლ. ბოჯგუა, ტ. ხარჩილავა

მწვრთნელი: გიორგი ციკოლია

გაფრთხილება: გ. ცაგარეიშვილი, მ. აშვეთია — ვ. ფურთუხია, ლ. მორგოშია, ჯ. ყურუა

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**დინამო 2 (თბ)-მეშახტე 6:1**

02.04. თბილისი. დინამოს აკადემიის სტადიონი. 100 მაყურებელი

1:0 მ. მახარობლიძე (13), 2:0 ბ. მახარობლიძე (22), 3:0; ბ. ზივზივაძე (54), 3:1 მ. ჩხარტიშვილი (57), 4:1 დ. ვოლკოვი (82), 5:1 ს. ლობჟანიძე (85), 6:1 ნ. კვეკვესკირი (90)

დინამო 2: ნ. დაუშვილი, ვ. ბაჩიაშვილი, ს. გურეშიძე, გ. სამხარაძე, ო. კაკაბაძე (68. ლ. თათხაშვილი), ნ. კვეკვესკირი, ბ. მახარობლიძე (57. ს. ლობჟანიძე), გ. გურეშიძე (75. გ. ფალავანდიშვილი), გ. ერისთავი (60. გ. დიასამიძე), მ. ჯიშკარიანი (71. დ. ვოლკოვი), ბ. ზივზივაძე.

სათადარიგოები: გ. კულუა, ი. ციცხვაია

მწვრთნელი: უჩა სოსიაშვილი

მეშახტე: ლ. გორდეზიანი, გ. გვენეტაძე, მ. ჩხარტიშვილი, თ. გოგიჩაძე, ო. ჩაფიძე, ა. გოდუაძე, ბ. ჩხეტიანი, გ. ჩუბინიძე, იაგო დეისაძე, იაკობ დეისაძე, ბ. შარვაძე.

სათადარიგოები: ბ. ჯიშიაშვილი, დ. ქასრაშვილი, დ. სოფრომაძე, გ. ბრეგაძე, მ. ქვილითაია, ნ. ნიშნიანიძე

მწვრთნელი: დავით რუხაძე

გაფრთხილება: გ. გურეშიძე, ს. გურეშიძე, გ, ფალავანდიშვილი, გ. დიასამიძე-თ. გოგიჩაძე

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

**ადელი-მერცხალი 2:1**

02.04. ბათუმი. ადელი. 200 მაყურებელი

1:0 ლ. ჯინჭარაძე (49). 2:0 ნ. წულუკიძე (70), 2:1 გ. ვაშაკიძე (71)

ადელი: გ. შერვაშიძე, ნ. წულუკიძე (75. ე. ბერიძე), ზ. მჟავანაძე, ი. ფუტკარაძე, ვ. ივანიაძე, ლ. ჯინჭარაძე (78. ი. ლოლობერიძე), გ. ცაბუტაშვილი, ზ. კონცელიძე, გ. ჟორდანია, გ. ქოქოლაძე, ლ. კარაკულიანი

სათადარიგოები: ა. ვარშანიძე, ფ. მორროტიე, გ. თურმანიძე, კ. ბაგალიშვილი, თ. ხაბელაშვილი

მწვრთნელი: სოსო ნასყაშვილი

მერცხალი: ა. მაქაცარია, თ. ჩხატარაშვილი (65. გ. მექვაბიშვილი), მ. ქობულაძე, ზ. ხურციძე, ს.ვ. ჩიგოგიძე, ლ. ქანთარია (46. ნ. ხინთიბიძე), გ. ვაშაკიძე, გ. ქარჩილაძე, ი. ლლონტი, ი. ბაჯელიძე (51. ს. გ. ჩიგოგიძე), გ. ბერიშვილი.

სათადარიგოები: გ. ხამაშურიძე, გ. ზოიძე, ი. მურუსიძე, ლ. კოტრიკაძე

მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: ი. ლლონტი

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

**ჩხერიმელა-ალგეთი 2:2**

02.04. ხარაგაული. სოსო აბაშიძე. 200 მაყურებელი

1:0 თ. ლურსმანაშვილი (23), 1:1 მ. კობერიძე 38), 1:2 მ. კობერიძე 44), 2:2 შ. ბაბუნაშვილი (57)

ჩხერიმელა: მ. ლომსაძე, მ. კოპალიანი (69. დ. პეტავა), თ. ლურსმანაშვილი, გ. მეტრეველი, გ. თურმანიძე, შ. ბაბუნაშვილი, გ. კიკნაძე (76. დ. ქარსელაძე), გ. ხარაბაძე, ლ. ჩაჩიბაია (82. თ. კიკნაძე), თ. წულაია (80. გ. ზაქარაშვილი), ს. ჭიკაიძე.

სათადარიგოები: ბ. ოკრიბელაშვილი, ი. მურადაშვილი, თ. ფერაძე

მწვრთნელი: ელდარ ჯიმშელეიშვილი

ალგეთი: მ. ძიძიგური, რ. კიკალიშვილი, ი. ალასანია, გ. ჭოველიძე, გ. პატარქალიშვილი, მ. კობერიძე (90. გ. ყურულაშვილი), ი. ჯოჯიშვილი, გ. ჩიქოვანი, ზ. ტიელიძე, ბ. ლაბუჩიძე, გ. ტვილდიანი (82. ი. სვანიძე).

სათადარიგოები: ჯ. სულაქველიძე, ლ. ეზიეშვილი, თ. ბახტურიძე

მწვრთნელი: ელგუჯა გუგუშვილი

გაფრთხილება: შ. ბაბუნაშვილი, დ. წულაია-გ. ჭოველიძე

**გამოტოვებული მატჩი**

მეშახტე-იმერეთი 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შუქურა | 18 | 14 | 3 | 1 | 59-15 | 45 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 18 | 14 | 2 | 2 | 41-10 | 44 |
| 3. დინამო2 (თბ) | 19 | 11 | 3 | 5 | 54-24 | 36 |
| 4. გაგრა | 19 | 9 | 6 | 4 | 37-21 | 33 |
| 5. საპოვნელა | 18 | 9 | 3 | 6 | 31-19 | 30 |
| 6. მეშახტე | 18 | 7 | 5 | 6 | 31-29 | 26 |
| 7. ალგეთი | 18 | 7 | 5 | 6 | 29-29 | 26 |
| 8. ჩხერიმელა | 18 | 6 | 4 | 8 | 24-37 | 22 |
| 9. იმერეთი | 19 | 5 | 3 | 11 | 19-41 | 18 |
| 10. სქური | 19 | 5 | 2 | 12 | 20-42 | 17 |
| 11. ადელი | 19 | 4 | 3 | 12 | 21-54 | 15 |
| 12. მერცხალი | 19 | 4 | 2 | 13 | 17-39 | 14 |
| 13. კახეთი | 18 | 4 | 2 | 12 | 20-43 | 14 |

**მომდევნო ტური**

**10 აპრილი**

იმერეთი-გაგრა
სქური-ადელი
კახეთი-დინამო 2 (თბ)
მეშახტე-შუქურა
კოლხეთი (ფ)-ჩხერიმელა
ალგეთი-საპოვნელა

### B ზონა

**სტუ-დინამო (ბთ) 0:5**

03.04. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 500 მაყურებელი

0:1 ი. სიხარულიძე (5), 0:2 ბ. ტეტუნაშვილი (34), 0:3 ბ. ტეტუნაშვილი (37), 0:4 გ. ფიფია (56), 0:5 გ. ფიფია (88).

სტუ: ჯ. ასონგი, ნ. ბინკინაშვილი (69. ა. ლაცაბიძე), ზ. ჭავჭავაძე (69. ნ. მაღრაძე), დ. ქიმერიძე, გ. ჯიშკარიანი (71. ს. მიქაუტაძე), ო. გაგნიძე, შ. გვაზავა, თ. მოგელაძე (71. ვ. ყურაშვილი), ს. მალანია, ვ. რობაქიძე (71. მ. გოგატიშვილი), ს. ჯოოფი.

სათადარიგოები: ნ. ჯოლოგუა

მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

დინამო (ბთ): მ. ალავიძე, გ. გავაშელიშვილი (61. ვ. ქორიძე), ბ. ტეტუნაშვილი, გ. ჟვანია, ა. სუხიაშვილი, ბ. მახარაძე (46. ვ. თევდორაძე), გ. გოგიტიძე, ბ. ჭკუასელი (67. კ. მაკარიანი), ა. მუჯირი (46. გ. ფიფია), ი. ჩირიკაშვილი, ი. სიხარულიძე (64. ა. აბუსელიძე).

სათადარიგოები: დ. ადეიშვილი, გ. თებიძე

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი

გაფრთხილება: გ. გავაშელიშვილი

არბიტრი: ჯ. ხორავა

**დილა 2-ჭიათურა 2:2**

02.04. გორი. ქართლი. 100 მაყურებელი

1:0 ი. კერძევაძე (10), 1:1 ს. ქავთარაძე (24), 2:1 ი. კერძევაძე (72), 2:2 გ. ოქროპირიძე (76)

დილა 2: ბ. შეყრილაძე, კ. ღალანიძე, ა. ჩაკვეტაძე, ც. ქებურია, მ. აფხაზავა (46. ლ. შენგელია), ლ. ქოჩლაძე (55. ლ. მანაგაძე), კ. მელაშვილი, გ. გაფრინდაშვილი (65. ნ. გაბელია), გ. ჯაყელი (80. ი. ბერიძე), ი. კერძევაძე, გ. ბერიძე

მწვრთნელი: გუბაზ დოლიძე

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ი. ტყებუჩავა, ლ. ცუცქირიძე, გ. გაფრინდაშვილი, გ. ოქროპირიძე, ბ. შუბითიძე (61. გ. სამყურაშვილი), ლ. კუჭაშვილი (50. ო. კურტანიძე), გ. ბარბაქაძე, ს. ქავთარაძე (84. ა. ბაბლიძე), თ. ნადირაძე, დ. სევასტოპულო.

სათადარიგოები: გ. მეცხოვრიშვილი, ზ. ჯაფარიძე

მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

გაფრთხილება: ც. ქებურია-გ. ბარბაქაძე, დ. სევასტოპულო, ი. ტყებუჩავა

არბიტრი: თ. ხუჭუა

**საბურთალო-ბეთლემი 1:1**

03.04. თბილისი. ბენდელა. 200 მაყურებელი

0:1 ვ. დარჩიძე (3, პენალტით), 1:1 გ. ჩაბრაძე (86)

საბურთალო: ლ. კუპატაძე, ი. ბერიშვილი, რ. კაკიაშვილი, თ. სტეფნიაშვილი (68. ი. რუხაძე), გ. თევზაძე, რ. ბარამიძე, გ. ხორხელი (61. გ. ჩაბრაძე), ვ. მამუჩაშვილი (16. ლ. ბლიაძე), ი. ბიძინაშვილი, გ. გოშთელიანი (55. დ. წოწონავა, 77. თ. ნადარია), რ. გოცირიძე).

სათადარიგოები: გ. თვარაძე, გ. ჩოჩიშვილი

მწვრთნელი: გია ჭიაბრიშვილი

ბეთლემი: დ. ხურციძე, ლ. ნინიკაშვილი. გ. ნათენაძე, ა. ფარტენაძე, ე. ერქომაიშვილი (87. გ. ბრეგვაძე), ვ. დარჩიძე, ბ. ჯუგაშვილი, გ. კახიანი, ბ. კახიძე, გ. ქობალია, ი. ბოლქვაძე (46. თ. ჩიჩუა).

სათადარიგოები: გ. რომანაძე, ი. ბარამიძე, ჯ. გორგაძე, ლ. სარალიძე.

მწვრთნელი: ემზარ იმნაძე

გაფრთხილება: რ. კაკიაშვილი - გ. კახიანი, ლ. ნინიკაშვილი, თ. ჩიჩუა

არბიტრი: გ. ვარდიძე

**კოლხეთი (ხ)-ბახმარო 5:3**

03.04. ხობი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

0:1 ჯ. ლოლუა (21), 1:1 ც. ბუკია (28), 2:1 ლ. ვართაგავა (34), 2:2 გ. ტუხაშვილი (45), 3:2 გ. ლომაია (63), 3:3 გ. ტუხაშვილი (70, პენალტით), 4:3 გ. ლომაია (76), 5:3 ც. ბუკია (82)

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. გოგენია (80. ლ. გოგენია), რ. ონიანი, ო. ფიფია, ლ. ვართაგავა, ც. ბუკია (86. გ. პაჭკორია), ვ. ფირცხელავა, პ. გაბრავა (57. გ. ლომაია), ლ. წურწუმია (86. ლ. ქაშიბაძე), ლ. მეფიშვილი, ი. გერგაია (86. კ. გოგენია).

სათადარიგოები: რ. ტურავა, გ. ბუცხრიკიძე

მწვრთნელი: კალისტრატე ხურცილავა

ბახმარო: გ. ძაძამია, გ. ბერიშვილი, ჯ ლოლუა, პ. ანტვეე, გ. შათირიშვილი, ლ. ჯანელიძე, ლ. ნაკაიძე, მ. გიორგაძე (46. დ. ჩაჩუა), დ. მამუდოვი (64. ა. შონია), გ. ტუხაშვილი, ლ. მაჭავარიანი (46. ხ. დიდია).

სათადარიგოები: გ. კუჭავა, კ. კალანდაძე, ლ. ცენტერაძე, ვ. პარასკევაშვილი

მწვრთნელი: რამაზ უჯმაჯურიძე

გაფრთხილება: რ. ონიანი - პ. ანტვეე, დ. ჩაჩუა, ჯ. ლოლუა

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**სამტრედია-სასკო 3:1**

03. 04. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე. 2000 მაყურებელი

1:0 ზ. ქანთარია (23), 1:1 გ. ქუცურუა (44, პენალტით), 2:1 გ. პაჭკორია (63), 3:1 ა. ბაგაშვილი (90+1)

სამტრედია: მ. მუჯრიშვილი, ბ. გედენიძე (90. ს. გოგია), თ. შალიკაშვილი, გ. პაჭკორია, ა. დვალიშვილი, თ. კაკუშაძე, თ. კიკაბიძე, გ. მელქაძე (90. ა. ბაგაშვილი), შ. კერძევაძე, ა. ჯანელიძე (37. ი. პავლიაშვილი), ზ. ქანთარია (82. ზ ქურდობაძე).

სათადარიგოები: გ. ალავიძე, მ. გოგიაშვილი

მწვრთნელი: გელა სანაია

სასკო: ლ. ბრაჭული, გ. სეფიაშვილი (8. ა. სოფრომაძე), ა. ინწკირველი, გ. სალარიძე, გ. მაჩაიძე, დ. დიღმელაშვილი, გ. მანწკავა, გ. ქუცურუა (85. გ. სარჯველაძე), გ. არახამია, გ. ჯოხაძე, შ. ფირუზაშვილი

გაფრთხილება: ა. დვალიშვილი - გ. ქუცურუა, გ. მანწკავა

გაძევება: გ. რეხვიაშვილი, გ. სალარიძე

არბიტრი: ო. ხეცაძე

**ლოკომოტივი-სამგურალი 6:2**

02.04. საგურამოს საფეხბურთო კომპლექსი. 200 მაყურებელი

1:0 ლ. ზარანდია (9), 2:0 დ. ჯიქია (13), 3:0 დ. ჯიქია (22), 4:0 დ. ჯიქია (23), 5:0 ლ. კიკაბიძე (34), 5:1 გ. ბუხაიძე (35), 5:2 გ. ბუხაიძე (42), 6:2 მ. გავაშელიშვილი (67).

ლოკომოტივი: ბ. მიქავა, ო. პატარკაციშვილი (65. დ. მთივლიშვილი), ნ, სანდოხაძე, ო. კუსიანი (46. გ. მაკასარაშვილი), დ. უბილავა, გ. აბურჯანია, გ. გოროზია, ლ. ზარანდია, გ. დუმბაძე (65. ნ. წივწივაძე), ლ. კიკაბიძე (57. ა. გუგუშვილი), დ. ჯიქია (57. მ. გავაშელიშვილი).

სათადარიგოები: ჯ. ყანჩაშვილი. ბ. საჯაია

მწვრთნელი: ვასილ მაისურაძე

სამგურალი: ი. კუჭუხიძე (27. თ. ლომთაძე), ბ. ბიბილაშვილი (33. ნ. შალამბერიძე), ზ. სალინაძე, უ. ბანძელაძე, გ. ლობჟანიძე, ხ. უგრეხელიძე (37. გ. თევდორაძე), ა. მეტონიძე (33. თ. ბრეგვაძე), ი. ხვადაგიანი, გ. ამბროლაძე (65. თ. ჯანაშია), ა. ფანცხავა, გ. ბუხაიძე.

სათადარიგოები: ო. ჩინჩალაძე, ზ. კუხალაშვილი

მწვრთნელი: გიორგი გოგიაშვილი

გაფრთხილება: ნ. სანდოხაძე - გ. ამბროლაძე

გაძევება: ზ სალინაძე

არბიტრი: გ. ავაზაშვილი

**სულორი-მაჭახელა 0:2**

04. 04. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე. 400 მაყურებელი

0:1 ა. ლაბაძე (76), 0:2 ბ. დემურაძე (89)

სულორი: გ. ბერძენაძე, ლ. გაბუნია, ა. როხვაძე, ბ. ბახტაძე (81. ნოდარ გიორგაძე), თ. ძაგნიძე (60. მ. ნაფეტვარიძე), ბ. ბელექანია (82. გ. ნიკოლეიშვილი), გ. ბრეგვაძე, გ. ხეცურიანი (58. ი. გამრეკლიძე), დ. ივანიაძე, ბ. სულაბერიძე, დ. კუჭუხიძე.

სათადარიგოები: ჯ. პაპავა, თ. მატარაძე

მწვრთნელი: გიორგი კუტივაძე

მაჭახელა: შ. მამინაშვილი, დ. ბერუაშვილი, გ. კაჭკაჭიშვილი, მ. ჟვანია, ლ. ხაჭაპურიძე, ლ. ხოხონიშვილი (59. ბ. დემურაძე), ა. ლაბაძე (81. ლ. რამიშვილი), ნ. შონია, ა. ლორია (75. გ. ფალავანდიშვილი), დ. დოლიძე (49. თ. ბერიძე), ა. ბაციკაძე (58. ნ. ქორიძე).

სათადარიგოები: გ. სირაბიძე, მ. ხარშილაძე

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: გ. ბრეგვაძე, გ. ბერძენაძე, გ. გიორგაძე, ა. როხვაძე - გ. კაჭკაჭიშვილი, ნ. შონია, გ. ფალავანდიშვილი

გაძევება: ნ. შონია

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

**გამოტოვებული მატჩი**

ჭიათურა-ლოკომოტივი 1:3

**მომდევნო ტური**

**10 აპრილი. ხუთშაბათი**

სასკო-დილა2

**11 აპრილი. პარასკევი**

სამტრედია-ლოკომოტივი
ჭიათურა-კოლხეთი (ხ)
ბახმარო-სულორი
მაჭახელა-საბურთალო
ბეთლემი-სტუ
დინამო (ბთ)-სამგურალი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 20 | 16 | 2 | 2 | 46-18 | 50 |
| 2. დინამო (ბთ) | 20 | 15 | 1 | 4 | 44-12 | 40 |
| 3. მაჭახელა | 20 | 13 | 5 | 2 | 34-12 | 44 |
| 4. სასკო | 20 | 12 | 2 | 6 | 38-20 | 38 |
| 5. ჭიათურა | 20 | 10 | 2 | 8 | 33-30 | 32 |
| 6. ლოკომოტივი | 20 | 9 | 2 | 9 | 48-31 | 26 |
| 7. სამგურალი | 20 | 8 | 4 | 8 | 34-38 | 28 |
| 8. საბურთალო | 20 | 7 | 4 | 9 | 30-27 | 25 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 20 | 7 | 4 | 9 | 27-43 | 25 |
| 10. ბეთლემი | 19 | 7 | 3 | 9 | 22-25 | 24 |
| 11. სტუ | 20 | 6 | 2 | 12 | 32-45 | 20 |
| 12. დილა2 | 20 | 5 | 4 | 11 | 23-37 | 19 |
| 13. ბახმარო | 20 | 1 | 7 | 12 | 23-57 | 10 |
| 14. სულორი | 19 | 1 | 2 | 16 | 8-47 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXII ტურის შეჯამება

# გამორჩეული მეკარეები

**პრიმერას 32-ე ტურში პირველ ხუთ ადგილზე მყოფმა გუნდმა მოიგო და სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში სიტუაცია უცვლელი დარჩა. კიდევ უფრო მეტად დაიძაბა ბრძოლა ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის, რომელშიც ცხრა გუნდია ჩაბმული, თუმცა აქედან ერთის შანსები უკვე მინიმალურია...**

საუბარი, რა თქმა უნდა, სევილიის „ბეტისზე" გვაქვს, რომელმაც „ნოუ კამპზე" საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, „ბარსელონას" უამრავი პრობლემა შეუქმნა, მაგრამ მაინც დამარცხდა. ჩემპიონატის დამთავრებამდე 6 ტურით ადრე, „ბეტისი" მე-17 ადგილზე მყოფ „ვალიადოლიდს" 9 ქულით ჩამორჩება. კალენდარი „ვერდიბლანკოსს" საკმაოდ რთული აქვს, თუმცა „სევილიის" (შინ) და „სოსიედადის" (შინ) გარდა, დარჩენილი ოთხი მატჩი **გაბრიელ კალდერონის** გუნდს უშუალო კონკურენტებთან აქვს, მაგრამ სამ შემთხვევაში „ბეტისი" გასვლაზე თამაშობს.

მოკლედ, შანსი კი მცირეა, მაგრამ ავად თუ კარგად, სევილიური კლუბი საკუთარ თავზეა დამოკიდებული და თუ ყველა დარჩენილი შეხვედრა მოიგო, იქნებ გადარჩეს კიდეც. ფაქტია, თუ „ბეტისმა" ისე ითამაშა, როგორც ბარსელონაში, მის მეტოქეებს ძალიან გაუჭირდებათ.

## სან ხოსეს უიღბლო დღე

საოცრად უიღბლო დღე ჰქონდა **მიკელ სან ხოსეს**, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ „ბილბაოს" „ლევანტესთან" სამი ქულა ვერ აელო, მაგრამ ახალგაზრდა მცველმა მიზანს ვერ მიაღწია.

უკვე ტრადიციად იქცა ის, რომ ტურს ბილბაოს „ატლეტიკის" თამაში ასრულებს. ბასკებმა ამჯერადაც ორშაბათს ითამაშეს და მორიგი გამარჯვება მოიპოვეს. **ერნესტო ველდერდეს** გუნდში საუკეთესო **არიც ადურისი** იყო, ვინც დუბლი შეასრულა და საკუთარი გოლების რაოდენობა 13-მდე გაზარდა. პირველი გოლი ადურისმა მე-15 წუთზე გაიტანა, თუმცა ანგარიშის გახსნის შანსი სტუმრებს იქამდეც ჰქონდათ, როდესაც მე-12 წუთზე პენალტის დარტყმის უფლება მიიღეს. ბურთთან, რატომღაც, სან ხოსე მივიდა, რომელმაც 11-მეტრიანი ვერ გაიტანა. ზოგადად, 24 მცველი საკმაოდ შედეგიანია - ამ სეზონში მის ანგარიშზე 4 გოლია (19 თამაშში), შარშან კი მან მეტოქეთა კარი 5-ჯერ აილო, მაგრამ სან ხოსეს ეს გოლები სტანდარტული სიტუაციების დროს, თავით გააქვს ხოლმე. აქამდე, ბასკების რიგებში 11-მეტრიანებს ან **ანდონი ირაოლა**, ან ადურისი ასრულებდა, რომელმაც ბოლო პენალტი ვერ გაიტანა, ირაოლა კი არ თამაშობდა, რის გამოც დარტყმის უფლება სხვა ფეხბურთელს მისცეს. მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე **ანდერ ერერა, ოსკარ დე მარკოსი, მარკელ სუსაეტა, იკერ მუნიაინი** და **მიკელ რიკო** იმყოფებოდნენ, საუკეთესო კანდიდატად სტუმრებმა ახალგაზრდა ცენტრალური მცველი მიიჩნიეს, ვინც გოლის გატანის კარგი შანსი ვერ გამოიყენა.

სან ხოსეს უიღბლობა აქ არ დასრულებულა - მეორე ტაიმში, როდესაც ანგარიში 0:2 იყო, „ლევანტემ" სხვაობა სწორედ მისი დახმარებით შეამცირა. 66-ე წუთზე, **რუბენ გარსიას** ჩაწოდებული სან ხოსეს ფეხზე მოხვდა და ირაისოსის ზურგს უკან კარში ჩაეშვა. საბოლოოდ, შეხვედრა ასეც დასრულდა და ახალგაზრდა მცველმაც შვებით ამოისუნთქა.

## კაბალიერო ტექნოლოგიებს იყენებს

„გრანადასთან" შეხვედრაში, მაშინ, როდესაც „მალაგა" 2:0-ს იგებდა, **ვილი კაბალიერომ იუსეფ ელ-არაბის** დარტყმული 11-მეტრიანი მოიგერია და მეტოქეს ანგარიში არ შეამცირებინა. თამაშის შემდეგ, არგენტინელმა მეკარემ აღნიშნა, რომ პენალტის მოგერიებაში მას უახლესი ტექნოლოგიები დაეხმარა:

*„მან ზუსტად ისე დაარტყა, როგორც მე მოველოდი. ყველაფერი შესწავლილი გვქონდა და წინასწარ ვიცოდი, სად დაარტყამდა, თან ჩვენ არა მხოლოდ მისი, არამედ „გრანადას" სხვა ფეხბურთელების შესრულების მანერა და ტექნიკაც შევისწავლეთ"*, - განაცხადა კაბალიერომ.

როგორც ირკვევა, „მალაგაში" იყენებენ აპლიკაცია „Procloud11"-ს, რომელსაც უამრავ ფუნქციასთან ერთად, 11-მეტრიანების ანალიზის ფუნქციაც აქვს. ამ პროგრამის მონაცემთა ბაზაში 16 სხვადასხვა ლიგის 800 ფეხბურთელის მონაცემებია შეტანილი. პროგრამა ანალიზს უკეთებს არა მხოლოდ იმას თუ სად უფრო ხშირად ურტყამს ესა თუ ის ფეხბურთელი, არამედ სწავლობს მათ მოძრაობებს, რის შემდეგაც, წინასწარ შეიძლება იმის თქმა, გამორბენის დაწყების შემდეგ მოთამაშე მარცხნივ დაარტყამს, მარჯვნივ თუ ცენტრში.

კაბალიეროს ახალი ტექნოლოგიები რომ გამოადგა, ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს. მართალია, ბოლო 15 პენალტიდან არგენტინელმა მხოლოდ 2 მოიგერია, 3-ჯერ მეტოქემ კარს ააცილა, ხოლო 10 გოლით დასრულდა, მაგრამ ვილიმ დარტყმის კუთხე 15-ვე შემთხვევაში გამოიცნო.



კეილორ ნავასი თვის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა

## თვის ფეხბურთელი ნავასია

ლა ლიგის თვის საუკეთესო ფეხბურთელი „ლევანტეს" მეკარე **კეილორ ნავასი** გახდა, რომელიც ძალიან კარგ სეზონს ატარებს და დიდი ალბათობით, ამ სეზონის დასრულების მერე რომელიმე გრანდში გადავა.

მარტში კოსტარიკელმა მეკარემ ხუთ შეხვედრაში ითამაშა, რომელთაგანაც „ლევანტემ" მხოლოდ ერთი მოიგო, ჯამში კი 7 გოლი გაუშვა, მაგრამ ნავასმა ამ მატჩებში იმდენად კარგად ითამაშა, რომ თვის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

**წინა თვეების გამარჯვებულები:**

სექტემბერი - **დიეგო კოშტა** (ატლეტიკო)
ოქტომბერი - **კოკე** (ატლეტიკო)
ნოემბერი - **კრიშტიანო რონალდო** (რეალი)
დეკემბერი - **კარლოს ველა** (სოსიედადი)
იანვარი - **ივან რაკიტიჩი** (სევილია)
თებერვალი - **რაფაელ ალკანტარა** (სელტა)

**საინტერესო ფაქტები**

- წინა 7 სეზონში **იგნასიო კამაჩოს** ანგარიშზე 5 გოლი იყო. ამ სეზონში ნახევარმცველმა უკვე ამდენივე გოლი გაიტანა.
- მიუხედავად იმისა, რომ კარიერაში სულ 10 გოლი აქვს გატანილი (118 შეხვედრაში), კამაჩომ დუბლის შესრულება სამჯერ შეძლო.
- **ალბერტო ბუენომ** (რაიო ვალეკანო) ბოლო 6 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა.
- „სევილიამ" ბოლო 8 მატჩიდან 7 მოიგო.
- „ოსასუნამ" სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში 382-წუთიანი უგოლო სერია შეწყვიტა
- **ხორდი ფიგერასმა** სეზონში მეორე ავტოგოლი გაიტანა
- **პეპემ** ამ სეზონში უკვე 4 გოლი გაიტანა, ზუსტად იმდენი, რამდენიც „რეალში" ჩატარებულ წინა 6 სეზონში (138 თამაში) ერთად
- „ოსასუნამ" სტუმრად მეოთხე თამაში მოიგო, აქედან სამი ანდალუსიაში („ალმერიას" გარდა, „მალაგა" და „ბეტისიც" დაამარცხა)
- „ბარსელონას" ანდალუსიურ კლუბებთან ზუსტად 50 მატჩია არ წაუგია - 44 მოგება, 6 ფრე
- „რაიო ვალეკანომ" „სელტას" პრიმერა დივიზიონში ზედიზედ მეშვიდედ მოუგო, თანაც 6-ჯერ კარი მშრალად შეინახა
- „მალაგამ" „გრანადას" სამივე საშინაო მატჩი მოუგო, თან სამივე შეხვედრაში ოთხი გოლი გაიტანა (ორჯერ - 4:0, ამჯერად - 4:1).
- საკუთარ მოედანზე „მალაგამ" ოთხივე ანდალუსიური დერბი მოიგო: „ალმერიასთან" - 2:0, „ბეტისთან" - 3:2, „სევილიასთან" - 3:2 და „გრანადასთან" - 4:1.
- „ელჩემ" საკუთარ მოედანზე ბოლო გოლი 12 იანვარს გაუშვა და მას შემდეგ 7 მშრალი მატჩი ჩაატარა.
- **უნაი ემერიმ** „ესპანიოლი" კარიერაში მეათედ დაამარცხა (1 ფრე და 2 წაგება)

**ბომბარდირები:**

28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
25 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო), ლიონელ მესი (ბარსელონა)
17 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა), ქარიმ ბენზემა (რეალი)
15 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)
14 - კარლოს ბაკა (სევილია), პედრო (ბარსელონა)

**ასისტენტები:**

13 - კოკე (ატლეტიკო)
12 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), გარეთ ბეილი (რეალი), ანხელ დი მარია (რეალი)
10 - კარლოს ველა (სოსიედადი), ივან რაკიტიჩი (სევილია), ლიონელ მესი (ბარსელონა)

**გოლი+პასი:**

36 - კრიშტიანო რონალდო (რეალი) - 28+8
35 - ლიონელ მესი (ბარსელონა) - 25+10
28 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო) - 25+3
26 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა) - 17+9
25 - გარეთ ბეილი (რეალი) - 13+12
23 - ქარიმ ბენზემა (რეალი) - 17+6
22 - პედრო (ბარსელონა) - 14+8, ივან რაკიტიჩი (სევილია) - 12+10, კარლოს ველა (სოსიედადი) - 12+10

**ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები (წითელი - 3 ქულა, ყვითელი - 1 ქულა):**

16 - ვიქტორ სანჩესი (ესპანიოლი) - 10 ყვითელი, 2 წითელი
15 - ბოტია (ელჩე) - 15 ყვითელი
14 - სერხიო სანჩესი (მალაგა) - 11 ყვითელი, 1 წითელი
14 - დუდა (მალაგა) - 8 ყვითელი და 2 წითელი, დამიან სუარესი (ელჩე) - 8 ყვითელი და 2 წითელი, მანუელ იტურა (გრანადა) - 8 ყვითელი და 2 წითელი.

**ტატო ბაციკაძე**

**სიმბოლური ნაკრები**




**ამბები**

### ფინალს ლაოსი განსჯის

ესპანეთის სამეფო თასის ფინალს, რომელიც 16 აპრილს „მესტალიაზე" გაიმართება, ანტონიო **მიგელ მატეუ ლაოსი** განსჯის. 37 წლის არბიტრი ასეთი რანგის შეხვედრაში პირველად იმსაჯებს, თუმცა „ელ კლასიკოზე" მუშაობის გამოცდილება მატეუ ლაოსს უკვე აქვს - ის, 2012 წლის სუპერთასის შეხვედრას სჯიდა, რომელიც მადრიდში „რეალმა" 2:1 მოიგო და ტიტულსაც დაეუფლა, რადგან ბარსელონაში „სამეფო კლუბს" 2:3 ჰქონდა წაგებული.

### ატლეტიკომ ამომავალი ვარსკვლავი შეიძინა



დემბაკვი იომბა

მადრიდის „ატლეტიკომ" 17 წლის ამერიკელი ფეხბურთელი **დემბაკვი იომბა** შეიძინა, რომელიც აქამდე აშშ-ის ერთ-ერთ სასკოლო გუნდში, „კონკორდ ფაიერში" თამაშობდა. სიერა ლეონეში დაბადებულ იომბას აშშ-ის 17- და 18-წლამდელთა ნაკრებში აქვს ნათამაშები და სპეციალისტთა პროგნოზით, უახლოეს წლებში ის ეროვნული გუნდის ერთ-ერთი ლიდერი უნდა გახდეს.

**ტატო ბაციკაძე**

**ამბები**

### ჩემპიონთა ლიგას ნისანი უსპონსორებს

ჩემპიონთა ლიგას ახალი სპონსორი ეყოლება, უეფამ შეთანხმებას „ნისანთან" მიაღწია და იაპონური ავტომწარმოებელი კომპანია ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საფეხბურთო ტურნირთან 2014/2015 წლების სეზონიდან 2017/2018 წლების სეზონამდე ითანამშრომლებს. შეთანხმების ფინანსური დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, უეფა წელიწადში 54,4 მილიონ ევროს მიიღებს. გარდა ამისა, „ნისანი" 2014-2017 წლების უეფას სუპერთასის სპონსორიც იქნება. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის პარტნიორი აქამდე „ფორდი" იყო, მაგრამ ამერიკულმა კომპანიამ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი განაცხადა.

### რაულს ამერიკაში ეპატიჟებიან

ლეგენდარული ესპანელი ფორვარდის, **რაულის** კონტრაქტი „ალ სადდთან" 2015 წლის იანვარში იწურება. 36 წლის ფეხბურთელს მუდმივად ტრავმები აწუხებს და ამან თითქოს კარიერის დასრულებაც გადააწყვეტინა, მაგრამ თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდება, არ არის გამორიცხული, მას მერე, რაც „ალ სადდთან" კონტრაქტი დაუმთავრდება, რაული ამერიკის ჩემპიონატში გადაბარგდეს. როგორც ირკვევა, მან MLS-დან მიმზიდველი წინადადება მიიღო და 36 წლის თავდამსხმელმა ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება შესაძლოა, გადადოს კიდეც.

### კროოსს მანჩესტერ იუნაიტედში უნდა

„დეილი მეილის" ცნობით, **ტონი კროოსმა** თანაკლუბელებს განუცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლა უნდა. მიუნხენის „ბაიერნის" 24 წლის შემტევი ნახევარმცველის გარშემო უამრავი და ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** განაცხადა, რომ მომავალ ზაფხულს კროოსი არსად არ წავა და რეკორდმაისტერში დარჩება. თუმცა ფაქტია, რომ კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს და კროოსი მცირე სათამაშო დროით უკმაყოფილოა და გუნდის გამოცვლაზე ფიქრობს. შეგახსენებთ, რომ „ბაიერნთან" მის მოქმედ კონტრაქტს ვადა 2015 წლის ზაფხულში ეწურება და რადგან მხარეები ახალ შეთანხმებაზე ვერ მორიგდნენ და საერთო ენის გამონახვას ვერ ახერხებენ, მიუნხენელებმა იგი ამ ზაფხულს უნდა გაუშვან, თუ მისი ძალიან იაფად, ანაც სულაც უფასოდ დაკარგვა არ სურთ. როგორც ამბობენ, „წითელი ეშმაკები" მზად არიან გერმანიის ნაკრების ფეხბურთელში 20 მილიონი ევრო გადაიხადონ.

### წითელი ეშმაკის სკაუტები მოსკოვში

„მანჩესტერ იუნაიტედი" სამომავლო ტრანსფერებზე ფიქრსა და მუშაობას აგრძელებს და მისი სკაუტები მთელი მსოფლიოს გარშემო კლუბისთვის საინტერესო ფეხბურთელებს აკვირდებიან. გასულ უქმეებზე, ინგლისური გუნდის წარმომადგენლები „პასუშ დე ფერეირასა" და ლისაბონის „სპორტინგის" თამაშს დაესწრნენ, რადგან „ლომების" რიგებში **უილიამ კარვალიოსა** და **კარლოს მანეს** თამაში ენახათ, ხოლო პასუშელთა შემადგენლობაში მათ საკუთრებაში მყოფი **ბებესი** და ნესით, უკმაყოფილონი არ უნდა დარჩენილიყვნენ. ახლა კი „წითელი ეშმაკების" სკაუტები მოსკოვს ეწვევიან, რადგან 11 აპრილს „კრილიასთან" მატჩში **არას ოზბილიზსა** და **სალვატორე ბოკეტის** დააკვირდნენ. აღსანიშნავია, რომ „მანჩესტერის" სკაუტები ერთხელ უკვე ესტუმრნენ რუსეთის დედაქალაქს და დაესწრნენ „სახალხო გუნდის" შეხვედრას ოზბილიზის სანახავად.

**გიორგი პაპაბაძე**

იტალია. სერია A. XXXII ტურის შეჯამება



მეორე გოლი ფერნანდო ლორენტემ ანდრეა პირლოს პასით გაიტანა

# მშვიდი იუვე და მღელვარე კალჩო

**32-ე ტურმა ორი სამწვრთნელო სკამი შეიწირა, „იუვე“ კიდევ უფრო მიუახლოვა სკუდეტოს და „რომას“ მეორე ადგილი გაუნაღდა. ამასთან, „ინტერმა“ კიდევ ერთხელ გააწბილა გულშემატკივარი, „მილანმა“ კი მიჯრით მესამე მატჩი მოიგო...**

## ორშაბათის ბატალიები

ტური ორშაბათს გამართული ორი შეხვედრით დაიხურა: ტურინში „იუვენტუსმა“ „ლივორნოს“ სძლია, „მილანმა“ კი გასვლაზე „ჯენოა“ დაამარცხა. „ვეკია სენიორამ“ პირველივე ტაიმში გაიტანა ორივე გოლი და გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. **ფერნანდო ლორენტემ** დუბლი შეასრულა - ჯერ მცველთან ჭიდილში გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე და „ცხრიანი“ დალაშქრა, შემდეგ კი **ანდრეა პირლოს** კუთხურით ისარგებლა და თავური დარტყმით აილო „კომუნისტთა“ კარი. მეორე ნახევარი, **ანტონიო კონტეს** შეგირდებმა ბურთის გორებაში გალიეს და მშვიდად ჩაიწერეს აქტივში სამი ქულა.

„მილანმა“ რთული ბრძოლა გადაიტანა გენუაში და საბოლოოდ, მიჯრით მესამე გამარჯვება მოიპოვა. სტუმრები ორი ბურთის სხვაობით იგებდნენ და ორივე გოლი მეტად ეფექტური გაიტანეს. **ადელ ტაარაბტმა** ბურთი მოედნის ცენტრთან ახლოს მიიღო, მცველს ოსტატურად აუარა გვერდი, დასარტყამ პოზიციაზე გავიდა და მეკარისაგან მარჯვენა დაბალი კუთხე დალაშქრა. მეორე ტაიმში **კეისუკე ჰონდა** გამოირჩა, რომელმაც პირველი გოლი გაიტანა „მილანის“ შემადგენლობაში - იაპონელიც ერთ მეტოქეს გაცდა და წინ გამოჭრილ მეკარეს ბურთი თავზე გადაატარა. მასპინძლები იოლად არ დანებდნენ, ერთი ბურთი გაქვითეს და რომ არა **კრისტიან აბიატის** ბრწყინვალე თამაში, ქულასაც აილებდნენ. საბოლოოდ, „როსონერიმ“ იძალა, **კლარენს ზეედორფმა** კი მოკლე კომენტარი გააკეთა:

*„ამ გამარჯვებით ევროპალიგის საგზურს მივუახლოვდით და შესაბამისად, ძალიან კმაყოფილი ვარ. შეგირდებმა დავალებები პირნათლად შეასრულეს და მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. წინ კიდევ არაერთი ურთულესი მატჩია და მოდუნების უფლება არ გვაქვს. ჯერ კიდევ დასამტკიცებელი გვაქვს, რომ კარგი გუნდი გვყავს და თანაც, კონკრეტულ მიზანს ვართ შეჭიდებულნი“.*

## დესტრო - იმობილე

ფეხბურთი, ისევე როგორც ცხოვრება, მოულოდნელობებით არის აღსავსე - სულ ახლო წარსულში ვერავინ იფიქრებდა, რომ 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის იტალიელთა იმედები **ჩირო იმობილესა** და **მატია დესტროზე** იქნებოდა დამყარებული. მართალია, ჩეზარე პრანდელი ჯერ კიდევ **მარიო ბალოტელისა** და **პაბლო ოსვალდოზე** აკეთებს აქცენტს, მაგრამ ტიფოზები სულ უფრო აქტიურად ითხოვენ, რომ ფსონი დესტრო-იმობილეს ტანდემზე გაკეთდეს.... ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც პრანდელის და გულშემატკივრების აზრები ასე გაყოფილია. არადა, იტალიაში ძალიან დაუძველდათ მწვრთნელის ქომაგებთან დაპირისპირება, რომლის არაერთი მაგალითის გახსენება შეიძლება. განხეთქილების საბაბი ყოფილა **რობერტო ბაჯო, ალესანდრო დელ პიერო, ანტონიო კასანო** და კიდევ არაერთი ფეხბურთელი... მართალია, ვერც დესტრო და ვერც იმობილე ჩამოთვლილებთან ახლოსაც ვერ მიდიან, მაგრამ აქაც ანალოგიურ აზრთა სხვადასხვაობასთან გვაქვს საქმე. ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში, პრანდელიმ დესტროც იხმო და იმობილეც, თუმცა დიდი სათამაშო დრო არ მიუცია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

კინალამ დაგვავიწყდა - ჩირო იმობილემ მორიგი გოლი შეაგდო და ბომბარდირთა დავაში **კარლოს ტევესს** გაუთანაბრდა, მატია დესტრომ კი ჰეთ-თრიკი შეასრულა და ხსენებულ ფორვარდებს კვალში უდგას.

## ახალი თაობა

ჩირო იმობილე 24 წლისაა, მატია დესტრო კი 23-ის, თუმცა სერია A-ში უფრო ახალგაზრდა ფეხბურთელებიც ბრწყინავენ. „ფიორენტინა“-“უდინეზეს“ შემდეგ, სტუმართა თავკაცმა **ფრანჩესკო გვიდოლინმა** შემდეგი განაცხადა:

*„დავმარცხდით, მაგრამ კარგ ხასიათზე ვარ, რადგან ნათლად დავინახე თუ რა დიდი პოტენციალი აქვს „უდინეზეს“. ამ ახალგაზრდებს უდიდესი მომავალი აქვთ და თუ კლუბი მათ ნაადრევ გასხვისებაზე უარს იტყვის, დიდ სიმაღლეებს დავუმიზნებთ“.*

ფრანჩესკო გვიდოლინის განკარგულებაში რამდენიმე მართლაც გამორჩეული ახალგაზრდაა. მაგალითად, 19 წლის პორტუგალიელი ვუნდერკინდი **ბრუნო ფერნანდეში**, რომელიც შემტევი ნახევარმცველია და მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობს. გნებავთ 22 წლის კოლუმბიელი თავდამსხმელი **ლუის მურიელი** და რაც მთავარია, 17 წლის იტალიელი მეკარე **სიმონე სკუფეტი**. ამ უკანასკნელს **ჯანლუიჯი ბუფონის** შემცვლელად მოიაზრებენ და ბოლო ინფორმაციით, ჩეზარე პრანდელი მის გამოძახებას უახლოესი შეხვედრისთვის აპირებს.

## ახალგაზრდა თუ ვეტერანი?

სიტყვამ მოიტანა და როგორ არ ვთქვათ, რომ „ლაციოს“ შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა **ჯოზეფ მინალას**, რომელიც ან 17 წლისაა, ან 42-ის (!!!). გემახსოვრებათ სკანდალი, რომელიც ამ ახალგაზრდა ან ვეტერანი კამერუნელი ფეხბურთელის გარშემო აგორდა. მინალას წამოცდა, რომ ის 42 წლისაა და არა 17-ის, თუმცა შემდეგ მისივე თქმული უარყო. ასეა თუ ისე, მინალას სერია A-ში დებიუტი ჰქონდა და მოედანზე გულშემატკივართა ოვაციების ფონზე შევიდა.

კამერუნელი ნახევარმცველი 77-ე წუთზე ჩაერთო თამაშში და საერთო სურათი არ გაუფუჭებია. რამდენჯერმე ჩაშალა მეტოქე გუნდის იერიში და შეტევაშიც აქტიურობდა. ვნახოთ, როგორ განვითარდება ამ უცნაური კაცის ისტორია.

## ნამდვილი იტალია

„ნაპოლი“ „პარმასთან“ დამარცხდა და ჩამოშორდა მეორე ადგილისთვის ბრძოლას. **რაფაელ ბენიტესის** გუნდის ერთადერთი მიზანი მესამე ადგილის შენარჩუნება და შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურის მოპოვებაა. ემილიური მატჩის შემდეგ, „ნაპოლის“ პრეზიდენტს დანა პირს არ უხსნიდა და მანქანაში ჩაჯდომისას აბეზარ ჟურნალისტებს იგერიებდა - ამ დროს, სენიორ **აურელიოსთან** „ნაპოლის“ ერთ-ერთი ტიფოზი მიიჭრა და ის **ესეკიელ ლავეცისა** და **ედინსონ კავანის** გასხვისებისთვის შეურაცხყო. **დე ლაურენტისმა** ვერ მოითმინა და ქომაგს ქეჩოში წვდა, რის შემდეგაც საქმეში დაცვის წევრები ჩაერივნენ. საბოლოოდ, დე ლაურენტისმა „ენიო ტარდინი“ მშვიდობით დატოვა და უკვე ნეაპოლში გააკეთა კომენტარი:

*„ყოველ ზამთარ-ზაფხულს ათობით მილიონს ვხარჯავ იმისთვის, რომ „ნაპოლიმ“ წარმატებას მიაღწიოს და როგორც ჩანს, ბევრისთვის ესეც ცოტაა. ჩვენი გუნდი ასეთ უმადურ გულშემატკივრებს არ იმსახურებს და იმედია, სხვებს ჩემ მიმართ ნაკლები პრეტენზია აქვთ. ჩვენი მიზანი „ნაპოლის“ ევროპულ გრანდად ქცევაა და თუ დამაცდიან, კარგს იზამენ“.*

ამასობაში, „ინტერი“ ჩაეფლო კრიზისში და როგორც იტალიელი ჟურნალისტები წერენ, ამ ჩავარდნამ გადაწყვიტა კიდეც **ვალტერ მაცარის** ბედი. „კორიერე დელო სპორტის“ მტკიცებით, გადაწყვეტილი ამბავია, რომ მაცარი დატოვებს გუნდს და მას სხვა სპეციალისტი შეცვლის. ბოლო ინფორმაციით, ყველაზე დიდი შანსი **რობერტო მანჩინის** აქვს, რომელიც ამჟამად თურქული „გალათასარაის“ მწვრთნელია. ამ თემაზე, აპენინელმა ჟურნალისტმა მაცარის ჰკითხა, რომელსაც ნერვებმა უმტყუნა და საქმე განევ-გამოწევამდე მივიდა... ჟურნალისტი ირწმუნება, რომ მაცარის მისი ფოტოაპარატის დამტვრევა სურდა, მაგრამ სურვილი საქმედ ვერ აქცია. გახსოვთ ალბათ, ერთ-ერთი მატჩისას, ანერვიულებულმა მწვრთნელმა მინერალური წყლის ბოთლი დალეჯა.

**ლაშა წიკლაური**

**სიმბოლური ნაკრები**




ამბებიბლიოთეკა

## რიჩარდსმა გადაწყვიტა

9-წლიანი სამსახურის შემდეგ „მანჩესტერ სიტის“ 25 წლის მარჯვენა მცველ **მიკა რიჩარდსს** კარიერის გადასარჩენად ახალი კლუბის მონახვა სურს. ერთ დროს ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს **მანუელ პელეგრინის** გუნდში ხშირად სათადარიგოთა შორისაც კი უჭირს მოხვედრა. მიმდინარე სეზონში ჩილელმა მწვრთნელმა მას ჩემპიონატში მხოლოდ ორჯერ მისცა თავის გამოჩენის საშუალება. რიჩარდსს მშობლიურ კლუბთან კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულზე უმთავრდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

## პსჟ და რეალი ერთმანეთს ეჯიბრებიან

ესპანური პრესას თუ დავუჯერებთ, მადრიდის „რეალი“ მზად არის, დიდი თანხა დახარჯოს იმისთვის, რომ „პარი სენ-ჟერმენის“ წინადადება გადაფაროს და ხელში ლონდონის „ჩელსის“ ახალგაზრდა შემტევები **ედენ აზარი** და **ოსკარი** ჩაიგდოს. მართალია, „ლურჯებს“ არც ბელგიელის და არც ბრაზილიელის გაშვება არ უნდათ და **ჟოზე მოურინიომ** ცოტა ხნის წინ თქვა, მსურველებს ორივე ერთად მესამედი მილიარდი დაუჯდებათო, მაგრამ პარიზელები და მადრიდელები დანებებას არ აპირებენ. ბოლო ინფორმაციით, „სამეფო გუნდი“ 80 მილიონს ამზადებს. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში აზარის ანგარიშზე 45 მატჩში 17 გოლია, ხოლო, ოსკარმა 43 თამაშში 11-ჯერ გამოიჩინა თავი.

## ავივაზე ირლანდია-ინგლისი დაიგეგმა

ინგლისის ნაკრებმა მორიგი ამხანაგური მატჩი დაგეგმა. **როი ჰოჯსონის** გუნდი 2015 წლის 7 ივნისს ირლანდიას შეხვდება. თამაში რეკონსტრუქციაგადატანილ „ავივა სტედიუმზე“ გაიმართება, რომელიც 51700 მაყურებელს იტევს. შეგახსენებთ, რომ ეს ნაკრებები ერთმანეთს 2013 წლის მაისში შეხვდნენ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის 150-წლისადმი მიძღვნილ მატჩში, რომელიც 1:1 დასრულდა.

## ცუდი ამბები რომაში

იტალიურმა „რომამ“ **მეჰდი ბენატია** სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე დაკარგა. „უდინეზედან“ მიყვანილი მაროკოელი მალევე იქცა „გლადიატორთა“ დაცვის ლიდერად და უკანახაზში მათი ასეთი კარგი თამაში დიდწილად სწორედ მისი დამსახურებაა. თუმცა ბენატია წინა ტურის შეხვედრაში დაშავდა და იტალიური პრესა გვამცნობს, რომ მას დაახლოებით ერთი თვე მოუწევს უქმობა. „ჯალოროსის“ ბანაკში კიდევ ერთი ცუდი ამბავია - უკვე გაუწყეთ, რომ „კალიარისთან“ მატჩის გმირმა **მატია დესტრომ** თითქოს განგებ ჩაარტყა სახეში ხელი სარდინიოელთა მცველს **დავიდე ასტორის** და მას დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა. ვარაუდი გამართლდა, დისციპლინარულმა კომიტეტმა ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ ჩათვალა, რომ დესტრომ განგებ იუხეშა და იგი 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

## დინამომ პეტრესკუ გაუშვა და ჩერჩესოვი მიიყვანა

საბოლოოდ გადაწყდა **სტანისლავ ჩერჩესოვის** ბედი. მისი მთავარ მწვრთნელად მიყვანა ძალიან უნდოდა მოსკოვის „სპარტაკს“, რომელსაც თანაქალაქელმა „დინამომ“ აჯობა. „ანჟისთან“ სამარცხვინო ნაგება „დინამოს“ ხელმძღვანელებმა ველარ აიტანეს და რუმინელი **დან პეტრესკუ** გაათავისუფლეს. თავის მხრივ, ჩერჩესოვის გარეშე დარჩენილმა „ამკარმა“ უკვე დაიწყო ახალი მწვრთნელის ძიება.

*„მე აქ კარგი პერიოდი გავატარე და მადლობელი ვარ. ჩერჩესოვს გაუმართლა, იგი ძალიან კარგ გუნდში მოდის და დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში „დინამო“ თავის სიტყვას იტყვის“* - თქვა პეტრესკუმ.

**გიორგი პაპაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIII ტურის შეჯამება

# ლივერპული რეკორდსმენთა ოთხეულში



„ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელი ბრენდან როჯერსი

„ლივერპული“ „აპტონ პარკს“ ლიდერის რანგში ეწვია და დაძაბულობისა თუ სამსაჯო შეცდომების ფონზე საბოლოოდ, მაინც გამარჯვებული დარჩა. **ენტონი ტეილორს** შეცდომები კონკრეტულად რომელიმე გუნდის სასარგებლოდ არ დაუშვია, ასე რომ, მანჩესტერელს მიკერძოებას ვერ დავაბრალებთ. ეს შეხვედრის მხოლოდ ერთი მხარე იყო, მეორე მხრივ კი სასიამოვნოა, რომ **ბრენდან როჯერსის** გუნდმა გაუძლო ასეთ ზეწოლას და ლიდერობა შეინარჩუნა. ამას „წითლების“ მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში ნუ ჩამოგვართმევთ. უბრალოდ, უქმეებზე „ენფილდს“ „მანჩესტერ სიტი“ უნდა ესტუმროს, დიდი მატჩის დაწყებამდე კი მასპინძელთა პირველი ადგილი ინტრიგას კიდევ უფრო ალვივებს, რაც პრემიერლიგის ნეიტრალურ მაყურებელს შეუძლებელია, არ ახარებდეს. საშუალო ცეცხლზე გამოჭედილი მერსისაიდული ხმალი რამდენად მზად იქნება სეზონის უმნიშვნელოვანესი ქარტეხილებისთვის (სიტის გარდა არენას მალე „ჩელსიც“ ინვევა), ამის თქმა წინდაწინ ძალიან ძნელია. აი, რა თქვა მატჩის შემდგომ ინტერვიუში „ლივერპულის“ თავკაცმა:

*- ვაღიარებ, რომ არბიტრმა რამდენიმე საკამათო გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ არამხოლოდ ჩვენს სასარგებლოდ. ვფიქრობ, მიუხედავად ყველაფრისა, დღევანდელი გამარჯვება 100%-ით დავიმსახურეთ. მეტოქემ დღეს ჩვენი კარის მიმართულებით ერთადერთხელ დაარტყა და ისიც წესების დარღვევის შემდეგ. შეგიძლიათ, ნახოთ გამეორებაზე და თავად დარწმუნდებით. მასპინძელთა კარში დანიშნული პენალტების სამართლიანობაში კი დარწმუნებული ვარ. პირველ ეპიზოდში ხელით თამაში აშკარა იყო, მეორე შემთხვევაში კი მეკარემ ფლენაგანს ფეხში აშკარად გამოსდო. უკვე მომდევნო თამაშის მოლოდინით ვცხოვრობთ. დარწმუნებული ვარ, „სიტისთან“ მატჩზე „ენფილდი“ განსაკუთრებულ შეხვედრას მოგვიწყობს.*

## ტურის ფაქტები

„სიტიმ“ „საუთჰემპტონი“ საკუთარ არენაზე ზედიზედ მეოთხედ დაამარცხა.

„წმინდანების“ რიგებში **რიკი ლამბერტმა** 31-დან 31-ე პენალტი გაიტანა.

2013 წლის მაისში „ნიუკასლი“-“ქუინზ პარკის“ შემდეგ პრემიერლიგაში პირველად მოხდა, რომ თამაშში პენალტი ორივე გუნდმა გაიტანა.

**ალექსანდარ კოლაროვს** მცველებს შორის ყველაზე მეტი, 6 შედეგიანი საგოლე გადაცემა დაუგროვდა.

■ ■ ■

ბირმინგემის „ვილა პარკზე“ სტუმარმა გუნდებმა მეთორმეტედ გახსნეს ანგარიში.

„ფულჰემის“ რიგებში წელს პირველად ითამაშა **მაჰამადუ დიარამ**. მალელი დედაქალაქელთა რიგებში სეზონში 38-ე ფეხბურთელი აღმოჩნდა, რაც პრემიერლიგის ყველა დროის რეკორდია.

■ ■ ■

„კრისტალ პალასის“ **ჯეისონ პანჩეონმა** „კარდიფთან“ შეხვედრაში პირველი პრემიერლიგური დუბლი შეასრულა.

„კრისტალ პალასს“ გასვლაზე ერთზე მეტი გოლი ბოლოს 2005 წლის მაისში ჰქონდა გატანილი „ჩარლტონთან“ (2:2), 3-ჯერ კი მხოლოდ ერთხელ, 1997 წლის ოქტომბერში გამოიჩინა თავი „შეფილდ უენსდისთან“ (3:1). ასე რომ, შაბათის 3:0 სარეკორდო ანგარიში აღმოჩნდა.

■ ■ ■

„ჰალმა“ პრემიერლიგაში პირველად მოიგო მიჯრით 2 საშინაო შეხვედრა. „სუონსიმდე“ (1:0) მან „ვესტ ბრომვიჩი“ დაამარცხა (2:0).

სტუმრად „სუონსის“ მოუგებელმა სერიამ 11 მატჩს მიაღწია.

■ ■ ■

**დევიდ მოიესმა** „იუნაიტედს“ 49-ე შეხვედრაში უხელმძღვანელა და ზედიზედ ორჯერ ერთი და იგივე შემადგენლობა ჯერ არ დაუყენებია.

„ნიუკასლთან“ მატჩის 39-ე წუთზე **ხუან მატას** გოლი 36-ე აღმოჩნდა, რომელიც პირდაპირ ჯარიმიდან გავიდა. ამაზე მეტჯერ (41) გუნდებმა სტანდარტულიდან მხოლოდ ერთხელ, 2007/08-ის სეზონში გამოიჩინეს თავი.

„იუნაიტედს“ ბოლო 5 გასვლით შეხვედრაში გოლი არ გაუშვია. ბოლო 4 კი მან მიჯრით მოიგო.

„ნიუკასლმა“ ბოლო 15-დან 11 შეხვედრაში გოლის გატანა საერთოდ ვერ მოახერხა.

■ ■ ■

„ვესტ ბრომვიჩმა“ ნორვიჩის „კეროუ როუდზე“ ბოლო 5-დან 4-ჯერ იმარჯვა (1წ).

„ვესტ ბრომვიჩმა“ ბოლო 11 შეხვედრაში პირველად მოახერხა კარის მშრალად შენახვა.

■ ■ ■

**ფრენკ ლემპარდი** „სტოკთან“ გატანილი გოლით პრემიერლიგის ყველა დროის ბომბარდირთა დავაში **უეინ რუნის** დაეწია. ამჟამად მათ ანგარიშზე 171-171 გოლია.

„ჩელსის“ ლეგენდამ „მეთიხეებთან“ კარიერაში 50-ე პენალტი დაარტყა, საიდანაც 7 ვერ გაიტანა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მან ბოლო 5-დან 3 ვერ გამოიყენა.

„ჩელსის“ „სტემფორდ ბრიჯზე“ უკვე 6 ტურია არ გაუშვია.

„სტოკმა“ პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში მე-7 თამაში დათმო 3 ან მეტი ბურთის სხვაობით.

■ ■ ■

„ევერტონმა“ „არსენალთან“ 13-თამაშიანი მოუგებელი სერია (5ფ, 8წ) შეწყვიტა.

„ევერტონმა“ ზედიზედ 4 შეხვედრაში გაიტანა 3 გოლი. მსგავსი სერია გუნდს 1987 წლის იანვრის შემდეგ არ ჰქონია.

„ევერტონს“ ბოლო 6-დან 6 მოგება აქვს. მომდევნო ტურში სანდერლენდის „სტედიუმ ოფ ლაითსზე“ მერსისაიდელებს საკლუბო რეკორდის დამყარება შეუძლიათ.

„არსენალმა“ 40 გოლიდან ზუსტად ნახევარი 5 გასვლით შეხვედრაში გაუშვა - „ჩელსისთან“, „ლივერპულთან“, „მანჩესტერ სიტისთან“ და „ევერტონთან“.

„მეთოფეებმა“ უკანასკნელ 11 ტურში მხოლოდ 3 თამაში მოიგეს და 4-ჯერ ითამაშეს ფრედ, ანუ მაქსიმალური 33 ქულიდან 13 აიღეს.

■ ■ ■

**სტივენ ჯერარდს** უკვე 10 პენალტი დაუგროვდა. ამაზე მეტი თერთმეტმეტრიანი სეზონის განმავლობაში მხოლოდ **ენდი ჯონსონს** (2004/05, კრისტალ პალასი) აქვს დარტყმული.

„ლივერპული“ მხოლოდ მეოთხე გუნდია, ვისაც სეზონში 90 და მეტი გოლი დაუგროვდა. ასეთი შედეგი ჰქონდათ „ჩელსის“ (2009/10-ის სეზონი, 103 გოლი), „მანჩესტერ იუნაიტედსა“ (1999/2000-ის სეზონი, 97 გოლი) და „მანჩესტერ სიტის“ (2011/12-ის სეზონი, 93 გოლი).

სეზონში პირველად მოხდა, რომ „ლივერპულმა“ მოიგო, მაგრამ არც **ლუის სუარესს** და არც **დენიელ სტარიჯს** არ გაუტანიათ.

■ ■ ■

„ტოტენჰემმა“ სეზონის სარეკორდო, 18 საგოლე მომენტი გააფუჭა „სანდერლენდის“ კართან.

ტოტენჰემელმა **ჰარი კეინმა** პირველად ითამაშა ძირითადში და უმალ გაიტანა.

### სტატისტიკა XXXIII ტურის შემდეგ

#### საუკეთესო ბომბარდირები

29 - ლუის სუარესი (ლივერპული)
20 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)
18 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)
15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), ჯეი როდრიგესი (საუთჰემპტონი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)

#### საუკეთესო მეპასეები

11 - ლუის სუარესი (ლივერპული)
10 - რიკი ლამბერტი (საუთჰემპტონი)
9 - სტივენ ჯერარდი (ლივერპული), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი)

#### გოლი+პასი

40 - ლუის სუარესი (ლივერპული) - 29+11
27 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული) - 20+7
24 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 15+9
23 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი) - 18+5

#### ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები

12 - კევინ ნოლანი (ვესტ ჰემი),
11 - ჯონათან უოლტერსი (სტოკი), რამირესი (ჩელსი), მატიო ფლამინი (არსენალი)
10 - ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი), ვეს ბრაუნი (სანდერლენდი), იონას ოლსონი (ვესტ ბრომვიჩი), ნემანია ვიდიჩი (მანჩესტერ იუნაიტედი)
წითელი ბარათი - 3 ქულა, ყვითელი – 1

#### სიმბოლური ნაკრები




ამბები

## ესპანელს ესპანელი შეცვლის

„არსენალი“ **მიკელ არტეტასთან** თანამშრომლობის გაგრძელებას რომ არ აპირებს, უკვე გარკვეულია. 32 წლის ესპანელს კონტრაქტი 2015 წლის ივნისის ბოლოს უმთავრდება. დარჩება თუ არა ვეტერანი „ემირეიტსზე“, ძნელი სათქმელია. უფრო არა, რადგან „მეთოფეებმა“ ახალგაზრდა ცენტრალური ნახევარმცველების ძებნა უკვე დაიწყეს. მათ შორის სახელდება „მალაგას“ 23 წლის წევრი **იგნასიო კამაჩოც**, ვისაც ანდალუსიელებთან კონტრაქტში წელიწადზე ცოტა მეტი რჩება და ვინც „ლა როსალედაზე“ დარჩენას აღარ გეგმავს. „მალაგა“ უბრალოდ იძულებულია, ტრანსფერით დაინტერესებული კლუბების წინადადებები მოისმინოს.

## ახალი კანდიდატურა

„ტოტენჰემში“ დანიშვნას რამდენიმე ავტორიტეტულ სპეციალისტს უწინასწარმეტყველებენ. მათ შორის ყველაზე ხშირად **ლუის ვან გაალი** სახელდება. ამ დღეებში ბრიტანულ პრესაში ერთი საინტერესო კანდიდატურაც გამოჩნდა. ვგულისხმობთ „საუთჰემპტონის“ დამრიგებელ **მაურისიო პოჩეტინიოს**. „დეზების“ ამჟამინდელ თავკაც ტიმ შერვუდს ლამის ყოველდღე უწევს ამ თემაზე კომენტარის კეთება. ინგლისელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ წარმოდგენა არ აქვს, ექნება თუ არა მომავალი „ტოტენჰემის“ საკლუბო სისტემაში მაინც.

## კიდევ ერთი სკანდალი

რუმინეთის პოლიციამ ქვეყნის პროფესიული საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელი **დუმიტრუ დრაგომირი** დააკავა. 68 წლის ფუნქციონერი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს. სამართალდამცავები კი ამტკიცებენ, რომ ხსენებულ პოსტზე მუშაობისას ის ორგანიზებას უკეთებდა ფიქტიურ აუქციონებს, რომელზეც ჩემპიონატის ჩვენების უფლებას ასხვისებდა, რეალურად კი უფლებას იმას აძლევდა, ვისგანაც მეტ შემოსავალს ელოდა. ამას გარდა დრაგომირი უკანონო შემოსავლების გათეთრებასაც ახერხებდა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებს მალავდა.

ეს რუმინულ ფეხბურთში პირველი მსგავსი ხმაურიანი საქმე არ არის. თებერვალში ბუქარესტის სააპელაციო სასამართლომ სხვადასხვა რანგის საფეხბურთო ჩინოვნიკები (საერთო ჯამში 12 ადამიანი) სცნო დამნაშავედ.

## ნიუკასლი ბენ არფას უშვებს

**ჰატემ ბენ არფამ** „ნიუკასლში“ სეზონი მაღალ დონეზე დაიწყო, თუმცა 27 წლის ფრანგის ენთუზიაზმი მალევე ამოიწურა. რეალურად ის უკვე დიდი ხანია, სათადარიგო ფეხბურთელად გადაიქცა. როგორც ინგლისურ პრესაში იწერება, ბენ არფა ერთ-ერთი რეალური კანდიდატურაა ტრანსფერზე დასაყენებლად. „სანის“ მტკიცებით, ბენ არფას გზასვე დაადგებიან **სილვენ მარვოც** და **გაბრიელ ობერტანიც**.

## ლივერპული ფავორიტად იქცა

დიახ, ზუსტად ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება იმ ინფორმაციებიდან გამომდინარე, რაც ბოლო დღეებში „რეალის“ 26 წლის პორტუგალიელი განაპირა მცველის **ფაბიო კოენტრაუს** შესახებ ესპანური და ინგლისური პრესით ვრცელდება. პორტუგალიელი ფეხბურთელით რამდენიმე ამბიციური კლუბია დაინტერესებული, მათ შორის „მონაკო“, თუმცა მერსისაიდელები ამ ეტაპზე ყველაზე მეტად აქტიურობენ. სამეფო კლუბი მსურველებისგან ტრანსფერის სანაცვლოდ 14 მილიონ ევროს ითხოვს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ზიზილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/14 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ

# ატლეტიკო VS ბარსელონა: როგორც მესი და როგორც რონალდო


დიეგო სიმეონე მატჩისწინა პრესკონფერენციაზე

**გადაწყდება ყველაფერი 90 წუთში? დიდი შანსია არც გადაწყდეს - „ატლეტიკოსა“ და „ბარსელონას“ შორის ბოლო მატჩებში სულ დაძაბული ბრძოლაა, თუმცა ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ერთი ფეხბურთელის ჯანმრთელობაზე - მასპინძელი დიეგო კოშტა მოიკოჭლებს და თუ ვერ ითამაშა, „ბარსას“ ხელ-ფეხი გაეხსნება...**

## მატჩის წინ

**დიეგო სიმეონე (ატლეტიკო):** *„უნდა დავაკვირდეთ დიეგო კოშტას მდგომარეობას. ის ივარჯიშებს საღამოს და ვნახოთ. ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, ითამაშებს იმ შემთხვევაში, თუ 100 პროცენტით მზად იქნება. უკვე მაქვს ნათქვამი, დიეგო კოშტა ჩვენთვის იგივეა, რაც მესი „ბარსასთვის“ და რაც რონალდო „რეალისთვის“.*

*თუკი დიეგო ვერ ითამაშებს, მას ადრიან ლოპესი შეცვლის. თუ ის ითამაშებს, დარწმუნებული ვარ, გულს და სულს ჩადებს და გუნდს ძალზე გამოადგება. ჩვენ წინა თამაშებში მივმართეთ როტაციას, რაც აუცილებელია, თუ გსურს გუნდი გადაღლილობისგან დაიცვა. ფიზიკურად ინტენსიურად ვემზადებით, რომ სეზონის ამ დროსაც კი კარგად გამოვიყურებოდეთ.*

*სამწუხაროდ, ჯერ უცნობია არდა თურანის თამა-*









შის საკითხიც, მასაც უნდა დავაკვირდეთ.

გუნდში მეკარეზე ბევრია დამოკიდებული - ჩვენ გვჯერა ტიბო კურტუასი, ის დიდებულ ფორმაშია, რაც მან „ბარსელონასთან" თამაშში დაამტკიცა კიდევაც".

**ხერარდო მარტინო** (ბარსელონა): „ორივე გუნდი დიდი მიზნისთვის იბრძვის, სასწორზე ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალია. ჩვენ გვსურს გამარჯვება 90 წუთში მოვიპოვოთ და დამატებითი ტაიმები თავიდან ავიცილოთ.

ჩვენ შორის პირველი მატჩი თანაბარძალოვანი გამოდგა, თუმცა მეორე ტაიმში ჩვენ უკეთ ვითამაშეთ. ახლაც ძალიან ძნელი მატჩი გველის, მაგრამ თუკი შევძლებთ ბურთზე კონტროლის მოპოვებას და პირველ გოლსაც გავიტანთ, სულ სხვანაირად შეიძლება განვითარდეს მოვლენები.

„ატლეტიკო" ისეთი გუნდი არაა, რომ 90 წუთის განმავლობაში მოვლენების კონტროლის უფლება მოგვცეს. მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით ამას, რადგან ეს ჩვენი თამაშის სტილია. რაც შეეხება დიეგო კოშტას, ალბათ, ჩემი ვიზავი ბოლო წამამდე დაელოდება მას და შეხედავს, თუ ითამაშებს, რადგან ასეთი ფეხბურთელებისთვის ლოდინი ღირს.

ვერ ვიტყვი, როგორ დასრულდება მატჩი, არ მიყვარს პროგნოზების კეთება, მაგრამ ჩვენი მიზანია, „ატლეტიკოზე" უკეთ ვითამაშოთ და მოვიგოთ ორმატჩიანი დაპირისპირება. ხვალ ორი ძალზე განსხვავებული ტიპის გუნდების დაპირისპირებაა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს".

### ბოლო მატჩი

**ატლეტიკო:** დიეგო სიმეონეს გუნდმა „ვისენტე კალდერონზე" გენერალური რეპეტიცია გაიარა - „ვილიარეალს" **რაულ გარსიას** თავურის წყალობით მოუგო - 1:0.

**ბარსელონა: ხერარდო მარტინოს** გუნდმა მთლად დამაჯერებლად ვერ მოუგო ჩემპიონატის უპირობო აუტსაიდერ „ბეტისს" - 3:1. **ლეო მესიმ** დუბლი შეასრულა, ერთხელ პენალტით, მეორედ კი პენალტზე დამატებული დარტყმით. ამ გოლებს შორის კი იყო სტუმარი **ხორდი გიგერასის** ავტოგოლი.

### მთავარი დანაკლისი

**ატლეტიკო: დიეგო კოშტა** (თუ ვერ შეძლო თამაში)

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი (ტრავმა)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

09.04. მადრიდი
ვისენტე კალდერონი
22:45

**ატლეტიკო**

| ბოლო 6 მატჩი ლიგაში | |
|---|---|
| +4=2-0 | +4=1-1 |

არბიტრი
ჰოვარდ ვები (ინგ)
I მატჩი: 1:1

**ბარსელონა**

სავარაუდო შემადგენლობები




დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: არდა თურანი (?), დიეგო კოშტა (?) - პუიოლი (?), დოს სანტოსი, კუენკა, პიკე, ვალდესი

# ბაიერნი VS იუნაიტედი:




დავიდ მოიესი (მარცხნივ) და პეპ გვარდიოლა

**რა შანსი აქვს „მანჩესტერ იუნაიტედს"? მათ მწვრთნელს თუ დავეკითხებით, საკმაოდ კარგი - დევიდ მოიესის გუნდი „ალიანს არენაზე" ჩადის, სადაც მოქმედი ჩემპიონი დაუხვდება...**

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბაიერნი): „მეოთხედფინალში მეორე შანსი არ მოგეცემა, პირველივე უნდა გამოიყენო. ზეწოლა ძალზე დიდია, მაგრამ ჩვენ ასეთ შემთხვევაში მუდამ კარგად ვთამაშობთ. ასე რომ, ყველაფერს პატარა ტაქტიკური დეტალები გადაწყვეტს. მანჩესტერული გამოცდილების შემდეგ ჩემმა ფეხბურთელებმა კარგად იციან მეტოქის ძლიერი და სუსტი მხარეები.

„მანჩესტერ იუნაიტედი" ძალიან დიდი გუნდია, პირველი თამაშის წინ ყველა მხოლოდ „ბაიერნზე" ლაპარაკობდა. ახლა კი ყველამ დაინახა - „მანჩესტერს" ბევრი რამ შეუძლია, მიუნხენში მოგებაც კი. მაგრამ ჩვენ საკუთარი ფანების წინაშე, არაფრის დათმობას არ ვაპირებთ".

**დევიდ მოიესი** (მანჩესტერ იუნაიტედი): „ველი, რომ ჩვენ უკეთ ვითამაშებთ, ვიდრე ეს მანჩესტერში გავაკეთეთ. მე მჯერა, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია - ჩვენ შეგვიძლია ნახევარფინალში გასვლა.

მაგრამ ამისთვის საჭიროა, თითოეულმა ჩვენგანმა ძალების ასი პროცენტი გამოავლინოს. მეტოქე იმდენად ძლიერია, რომ მოედანზე „ტურისტებს" ვერ ავიტანთ. ყველამ თავი უნდა დადოს და საუკეთესო თვისებები გამოაჩინოს.

მოკლედ, „მანჩესტერ იუნაიტედის" მიზანი ნახევარფინალში გასვლაა, ამას ვითხოვ მე ბიჭებისგან და ისინიც მზად არიან საბრძოლველად, გუნდი მობილიზებულია და ერთი მიზნისთვის შემართული".

### ბოლო მატჩი

**ბაიერნი:** 500-ზე მეტი დღე „ბაიერნს" მარცხის გემო არ გაესინჯა და მოულოდნელად, „აუგსბურგთან" 0:1 დამარცხდა, თუმცა ხოსეპ გვარდიოლას გუნდს ექსპერიმენტული ერქვა.

**მანჩესტერი:** დევიდ მოიესის გუნდმა აკრიფა! ბოლო ტურში სტუმრად „ნიუკასლ იუნაიტედი" 4:0 გაანადგურა. **ხუან მატამ** დუბლი შეასრულა და ქუსლით საგოლე პასი გაუკეთა **ადნან იანუზაის**. „სენტ ჯეიმს პარკზე" ერთი გოლიც **ხავიერ ერნანდესმა** გაიტანა.

### მთავარი დანაკლისი

**ბაიერნი:** ბასტიან შვაინშტაიგერი (ტრავმა)

**მანჩესტერი:** რობინ ვან პერსი (ტრავმა)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

09.04. მიუნხენი
ალიანს არენა
22:45

**ბაიერნი**

| ბოლო 6 მატჩი ლიგაში | |
|---|---|
| +3=2-1 | +3=2-1 |

არბიტრი
იონას ერიქსონი (შვე)
I მატჩი: 1:1

**მანჩესტერი**

სავარაუდო შემადგენლობები




დისკვალიფიკაცია: ხ. მარტინესი, შვაინშტაიგერი - მატა

ტრავმა: ტ. ალკანტარა, შაჩირი, კონტენტო, შტარკე - ვან პერსი, რაფაელი (?), იანგი (?), ევანსი (?), გიგზი (?), რუნი (?)




მიიღე მონაწილეობა ყატარის ავიახაზების ვიქტორინაში

გაიმარჯვე და გაემგზავრე ბარსელონაში!

კითხვებზე პასუხი გამოაგზავნეთ 2014 წლის 1 მაისამდე. გამარჯვებული მიიღებს უფასო ავიაბილეთს ბარსელონას მიმართულებით.

აგრეთვე გათამაშდება წამახალისებელი პრიზები: ბარსელონას კლუბის მაისურები, ბურთები და სხვა ატრიბუტიკა.

გამოაგზავნეთ პასუხები მისამართზე:
infotbs@ge.qatarairways.com და მიუთითეთ საკუთარი სახელი, გვარი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

1. რომელი კომპანია არის საფეხბურთო კლუბ ბარსელონას სატიტულო სპონსორი და რომელი წლიდან?
2. რა გამარჯვება იყო ყველაზე დიდი ბარსელონას ისტორიაში, რომელ წელს, რომელ ტურნირში და რომელ მეტოქეზე?
3. რომელ წელს გაიტანა ბარსელონამ ესპანეთის ჩემპიონატის ერთ სეზონში გოლების ყველაზე დიდი რაოდენობა და რამდენი?
4. რომელ წელს გაუშვა ბარსელონამ ესპანეთის ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები გოლი და რამდენი?
5. ვინ გახდება 2013/14 წლის ბარსელონას საუკეთესო ბომბარდირი ესპანეთის ჩემპიონატში და რამდენ გოლს გაიტანს?
6. რომელ ადგილზე დაამთავრებს ბარსელონა 2013/14 წლის ესპანეთის ჩემპიონატს?
7. რამდენ გამარჯვებას მოიპოვებს ბარსელონა 2013- 2014 წლის ესპანეთის ჩემპიონატში?

გისურვებთ წარმატებას!

ინტერვიუ გიორგი ცირეკიძესთან

# მშრომელი ქუთაისელი

ფინურ ვანტააში, ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე ქუთაისელი **გიორგი ცირეკიძე** ჩვენი გუნდის ერთადერთი მედალოსანი გახდა - 80 კილოგრამში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მას ჰაერივით მოუხდა ახალი წონითი კატეგორიის შემოღება. ერთხელ ნაკრების მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ მითხრა, 80 კილოგრამი ცირეკიძეზეა ზედგამოჭრილიო და აქ მართლაც წარმატებით წავიდა მისი კარიერა, თორემ აქამდე ეროვნულ ნაკრებში ვერ მოიკიდა ფეხი - პირველხარისხოვან ტურნირზე პირველად შარშან მსოფლიოზე იჭიდავა, მაგრამ წააგო, ახლა კი მეორედ გავიდა და კარიერაში პირველი ჯილდოც მოიპოვა.

თუმცა მართლაც საოცარია, როგორ აღწევენ წარმატებას ჩვენთან სპორტსმენები - ელგუჯა მარუაშვილისა და ვლადიმერ ადეიშვილის დაფრთიანებული შეგირდი აქამდე სასაცილოდ მიზერულ ხელფასზე, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. იმედია, ამის შემდეგ მის პრობლემასაც მოევლება. რომ არა ხასიათის სიმტკიცე, იქნებ ადრევე მიეტოვებინა ჭიდაობა. მით უფრო, სკოლაში კარგად სწავლობდა და მშობლებს მისთვის სხვა გზა ესახებოდათ, სპორტის გაგონებაც არ უნდოდათ. არადა, ევროპის ჩემპიონატზე ცირეკიძე და ზურაბ დათუნაშვილი ტექნიკური, ლამაზი ჭიდაობით გამოირჩეოდნენ ჩვენს გუნდში. მასთან ინტერვიუ. ახალ წონაზე საუბრით დავიწყეთ.

- ღმერთს მადლობა, საერთაშორისო ფედერაციას ამ წონის შემოღება საჩუქარივით გამოუვიდა - გვითხრა ცირეკიძემ. მართლაც ჩემზეა მორგებული და წლების განმავლობაში სასურველი წონა იყო. თავიდან 74-ში ბევრს ვიკლებდი, მერე 84-ში გადავედი და წონა არ მყოფნიდა, 80 კი საჩუქარივით გამოვიდა, სადაც თავს კომფორტულად ვგრძნობ. საბედნიეროდ, ადაპტაცია არ გამჭირვებია და კარგი იქნება, თუ დატოვებენ.

**- პირველი წარმატება, პირველი მედალი საკმაოდ დამაჯერებელი ჭიდაობით მოიპოვეთ.**

- ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპა ლიდერია და აქ ყველა შეხვედრა საბრძოლველია. წლების წინ არ იყო კონკურენცია, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა და ყველა ჭიდაობს, თავს შეგაკლავს, ჰაიჰარად არაფერს დაგითმობს. აქედან გამომდინარე, უფლება არ გვაქვს, რომელიმე მეტოქე არ შევაფასოთ, თორემ წაგებად დაგვიჯდება.

**- ეს კარგი ფიზიკური მომზადება, რაც ევროპაზე გამოავლინეთ, განსაკუთრებული მომზადების შედეგია თუ ბუნებრივად მოგდგამთ ბავშვობიდან?**

- გუნდის ყველა წევრი კარგად იყო მომზადებული. პირველივე შეკრებიდან დაწყებული, ყველა ეტაპი ზედმიწევნით კარგად გავიარეთ, ყველა ნიუანსი გათვლილი იყო და ყველაფერს ბოლომდე ვასრულებდით. დარჩია თავისი საქმის პროფესორია და ისე მოვემზადეთ, გუნდურ წარმატებაზეც კი ვფიქრობდით, მაგრამ მიზეზთა გამო, ასე არ მოხდა - იქ ცხადაიას წააგებინეს, იქ ლაშხთან მოხდა რაღაც, იქ - დათუნაშვილთან...

აქამდე რომ მოვედი, შრომის შედეგია - ბავშვობიდან მიყვარდა მუშაობა, არასოდეს მიზარმაცია, დღეს კი მწვრთნელები მაჩერებენ კიდეც, გეყოფა, მეტი აღარ გინდაო. მუდამ ვცდილობ, ბოლომდე ვივარჯიშო. მით უფრო, ძალისმიერ სტილში ვჭიდაობ - ბოლომდე თუ არ ჩავერთე, ვერ ვჭიდაობ. ამიტომ პირველი პერიოდი თითქმის ყოველთვის მიჭირს - ვიდრე გავხურდები და პულსი აჩქარდება... ამიტომ მეორე პერიოდს უფრო უკეთ ვჭიდაობ.

**- საკმაოდ ტექნიკურადაც ჭიდაობთ, არ გიჭირთ ლეიბიდან აქაჩვა, გადაგდება, დატრიალება, დგომშიც ხშირად აკეთებთ გდებებს, რაც ამ სტილის ჭიდაობაში იშვიათი გახდა.**

- ძალიან ტექნიკური არ ვარ, მაგრამ ჩოქბჯენში ახლა ისე ვიჭიდავე, მეც გამიკვირდა. არადა, ეს არასოდეს ყოფილა ჩემი კოზირი და მუდამ მიჭირდა ილეთის გაკეთება. ტურნირის შემდეგ რომ გავაანალიზე ჩემი გამოსვლა ფინეთში, მესიამოვნა ასეთი წინსვლა. ცხადია, ამაზე მწვრთნელებმაც ბევრი იმუშავეს - დარჩია სულ მარიგებდა ამას. ეს კომპონენტი აუცილებლად დასამატებელი იყო, რადგან ჩვენს ჭიდაობაში ეს მნიშვნელოვანია. ამასთან, საკუთარ თავზეც უნდა იმუშაო, თორემ მწვრთნელი გეტყვის დღეს, ხვალაც, მაგრამ შენ თუ არ ჩაიბეჭდე თავში, ისე არაფერი გამოვა.

**- ევროპის ჩემპიონატამდე პირადად თქვენზე რა იგეგმებოდა - მიღწეული თუ მაქსიმუმი?**

- ბორჯომში, დასკვნით შეკრებაზე პირველი სამი დღე ვგრძნობდი, რომ დღითიდღე ვუმატებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვირუსი შემხვდა, ყელი მტკიოდა და სიცხეც მქონდა. არადა, ეს საკონტროლო შეხვედრების წინ მოხდა. ამან ცოტა კი შემაფიქრიანა, მაგრამ მწვრთნელებმა რამდენიმე დღე შემასვენეს, ხოლო დარჩიამ სპარინგები სხვებზე გვიან დამინიშნა. ცოტა ეს ფაქტორი მაფერხებდა, თორემ მთელი სამუშაო პროცესი იქით მიდიოდა, რომ ჯილდო უნდა ყოფილიყო. როგორც იტყვიან, მედალი „ცხვებოდა".

შეჯიბრების დღეს აწონვის გამო სასტუმროში გვიან დავბრუნდი და კარგი საჭმელი აღარ იყო, მხოლოდ ბრინჯი და ამგვარები ანუ ნოყიერად ველარ ვივახშმე. შეჯიბრების დღეს ისედაც ვერ ვჭამ. თან იმ დღეს ასპარეზობებიც ადრე დასრულდა - პირველ საათზე წინასწარი შეხვედრებმა უკვე მომთავრებული იყო, ჭიდაობები მალ-მალე მომიწია და ვერ ამოვისუნთქე. მეოთხედფინალში სომეხთან მოულოდნელი ქულებიც დავკარგე - მეგონა, ააყენებდნენ, მაგრამ ამასობაში 6 ქულა დავკარგე. ეს არაა ცოტა, მაგრამ მოვიკრიბე ძალა და მოვიგე. ამის შემდეგ ნახევარფინალმაც მალე მომიწია უნგრელთან და გამოფიტული ვიყავი. შესვენების შემდეგ სასტუმროში რომ წავედით, კი დავისვენე და ვჭამე კიდეც, მაგრამ იმდენად ვიყავი გადაღლილი, ორგანიზმმა საკვები ვერ მიიღო. თუმცა, ეტყობა, ლეიბზე რომ შედიხარ, იქ ყველაფერი გავიწყდება და შვედს მოვუგე ბრინჯაოსთვის შეხვედრა.

**- ანუ უნგრელ პეტერ ბასცისთან შეხვედრამდე დასვენება არ გეყოთ და ძალების აღდგენა ვერ მოასწარით?**

- კი, ენერგია აღარ მქონდა. ბასცი არაა ცუდი მოჭიდავე და მერე ჩემპიონიც გახდა. მასთან წლეულს უნგრეთში დავმარცხდი, მაგრამ ის სეზონის დასაწყისი იყო, არ ვიყავი ასეთ ფორმაში, თან უნგრეთში მასპინძელს ვხვდებოდი და წამაგებინეს. ახლა სულ სხვანაირი ვითარება იყო - თავიდანვე შევუტიე, მოგება ძალიანაც მინდოდა, მაგრამ არ მომყვებოდა არც ხელები, არც - ფეხები და არაფერი.

**- სომეხ ჰრაჩ ჰოვანისიანთან სპორტული გმირობა გვაჩვენეთ, როცა 0:6 ამოუქაჩეთ. საბედნიეროდ, ხელი არ ჩაიქნიეთ, მაგრამ რა გრძნობა დაგეუფლათ ამ ანგარიშზე?**

- არ მიყვარს, როცა ბედს მიენდობი - შენ შენი ბოლომდე უნდა გასცე. თუ გამოვა - ხომ კარგი. თან, როცა მეტოქე ხედავს, რომ მთელ სულსა და გულს ჩადებ, ისიც ტყდება. ჩვენს ჭიდაობაში 6 ქულა არაფერია, თუ ფიზიკურად კარგად ხარ მომზადებული, თუმცა თავს ვადანაშაულებ, რომ ისიც არ უნდა გამეშვა. ამასთან, უკვე პირველივე პერიოდში ხელს რომ ვკიდებდი, ვგრძნობდი, სომეხი ის აღარ იყო. შესვენებისას დარჩიას და ბადრი ხასაიას ვუთხარი, უეჭველად მოვიგებ-მეთქი. ისინიც დამეთანხმნენ, კი, გატეხავო. მართლაც მოვინდომე და გავიმარჯვე. ხომ იცით - ვინც ცდილობს, ის იგებს კიდეც.

**- დილის შესვენების შემდეგ ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში შვედი ზაკარიას ბერგი ფიზიკურადაც დაჩაგრეთ და სხვა კომპონენტებშიც...**

- თუმცა მასთან თავიდან გამიჭირდა, კარგი მოჭიდავეა. როგორც ვთქვი, ამ რანგის ტურნირზე საჩუქარი არავინაა. მით უფრო, შვედები და ასეთი ძალისმიერი საჭიდაო სკოლის წარმომადგენლები, რომლებიც უხეშ, ძალისმიერ სტილს გთავაზობენ. შვედიც თავს მირტყამდა, ოღონდ ჩუმად, მსაჯებისგან მალულად. სხვათა შორის, გახურებისას დავინახე, რომ შუბლზე რაღაც მაზი წაუსვეს. შეიძლება, დარტყმის ძალა რომ შეემცირებინა, იმიტომ. ყოველ შემთხვევაში, მას არაფერი დაშავებია, თუმცა ყოველ შესვლაზე თავს მირტყამდა. მერე აღარ შევსულვარ ახლოს და ამის საშუალება არ მიმიცია, სამაგიეროდ, მსაჯებმა ორჯერ გამაფრთხილეს. სხვათა შორის, ბულგარელთანაც ორი გაფრთხილება მქონდა, როცა 7:0-ზე ჩოქბჯენში ჩამაყენეს. კიდევ ერთი გაფრთხილება და ასეთ ანგარიშზე შეიძლება წამეგო. დარჩია მაფრთხილებდა, ფეხი ოდნავადაც არ მომეხარა. მით უფრო, ჩვენ ვინ მოგვემხრობა, ვინ რას გამოგვატანს და მეც ვფიქრობდი, ჯანდაბას, რაც უნდა, გამიკეთოს, 5-ქულიანზე მეტს ხომ ვერ გამომრჩება, ოღონდ არ გამაფრთხილონ-მეთქი. ამიტომ ავყევი იმ ილეთზე და გავაკეთებინე 5-იანი. იქაც უნდოდათ ამ მოგების წართმევა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, არ გამოუვიდათ.

**- მსოფლიოსთვის რაზე აილებთ აქცენტს, რას გააძლიერებთ თქვენს არსენალში?**

- ამაზე მეც ბევრი მიფიქრია და ანალიზიც გავაკეთე, როგორ უნდა მოვიქცეთ. ახალს და რადიკალურად განსხვავებულს ვერაფერს დავამატებთ, ისევ არსებული მარაგი უნდა დავხვეწოთ და ამ გზით გავაძლიეროთ. ფინეთში რაღაც ნიუანსები მაინც გამოჩნდა - ჩოქბჯენში ვუტევდი კიდეც და თავსაც ვიცავდი, მაგრამ დგომშია რაღაცები გამოსასწორებელი - როცა ხელით შევდიოდი, მეტოქე გამირბოდა. არადა, აქედან იოლად შეიძლება ორი ქულის მოპოვება. ნებისმიერ საქმეს ანალიზი სჭირდება, რაც ყოველი დღის ბოლოს უნდა გააკეთო, სხვანაირად არ გამოვა.

**ირაკლი თავაძე**



გიორგი ცირეკიძე სომეხ ჰოვანისიანს ამარცხებს

ჩოგბურთი



სოფიო შაფათავა (მარცხნივ) და მარინა მელნიკოვა

# ძირითადში იღბლიანი წაგებულის სტატუსით

უკვე გაუწყეთ, რომ ბოგოტაში (კოლუმბია) ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 250.000 დოლარი) თბილისელმა **სოფიო შაფათავამ** საკვალიფიკაციო ეტაპზე ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო - ესპანელ ლაურა პოუს-ტიოსთან (6:3, 6:3) და ბელგიელ ისალინ ბონავენტურესთან (3:6, 6:3, 6:1), გადამწყვეტი პაექრობა კი ესპანელ ლარა არუბარენასთან სამ სეტში დათმო 6:47 3:6, 2:6. ამის მიუხედავად, ჩვენებური ძირითად ბადეში იღბლიანი წაგებულის სტატუსით მაინც მოხვდა, მას შემდეგ, რაც ოლგა გოვორცოვამ (ბელარუსი) ტრავმის გამო ასპარეზობაზე უარი თქვა. შაფათავა გუშინ პირველ წრეში გერმანელ დინა პფიცენმაიერს შეხვდა და სამ სეტში დაამარცხა - 6:4, 2:6, 6:2. წყვილებში ქართველი ჩოგბურთელი რუს მარინა მელნიკოვასთან ერთად ასპარეზობის მეორე ნომრებს - ლოურდეს დომინგეს-ლინოსა და არანჩა პარა სანტონიას გაუწევს მეტოქეობას. წარმატების შემთხვევაში ანასტასია გრიმალსკას (იტალია) და კრისტინა შაკოვეცის (გერმანია) დუეტს გაეჯიბრება.

თბილისელი ჩოგბურთელები - **ეკატერინე გორგოძე** და **სოფიო ქვაცაბაია** ანტალიის 10.000-იან საერთაშორისო ტურნირზე წყვილებში მე-2 ნომრად არიან განთესილი. გუშინ მათ სტარტზე იოლად სძლიეს მელისა გიზემისა და ესენ კოჩეს (ორივე-თურქეთი) დუეტს - 6:3, 6:0. მეოთხედფინალში ჩვენებურები პიე-ჩი ლიისა (ტაივანი) და ტინა ტეჰრანის (აშშ) დაუპირისპირდებიან. აზიურ-ამერიკულმა ტანდემმა რუსები - პოლინა ნოვოსელოვა და ანა სმოლინა ჩამოიშორეს გზიდან - 6:4, 6:1.

ერთეულებში გორგოძე მე-5 ნომერია და დღეს ჰოლანდიელ ჯეინ შეეპენსთან გაარკვევს ურთიერთობას, ხოლო ქვაცაბაია უალდ ქარდით მიწვეულ მასპინძელს - კემრე ანილს გაუწევს მეტოქეობას.

ინგლისში ქალთა ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მონაწილეობს **მარიამ ბოლქვაძე.** საკვალიფიკაციო ეტაპზე მან მასპინძელ მოლი რიიდს აჯობა - 6:2, 6:4. ძირითადი ბადის სტარტზე კი გუშინ ოსიანი ადამი (საფრანგეთი) დაამარცხა - 6:4, 6:1. მეორე წრეში ქართველი ჩოგბურთელი ლიზა საბინოს (შვეიცარია) მძლეველ (6:0, 6:0) ანა-ჯულია რემონდინას (იტალია) დაუპირისპირდება.

ყაზახეთში ვაჟთა 10.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში ორი ქართველი ცდის ძალებს. **ალექსანდრე მეტრეველმა** გუშინ რუსი ფიოდორ ჩერვიაკოვი დაამარცხა - 6:4, 6:3. **გიორგი ცივაძემ** კვალიფიკაციიდან გაიკაფა გზა - ჯერ ოიბეკ აბურახიმოვს (უზბეკეთი) აჯობა - 6:0, 6:1, შემდეგ რუს ალან ბზაროვს უგებდა 3:1-ს. მეტოქემ ტრავმის გამო შეჯიბრების გაგრძელება ვერ შეძლო. ძირითადი ბადის პირველ წრეში ცივაძე კირილ დმიტრიევს (რუსეთი) შეხვდება. თანამემამულეს მხარი ვერ აუბა **გიორგი ჯავახიშვილმა.** მართალია, საკვალიფიკაციო ეტაპზე მან პირველი ორთაბრძოლა ადილ ელტაევს (ყაზახეთი) მოუგო - 6:1, 7:5, მაგრამ მეორე პაექრობა ილია ლებედევთან (რუსეთი) დათმო - 4:6, 0:6.

წყვილებში ალექსანდრე მეტრეველი დენის ევსეევთან (ყაზახეთი) ერთად სტარტზე ასპარეზობის მესამე ნომრებს - ვლადიმირ ივანოვსა (ესტონეთი) და ივან ნედელკოს (რუსეთი) შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

ბატუტზე ხტომა

# გიმარაეშში ევროპაზე




გუშინ პორტუგალიურ გიმარაეშში საზეიმოდ გაიხსნება ბატუტზე მხტომელთა 24-ე ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც უფროსებთან ერთად ახალგაზრდებიც იასპარეზებენ. შეჯიბრების პირველი სამი დღე საკვალიფიკაციო პაექრობებს დაეთმობა: დღეს სინქრონულად მოხტუნავეები, ხვალ ახალგაზრდები, ზეგ კი - უფროსები მოსინჯავენ ძალებს. 12 აპრილს ჩემპიონებისა და პრიზიორების ვინაობას შევიტყობთ. პირველობაზე მედლებთან ერთად წლევანდელი მსოფლიოს ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშებისა და 2015 წლის ევროპის ოლიმპიური თამაშების საგზურებიც გათამაშდება. საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი **ზაურ სულაშვილი**) გიმარაეშში 10 სპორტსმენით წარდგება: სინქრონულ ხტომებში მედლებისთვის იბრძოლებენ 16-წლიანებში 2013 წლის მსოფლიოს ჩემპიონები - **ანა ოდიშვილი** და **თეონა ჯანჯღავა** (ახალგაზრდებში), **ნანა გოგაშვილი-თამარ კაკაშვილი** და **თენგიზ კოშკაძე-გიორგი ფუტკარაძე** (უფროსებში). ზემოაღნიშნულ სპორტსმენებთან ერთად ინდივიდუალურ ხტომებში იასპარეზებენ ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილე **ლუბა გოლოვინა** (უფროსებში), **ქრისტინე სორდია, ლაშა გაბაშვილი** და **ზურაბ ნოზაძე** (ახალგაზრდებში).

**ვაჟა დანელია**

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის თანამშრომელს ია ნასიძეს დედის გარდაცვალების გამო.**

**დაკრძალვა:** 10. 04; 14 საათზე. მის: თბილისი, კონიაკის დასახლება, ილორის ქ. №26

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭადრაკი

# მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრის შანსით



ბელა ხოტენაშვილი (მარცხნივ), ჰამფი კონერუ და კატერინა ლაგნო ტაშკენტის ტურნირის შემდეგ

გუშინ ხანტი-მანსიისკში საზეიმოდ გაიხსნა 20132014 წლების ფიდეს ქალთა გრან პრის მე4 ეტაპი, რომელშიც საპრიზო ადგილებისთვის სხვადასხვა ქვეყნის 12 წარმომადგენელი იბრძოლებს. ესენი არიან (რეიტინგის მიხედვით): მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2618), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2560), გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული ჟაო სიუე (ჩინეთი, 2552), 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2550), გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონი და პირად პირველობაში ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2543), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2527), მსოფლიოს ჩემპიონი ანა უშენინა (უკრაინა, 2501), ორგზის ევროპის ჩემპიონი ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2496), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2489), ოლგა გირია (რუსეთი, 2450), ტუვშინთუგს ბატჩიმეგი (მონგოლეთი (2340), ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი, 2321).

შეგახსენებთ, რომ ფიდეს გრან პრის გათამაშებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საქმე ის არის, რომ ამ ტურნირის გამარჯვებული დედოფლის გვირგვინისთვის მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს დაუპირისპირდება. საამისოდ კი მოჭადრაკემ ოთხი ეტაპიდან (სულ ექვსი ეტაპი თამაშდება) სამი საუკეთესო შედეგით ყველას უნდა აჯობოს. თითოეულ რაუნდში მოასპარეზეებისთვის ადგილების მიხედვით გამოყოფილია ქულები და სოლიდური ფულადი თანხა (ყოველ ეტაპზე 60.000 ევრო, საიდანაც გამარჯვებული მიიღებს 10.000 ევროს, მეორე-მეხუთეადგილოსნები, შესაბამისად, 8.2506.7505.750 და 5.000 ევროს. უფულოდ არც სხვები დარჩებიან, ოღონდ მათ შედარებით ნაკლები პრიზები შეხვდებათ). რაც შეეხება ქულებს, პირველი ადგილისთვის განკუთვნილია 160 ქულა, მე-2 ადგილისთვის - 130, მესამისთვის - 120, მეოთხეზე - 90, მომდევნო ადგილებზე კი 1010 ქულით ნაკლები.

ქალთა გრან პრიზე შარშან სამი ეტაპი გათამაშდა. სასტარტო ასპარეზობა ჟენევაში (შვეიცარია) 8 ქულით **ბელა ხოტენაშვილმა** მოიგო. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ანა მუზიჩუკი. 6.5-6.5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები ტატიანა კოსინცევამ და ნანა ძაგნიძემ გაიყვეს. მე-2 ეტაპზე დილიჟანში (სომხეთი), ასევე, 8 ქულით ყველას ჰამფი კონერუმ (ინდოეთი) აჯობა. 77 ქულით მეორე-მესამე ადგილებზე მუზიჩუკი და ძაგნიძე გავიდნენ. მე-3 ეტაპს ტაშკენტმა (უზბეკეთი) უმასპინძლა. იქაც 8 ქულით უძლიერესი იყო კონერუ. 77 ქულით ხოტენაშვილსა და ლაგნოს მეორე-მესამე ადგილები ხვდათ.

ამდენად, სამი ეტაპის შემდეგ გრან პრის მოგების რეალური შანსითაა ჰამფი კონერუ, რომელიც 320 ქულით (160+160) ლიდერობს და აშკარა ფავორიტია, რადგან ორი ტურნირი მარაგში აქვს. 290 ქულით (160+10+120) მეორე ადგილზეა ხოტენაშვილი. მას მხოლოდ ერთი ტურნირი დარჩა სათამაშო თბილისში, სადაც კონერუსთან უშუალო დაპირისპირება იქნება ფრიად საინტერესო. ხანტი-მანსიისკის ეტაპის წინ მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრის იმედი არ დაუკარგავთ ანა მუზიჩუკს 250 (130+120), ნანა ძაგნიძეს 220 (100+120), ტატიანა კოსინცევას 190 (100+90) და კატერინა ლაგნოს 180 (60+120), რომლებიც რუსული ბატალიების შემდეგ კიდევ ერთ ეტაპზე მოსინჯავენ ძალებს. თბილისის ტური წლეულს 18 ივნისიდან 2 ივლისამდე გაიმართება, ხოლო მე-6 ეტაპს ერდენეთი (მონგოლეთი) 24 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე უმასპინძლებს. რაც შეეხება ხანტი-მანსიისკის შეჯიბრებას, პირველი ტურის პარტიები დღეს გაიმართება.

ვაჟა **დანელია**

● ფარიკაობა

# კადეტებში 28-ეზე

პლოვდივში (ბულგარეთი) გრძელდება კადეტ და ახალგაზრდა მოფარიკავეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. მათგან, როგორც გაუწყეთ, ჯერჯერობით მხოლოდ მოხმალავე **ნიკოლოზ შენგელიამ** მიაღწია წარმატებას - მე-9 ადგილი დაიკავა და წლევანდელი მსოფლიო ახალგაზრდების ოლიმპიური თამაშების საგზური დაიბევა. საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის მესვეურები ვარაუდობდნენ, რომ მე-2 ლიცენზიის მოპოვება შეეძლოთ მოხმალავე გოგონებს, მაგრამ **ქრისტინე ნოზაძე** 30-ე ადგილით დაკმაყოფილდა. მისი თანაგუნდელები - **ელენე ნანობაშვილი** და **ანა აფრასიძე**, შესაბამისად, 55-ე და 72-ე ადგილებზე გავიდნენ. კადეტთა შორის ხმალში იასპარეზეს **გივი მერკვილაძემ** (69-ე) და **ოთარ გიორგაძემ** (მე-80), მაგრამ პლეი ოფშიც ვერ მოხვდნენ. დაშნაში მონაწილეები არ გვყავდა. რაპირაში გოგონათა შორის 37-ე იყო **მარიამ ცუხიშვილი**, ბიჭებმა კი 80-ეულშიც ვერ დაიდეს ბინა: 89. **გიორგი ჭუმბურიძე**, 101. **გივი ხარტიშვილი**, 103. **ლაშა გალუაშვილი.**

ახალგაზრდებში მოხმალავე ბიჭების დიდი იმედი გვქონდა - მით უმეტეს, რომ სამივეს უფროსებში გამოსვლის გამოცდილება აქვს. კადეტებში 2010 წლის მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა **მიხეილ მარდალეიშვილმა** ჯგუფში 6-დან 5 პაექრობა მოიგო და პლეი ოფში მე-15 ნომრად შევიდა, მაგრამ იქ პირველივე პაექრობა დათმო კორეელ სანგმინ ოჰთან - 9:15 და საბოლოოდ 35-ე ადგილს დაყაბულდა. 68-ე იყო **საბა სულამანიძე**, ხოლო **დავით უკლება** - მე-80. ვერც გოგონებმა იყოჩაღეს რაპირაში: **თეონა გოგლიძემ** 52-ე, **მარიამ ცუხიშვილმა** კი 69-ე საფეხურზე დაასრულეს ასპარეზობა.

თბილისელმა **მიქაელ მიქაელიანმა** ჯგუფში დაშნით სამ მეტოქეს სძლია და ორი პაექრობა დათმო. პლეი ოფის სტარტზევე ავსტრიელ ჟოზეფ ჰრინგერთან დამარცხდა - 8:15 და 85-ე ადგილზე გავიდა. ამ სახეობაში გოგონათა შორის ჩვენგან არავის უასპარეზია. გუშინ რაპირაში **ლუკა ლალანიძემ** ჯგუფში ხუთიდან ოთხ მეტოქეს აჯობა - ანტონიო სილვას (პორტუგალია) 5:0, პეტარ ფილესს (ხორვატია) 5:4, ალექსანდრ პივოვაროვს (რუსეთი) 5:0, რაფაელ მელარაგნოს (ბრაზილია) 5:1 და ერთადერთი ორთაბრძოლა ფრან ტომას ანტონისთან წააგო 1:5. პლეი ოფში უკრაინელ ბოგდან დოლჟენკოს ვერ გასცდა (5:15) და 41-ე ადგილი ხვდა. მისმა თანაგუნდელმა **გიორგი გელაშვილმა** კი ჯგუფში ექვსიდან მხოლოდ ერთი მეტოქე დაჯაბნა, რაც 110-ე ადგილისთვის ეყო.

საქართველოს კადეტთა ნაკრებმა 63 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის გუნდური 28-ე ადგილი დაიკავა.

ვაჟა **დანელია**



## მილოცვა

„ლელოს" რედაქცია დაბადებიდან საიუბილეო 95 წელს ულოცავს ქართული ფეხბურთის უხუცეს ფოტომემატიანეს, სახელოვან და ღვაწლმოსილ ფოტოჟურნალისტ **კონსტანტინე შანიძეს.**

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა" და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს

დასასრული. დასაწყისი „ლელო" № 16-დან

# ლელოელები



### ცისანა

თავისი უჩინარი მსახური ყველა სფეროს ჰყავს, რომელთა მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება და სრულყოფილებისკენ ისწრაფვის ესა თუ ის დარგი. „უჩინარს" ვამბობ, თორემ, ქვემოთ ვიზედაც მოგახსენებთ, სპორტული ჟურნალისტიკის დიასახლისად მიგვაჩნია და ის "გემრიელი კერძები", რომლებიც სპორტის მოყვარულ აურაცხელ მკითხველს ასე გემოვნებიანად ანაყრებდა და ასეა დღესაც, მისი მადლიანი ხელიდანაა გამოსული. ქედის მოხრით წარმოვთქვამ მის სახელს - ეს გახლავთ ქალბატონი **ცისანა ნიკოლაიშვილი.**

ამ დიდებული ქალბატონისა და უბადლო სპეციალისტის მოღვაწეობას უკავშირდება „ლელოში" სალიტერატურო ენის ნორმების მკაცრი დაცვით ამ გაზეთის სტილის დახვეწა და ყველასთვის გასაგები ენით წერის დამკვიდრება. ათეული წლების განმავლობაში ახალგაზრდა ჟურნალისტთა თაობები ეზიარა მისი სტილის გემოვნებას. და იმაშიც, რომ „ლელოში" მუდამ სუფევდა თანამშრომელთა შორის ერთმანეთის სიყვარულით გაჯერებული თბილი დამოკიდებულება, რაც სამაგალითოდ სხვებზეც გადამდებად მოქმედებდა, ამ „დიასახლისის" დამსახურებაც იყო. ქალბატონი ცისანა იმდენად სახელიანი სტილისტია, რომ იმდროიდან მოყოლებული კართან დღესაც რიგი უდგას. ათეული წლების განმავლობაში სპორტული ლიტერატურის აბსოლუტური უმრავლესობა, რაც კი ქართულ ენაზე გამოცემულა, მის ხელსა და გონებაში გამოვლითაა ხარისხამაღლებული.

თავის დროზე ეს ქალბატონი **მიხეილ კაკაბაძის** თხოვნით გახდა „ლელოს" სტილისტი. კადრების შერჩევაში ჩვენს დიდ რედაქტორს და მასწავლებელს გუმანი არასდროს ღალატობდა. ქართული ენის სიწმინდის „ლელოს" ფურცლებზე დაცვისთვის არაერთხელ გამოუთქვავთ გულწრფელი მადლობა ჩვენს ენათმეცნიერებს და ეს იყო უპირველესად ამ ორი ბრწყინვალე ადამიანის - **ცისანა ნიკოლაიშვილისა** და **მიხეილ კაკაბაძის** დამსახურება.

### არჩილ გოგელია

1984 წელს „ლელოს" რედაქტორად **არჩილ გოგელია** დაინიშნა, მოადგილის თანამდებობაზე მან მე გამომიცხადა ნდობა. ჩვენ სტუდენტობიდან ვმეგობრობდით და ჩინებულად გვესმოდა ერთმანეთის. არჩილს მთელი საქართველო იცნობდა, როგორც უნიჭიერეს ჟურნალისტს. ყველა შეუნელებელი ინტერესით ეცნობოდა მის პუბლიკაციებს ცნობილ სპორტსმენებზე, სპორტის ცნობილ სპეციალისტებზე თუ სპორტის აქტუალურ საკითხებზე. მანამდე მკითხველს არ წაეკითხა საქმის ასეთი სიღრმისეული წვდომით გაანალიზებული თემები, ასე ახლოს და შთამბეჭდავად არ გაცნობია ქართული სპორტის დიდების მომტანი ცალკეული ადამიანების პორტრეტებს. არჩილი, როგორც რედაქტორი, იყო ნიჭის გამბედავი მფარველი და დამფასებელი. იმ პერიოდის „ლელო" ეს იყო **მიხეილ კაკაბაძის** „ლელო" აყვანილი ახალ ხარისხში და ახალ სიმაღლეზე კაკაბაძისავე შეგირდ-მემკვიდრის მიერ.

ნიჭის მფარველ-დამფასებელიო, შემთხვევით არ მითქვამს. ვინც მისი რედაქტორობით გამოცემულ „ლელოს" ნომრებს გაეცნობა, დარწმუნდება, რომ ასეა ეს ნამდვილად. მან ჩაუყარა საფუძველი ჟურნალისტური მასალის ლიტერატურულ ნააზრევად ქცევის ტრადიციას და აიყვანა იგი პუბლიცისტიკის რანგში.

არასდროს დამავიწყდება, ერთხელ, სტამბის ერთმა მუშამ (მისი გვარი, სამწუხაროდ, ველარ გავიხსენე), იქვე, სტამბაში, საკორექტორო ანაბეჭდში არჩილის წერილის წაიკითხვით აღფრთოვანებულმა ექსპრომტად და მოსწრებულად როგორ წაულექსა: „ჩვენო არჩილ გოგელია, შენი ბოლო ნობელია". არჩილს ბევრჯერ უთქვამს, რომ „ლელოში" ჟურნალისტობა იმიტომ დაიწყო, პოლიტიკაზე წერა არ უნდოდა. ვერ გეტყვით, ამით რა წააგო პოლიტიკამ, მაგრამ, დამერწმუნეთ, სპორტული ჟურნალისტიკა ნამდვილად დარჩა მოგებული.

არჩილთან მუშაობა იოლიც იყო და ძნელიც. მისი მეგობრული და უაღრესად ადამიანური დამოკიდებულება თანამშრომლებისადმი უწინარესად შემოქმედებით სრულყოფაზე იყო ორიენტირებული. სტიმულს იძლეოდა, რომ მეტი მოეთხოვა თითოეულს საკუთარი თავისგან და სრულად გამოევლინა შესაძლებლობები. მან, როგორც რედაქტორმა, ზედმიწევნით კარგად იცოდა, რას ითხოვდა, მაგრამ კარგად იცოდა ისიც, ამას ვისგან ითხოვდა. ითვალისწინებდა თითოეულის უნარს, რათა ჟურნალისტი უხერხულობაში არც ჩაეგდო, მაგრამ მისგან მაქსიმალურად მიეღო, რაც გაზეთს სჭირდებოდა. ყოველი ასეთი შემთხვევა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო გაზეთის თანმიმდევრული განვითარებისა და მისი ავტორიტეტის ამაღლების გზაზე. შეიძლება ეს ცალკე აღებულ გაზეთის ნომერში ისე არ ჩანდა (თუმცა არც უამისობა იყო), როგორც საერთო შთაბეჭდილებაში. „ლელო" ლელოობდა, აი რა იყო მთავარი.

თითქოს აქ მინდოდა ამ მოგონებასთან დამესვა წერტილი, მაგრამ უნებლიედ აი, რა გამახსენდა: **ელგუჯა ამაშუკელს** და **მერაბ ბერძენიშვილს** მათი ნამუშევრებისთვის საქართველოს ისტორიის მემატიანე უწოდა არქიტექტორმა **ვახტანგ დავითაიამ.** იგივეს თქმა თამამად და ხმამაღლა შეიძლება **არჩილ გოგელიას** უნიკალურ შემოქმედებით წვლილზე, რაც მან შეიტანა საქართველოს სპორტისა და სპორტული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**



● წყალბურთი



# ჩემპიონის მარცხიანი სტარტი

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა წინა წლების ეროვნულ ჩემპიონატებში „ლიგამუსმა“ ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა, შარშან კი ოქროს მედლები „თბილისს“ გადაულოცა. ეტყობა, სამგზის ჩემპიონებმა ტიტულის დაბრუნება განიზრახეს და წლევანდელი პირველობისთვისაც საფუძვლიანად მოემზადნენ. ერთი კვირის წინათ სასტარტო მატჩში ლიგამუსელებმა „რუსთავს“ მოუგეს დიდი ანგარიშით, გასულ უქმეებზე კი მოქმედ ჩემპიონს დაუპირისპირდნენ.

**ლიგამუსი–თბილისი 14:11**

1:4, 6:2, 3:2, 4:3

**ლიგამუსი.** ჭუმბურიძე, ჩიკვაიძე (1), გორგაძე, იმნაიშვილი (1), გაბადაძე (1), ურუშაძე, ხვედელიანი (2), რუსიშვილი (1), რურუა (4), გეგელაშვილი (4), ნიკოლეიშვილი, შუბლაძე, მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე.

**თბილისი.** ნამორაძე, ქენქაძე (4), კოტარია (1), ქავთარაძე (1), ბულაძე, ქარჩილაძე, ცანკაშვილი (1), ბალათურია (2), ჩიქვინიძე (1), სულაძე, გელაშვილი, ყაზახიშვილი (1), მწვრთნელი გალაქტიონ ლაითაძე.

ამ გუნდების ურთიერთპაექრობები ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობს და დაძაბულობით გამოირჩევა. ამჯერადაც ასე იყო და არც არის გასაკვირი: „ლიგამუსი“ და „თბილისი“ ხომ უმთავრესად ეროვნული ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული. მათ კი ევალებათ, ყოველთვის მზად იყვნენ, მით უმეტეს - ახლა, როცა ივლისში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ელით. წყალბურთელებმაც „ოლიმპიკის“ აუზში მრავლად მოსულ ქომაგებს იმედები არ გაუცრუეს. მატჩი ჩემპიონების იერიშებით დაიწყო და მალევე ქენქაძემ ანგარიში გახსნა. ლიგამუსელთა მორიგი შეტევაც გოლით დამთავრდა - წონასწორობა რუსიშვილმა აღადგინა. ამის შემდეგ პირველი პერიოდის 6 წუთის განმავლობაში ორთაბრძოლის სადავეები ლაითაძის შეგირდებმა იგდეს ხელთ და სამი უპასუხო გოლი გაიტანეს ჭუმბურიძის კარში. მეორე მეოთხედში ლიგამუსელებმა შეძლეს მატჩში გარდატეხის შეტანა და შესვენებამდე ერთი ბურთით დაწინაურდნენ - 7:6. ბოლო ორი რვაწუთიანი მონაკვეთიც ვიცე-ჩემპიონებმა თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს და საბოლოოდ 14:11 გაიმარჯვეს.

იმავე დღეს ეროვნული ჩემპიონატის მეორე მატჩში „რუსთავმა“ 1998-1999 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებს აჯობა - 16:10 (4:1, 4:4, 2:1, 6:4).

ვაჟა დანელია

● ყინულის ჰოკეი

# ორი მატჩი, ორი წაგება

ლუქსემბურგი ყინულის ჰოკეიში 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონის პირველობას მასპინძლობს. შეჯიბრებაში ექვსი ქვეყნის ნაკრები მონაწილეობს: ბულგარეთი, საქართველო, ჰონკონგი, ლუქსემბურგი, ჩრდილოეთ კორეა და არაბთა გაერთიანებული საამიროები.

უკვე გაიმართა ორი ტურის შეხვედრები. საქართველოს ნაკრებმა (კახა ამბროლავა, გურამ არჩვაძე; ილია დავიდოვი, მიხეილ დავითაშვილი, ამირან გეფერიძე, გიორგი გიგაური, გიორგი გობეჯიშვილი, ვახტანგ გოგიჩაშვილი, ზაზა ღონღაძე, გიორგი ჯანგობეგიშვილი, გიორგი ჯეირანაშვილი, გოჩა ჯეირანაშვილი, ზურაბ ნადირაშვილი, დავით ოგანესიანი, გია ოგანესიანი, კონსტანტინე სანიკიძე, მიხეილ ვედიაპინი, მთავარი მწვრთნელი - უკრაინელი ევგენი ალიპოვი) პირველი შეხვედრა ჩრდილოკორეელებთან 1:22 (0:6, 0:9, 1:7) წააგო, მეორე ტურში კი ჰონკონგთან დამარცხდა - 0:12 (0:4, 0:3, 0:5). დანარჩენი პაექრობები ასე დამთავრდა: ჰონკონგი-საამიროები 2:1, ლუქსემბურგი-ბულგარეთი 5:8; ბულგარეთი-საამიროები 11:5, კორეა-ლუქსემბურგი 7:3.

გუშინ შეჯიბრების მონაწილეები ისვენებდნენ. დღეს მე-3 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ბულგარეთი-საქართველო, კორეა-ჰონკონგი, ლუქსემბურგი-საამიროები. ხვალ მეტოქეები ისევ დაისვენებენ. ბოლო ორი დღის კალენდარი კი ასეთია:

**11 აპრილი.** საამიროები- კორეა, ჰონკონგი-ბულგარეთი, საქართველო-ლუქსემბურგი.

**12 აპრილი.** ბულგარეთი-კორეა, საამიროები-საქართველო, ლუქსემბურგი-ჰონკონგი.

ვაჟა დანელია



● კალათბურთი. 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# ესეც ფინალისტები: შსს და ქუთაისი

**შსს აკადემია–ოლიმპი 66:55**

22:10, 18:18, 16:15, 10:12

**შსს აკადემია:** ლოლიშვილი (18ქ, 5მ, 4პ), კვანტალიანი (12ქ, 9მ), გელაზონია (10ქ, 18მ, 2პ), დ. როგავა (8ქ, 3პ), მირზიაშვილი (7ქ), ქიტოშვილი (7ქ, 3პ), გორდულაძე (4ქ, 3პ), გუგეშაშვილი.

**ოლიმპი:** ნ. ბაქრაძე (12ქ, 4მ), იაკობიძე (10ქ), გოგოძე (10ქ), გ. ბაქარაძე (4ქ, 13მ, 3პ), ნადირაძე (4ქ), მიქელაძე (7ქ), სამნიაშვილი (2ქ), ხუციშვილი, ფხაკაძე (6ქ, 5მ).

საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატში ფინალისტები გამოვლინდნენ - „შსს აკადემია“ და „ქუთაისი“. ქუთათურებს ნახევარფინალურ სერიაში ორი მატჩის ჩატარება დასჭირდათ, შსს-ელებს - სამის.

იმერლებმა ორი შეხვედრის ჯამში დაამარცხეს „ჰიუნდაი“ და პირველებმა შეაბიჯეს ფინალში. „შსს აკადემია“-“ოლიმპის“ სერიის საწყისი ორი შეხვედრის შემდეგ გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. ჯერ შსს-ელებმა იმარჯვეს - 59:53, შემდეგ ოლიმპელებმა - 58:50. მესამე, გადამწყვეტი შერკინება გუშინ სპორტის სამინისტროს დარბაზში გაიმართა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ისიც საინტერესოდ წარიმართა, თუმცა გადამწყვეტი მაინც „შსს აკადემიას“ მიერ სტარტზე მოპოვებული უპირატესობა გამოდგა: ძალოვნებმა საწყისი მეოთხედი 22:10 მოიგეს და დიდი მცდელობის მიუხედავად „ოლიმპს“ გამარჯვება აღარ დაანებეს.

„შსს აკადემიას“ პრესსამსახურის მიერ მოწოდებულ პრესრელიზში გუნდის მთავარი მწვრთნელის, **გიორგი ნიკოლაძის** კომენტარს ვეცნობით:

- პირველ რიგში, ვულოცავ "ოლიმპს" კარგ სერიას, კარგ სეზონს. წარმატებას ვუსურვებ ამ გუნდის მთავარ მწვრთნელ ზაზა ცაგარეიშვილს, რომელსაც დიდ პატივს ვცემ. სერიის მეორე თამაშისგან განსხვავებით, შეცდომების რაოდენობა მინიმუმამდე დავიყვანეთ, ავიღეთ კარგი სტარტი და ეს უპირატესობა ბოლომდე შევინარჩუნეთ. მადლობას ვუხდი მთელ გუნდს. „შსს-აკადემიამ“ ეს წარმატება დაიმსახურა და ვეცდებით, ფინალშიც აკურატულად და მშვიდად გავაკეთოთ ყველაფერი. სეზონი საინტერესოდ მიდის და იმედი მაქვს, ასევე საინტერესოდ დაიხურება. ფინალში ორი ძალიან კარგი გუნდი გავიდა.

ფინალური სერია 12 აპრილს სპორტის სასახლეში გაიხსნება.

ვაჟა სიმონიშვილი



შსს-ოლიმპი. უტევს ოლიმპელი ირაკლი მიქელაძე

● კალათბურთი. პრესკონფერენცია

# სამწვრთნელო ძვრები რეგიონებში

საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელ წარმატებებთან დაკავშირებით იმატა კალათბურთით დაინტერესებულ ბავშვთა რაოდენობამ. თუმცა მხოლოდ ინტერესი საკმარისი არ არის კალათბურთელად ჩამოსაყალიბებლად, აუცილებელია კომპეტენტური მწვრთნელები, რომელთა ხელში გავლის შემდეგ საქართველოს მწვრთნელთა გადამზადების პროგრამას. პირველ ეტაპზე, აღნიშნული პროგრამა კახეთის კალათბურთის ფედერაციასთან ერთად განხორციელდება. ამ რეგიონის მწვრთნელთა თბილისში ჩამოყვანას და სემინარებზე დასწრებას უზრუნველყოფს საქართველოს კალათბურთის მწვრთნელთა კავშირი. თელაველი, საგარეჯოელი, ახმეტელი, ლაგოდეხელი და სიღნაღელი მწვრთნელები დაესწრებიან საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების, კლუბების - „აკადემიას“, „ჰიუნდაის“ და „დინამოს“ ვარჯიშებს და გაივლიან როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სემინარებს მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებთან, რომლებიც მუშაობენ საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში. მწვრთნელთა გადამზადების პროგრამა მთელ საქართველოს მოიცავს. ასაკობრივ ნაკრებებში მომუშავე მწვრთნელები ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლით დიდ გამოცდილებას იღებენ, რასაც რეგიონის მწვრთნელებსაც გაუზიარებენ. სემინარი მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ არ ჩატარდება, ამიტომ გადავწყვიტეთ სამ საკალათბურთო სკოლაში მივლინება და შევეცდებით, მაქსიმალურად კვალიფიციური



მარცხნიდან: ოთარ ბრაგვაძე, კახა შენგელია, ნოდარ ავალიშვილი, ვლადიმერ ბოისა

სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებს კარგად მომზადებული ჭაბუკები შეავსებენ.

- სახელოვანი მწვრთნელები, ეტორე მესინა და ჟელკო ობრადოვიჩიც დადიან სემინარებზე. მათაც ესმით, რომ კალათბურთი მუდმივად ვითარდება და საჭიროა ფეხის ბოლომდე აწყობა. არც ქართველი მწვრთნელების კომპეტენციაში გვეპარება ეჭვი, მაგრამ სწორედ მათთვის დაიგეგმა ეს პროექტი, - აღნიშნა პრესკონფერენციაზე კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ვლადიმერ ბოისამ.**

რა პროექტზეა ლაპარაკი, მწვრთნელთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი **ნოდარ ავალიშვილი** მოგვახსენებს:

- საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია იწყებს რეგიონების მწვრთნელები შევარჩიოთ. კახეთის შემდეგ პროექტში შიდა ქართლის მწვრთნელები ჩაერთვებიან.

**კახა შენგელია** (კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი):

- სემინარები ხორციელდება რეგიონის მწვრთნელებისთვის, რომლებიც დაესწრებიან ეროვნული ჩემპიონატის სხვადასხვა თამაშებსა და ვარჯიშებს.

**ოთარ ბრაგვაძე** (კახეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):

- როდესაც კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან ერთად განვიხილეთ კახეთის კალათბურთის განვითარების გეგმები, უპირველესი იყო მწვრთნელების მომზადების საკითხი. რადგან მათი კვალიფიკაციის გარეშე კალათბურთის განვითარება წარმოუდგენელია. სასიხარულოა, რომ სემინარებში მონაწილეობას იღებენ ნაკრების მწვრთნელები, რომლებიც ყველანაირად გვეხმარებიან ჩვენი მწვრთნელების მომზადებაში.

ვაჟა სიმონიშვილი

● კალათბურთი. ქართველი თურქეთში

# დაბრუნება და მოულოდნელობა

აქილევსის მყესის ტრავმისა და ოპერაციის შემდეგ **მანუჩარ მარკოიშვილი** ევროლიგას რომ დაუბრუნდა, ქართველ მკითხველს კარგად მოეხსენება. მან ევროპის უმთავრეს საკლუბო შეჯიბრებაში 3 მატჩი ითამაშა, თუმცა თურქეთის პირველობაზე „გალათასარაი“ მის გარეშე ასპარეზობდა.

ბოლო ტურში მწვრთნელმა ერგინ ატამანმა მანუ „კარშიაკასთან“ მატჩის განაცხადში შეიყვანა, თუმცა „გალა“ საშინაო კედლებში მარცხისგან ვერც ქართველმა იხსნა. „კარშიაკამ“ 72:70 მოიგო.

მარკოიშვილმა 25 წუთი ითამაშა და სტამბოლელებს 3 ქულით, 3 პასით და 1 მოხსნით შეეწია. ქართველმა ლეგიონერმა 4-დან 1 სამქულიანი ჩააგდო.

„გალათასარაიში“ არ უთამაშია პუერტორიკოელ უკანახაზელ **კარლოს აროიოს**, რომელმაც ცსკა-სთან საევროლიგო მატჩისას ტრავმა მიიღო და მწვრთნელი „პარტიზანთან“ გადამწყვეტი შეხვედრისთვის მოუფრთხილდა. საუკეთესო შედეგი **ფურქან ალდემირმა** დააფიქსირა - 13 ქულა, 10 მოხსნა. ბომბარდირი **ენდერ არსლანი** გახდა, რომელმაც 15 ქულა დააგროვა.

ვაჟა სიმონიშვილი

რაგბი. ლეგიონერები



ბურთით ლაშა მალალურაძე

# ოთხი ქართული გუნდი პლეი ოფშია

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშება დასრულდა. პლეი ოფში ქართველ მორაგბეთა ოთხმა გუნდმა გააღწია. ესენია: „პერიგო“, „მასი“, „ლილი“ და „მაკონი“.**

A ჯგუფში პირველობა არავის დაუთმო **შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიას, ელიზბარ ყუფარაძისა** და **დავით დადუნაშვილის** „მასიმ“, რომელმაც ბოლო ტურში შინ მოუგო **გიორგი სორდიას** „ლილს“ - 28:23. ლილელთა მეორეხაზელი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ჰონგ კონგში იმყოფება მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე. სუთიაშვილი და აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყვნენ.

როგორც უკვე ვთქვით, ორივე გუნდმა პლეი ოფში გააღწია. „ლილი“ მესამე ადგილს დასჯერდა, რაც ამ გუნდს პარიზელებზე ოდნავ მძიმე პირობებში ამყოფებს.

პლეი ოფში გასვლისთვის იბრძოდა **ბაჩუკი გუჯარაიძის** „სენ ნაზერიც“, რომელმაც შინ დაამარცხა **რეზო გიგაურის, ლევან მოდებაძისა** და **თემურ გელანტიას** „მონლუსონი“ - 37:16. თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მიზნის მისაღწევად. გუჯარაიძემ სრულად ითამაშა, გიგაური მეორე ტაიმში შეცვალეს, მოდებაძესა და გელანტიას არ უთამაშიათ.

**ირაკლი ნინიძის** „დიჟონმა“ შინ დაამარცხა „კონიაკი“ - 38:15, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რათა დივიზიონში ადგილი შეენარჩუნებინა. დიჟონელები ბოლო ადგილზე გავიდნენ და ფედერალ 2 დივიზიონში დაქვეითდნენ.

**A ჯგუფი**

მასი-ლილი 28:23, დიჟონი-კონიაკი 38:14, ბობინი-ნევერი 21:53, სენ ჟან დანჟელი-ვანი 37:16, სენ ნაზერი-მონლუსონი 24:16.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მასი - 73 ქულა, 2. ნევერი - 67, 3. ლილი - 63, 4. ვანი - 42, 5. სენ ნაზერი - 39, 6. ბობინი - 30, 7. კონიაკი - 29, 8. მონლუსონი - 28, 9. სენ ჟან დანჟელი - 26, 10. დიჟონი - 22.

მასელების მსგავსად, B ჯგუფში საუკეთესო გახდა **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონი“. ჩვენებურის ამ გუნდმა სტუმრად დაამარცხა **საბა ქართველიშვილის** „შამბერი“. მაკონელებმა 58 ქულა დაგროვეს და პირველი ადგილი „ობენას“ ცხვირწინ ააცალეს.

**მერაბ კვირიკაშვილისა** და **ზერო პეტრიაშვილის** „ვიენმა“ შინ დაამარცხა „შალონი“ - 38:29. კვირიკაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა და გუნდს 18 ქულა შესძინა (ოთხი საჯარიმო და სამი გარდასახვა).

გათამაშებას გამოეთიშა **გიორგი კუთარაშვილის** „ანესი“, რომელიც ბოლო ტურში შინ დამარცხდა „ლა სეინთან“ - 23:38. ჩვენებურის გუნდმა სეზონში მხოლოდ 9 ქულა მოიპოვა და ბოლო ადგილს დასჯერდა.

**B ჯგუფი**

შამბერი-მაკონი 39:43, ექსი-რომანი 25:19, ლა ვულეობენა 13:16, ანესი-ლა სეინი 23:38, ვიენი-შალონი 38:29

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მაკონი - 58 ქულა, 2. ობენა - 58, 3. ექსი - 56, 4. ლა სეინი - 55, 5. რომანი - 48, 6. შამბერი - 45, 7. ლა ვულე - 35, 8. შალონი - 33, 9. ვიენი - 25, 10. ანესი - 9.

C ჯგუფში პლეი ოფის საგზური **თედო ზიბზიბაძისა** და **გიორგი გაბელიას** „პერიგოს“ ერგო, რომელმაც ბოლო ტურში სტუმრად წააგო პირველადგილოსან „მონტობანთან“ - 10:13. მარცხის მიუხედავად, პერიგოელებმა 43 ქულა დააგროვეს და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

**C ჯგუფი**

როდეზი-სენ ჟან დე ლუზი 33:28, მონტობანი-პერიგო 13:10, ლიმოჟი-ლავორი 24:14, ლორმონი-ლანჟონი 26:26, ენდაი-ტულე 7:10.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მონტობანი - 84 ქულა, 2. ლანჟონი - 47, 3. როდეზი - 45, 4. პერიგო - 43, 5. სენ ჟან დე ლუზი - 43, 6. ლიმოჟი - 41, 7. ტულე - 40, 8. ლორმონი - 32, 9. ლავორი - 27, 10. ენდაი - 18.

D ჯგუფში მოასპარეზე **ლაშა მალალურაძის, სიმონ მაისურაძის, ბექა ურჯუკაშვილისა** და **ლადო გუნიავას** „ბაგნერემ“ ბოლო ტურში სტუმრად წააგო „ძოლეონთან“ - 10:13. ჩვენებურთა ამ გუნდმა 42 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა. ეს შედეგი შარშან მიღწეულთან შედარებით ბევრად უკეთესია. ასეთი პროგრესით მომავალ წელს ბაგნერელები, სავარაუდოდ, პლეი ოფში გასვლისთვის რეალურად იბრძოლებენ.

**მიხეილ გაჩეჩილაძის** „აჟეტმო“ ბოლო ტურში შინ დამარცხდა „კასტანესთან“ 16:22 და 22 ქულით ბოლოსწინა ადგილს დასჯერდა.

**D ჯგუფი**

ლურდი-ლანამეზანი 9:31, აჟეტმო-კასტანე 16:22, ბლანიაკი-ვალანსი 15:29, ტიროსი-ოლორონი 32:0, მოლეონი-ბაგნერე 13:10.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტიროსი - 61 ქულა, 2. ოლორონი - 56, 3. ლანამეზანი - 53, 4. კასტანე - 52, 5. ვალანსი - 52, 6. ბაგნერე - 42, 7. ბლანიაკი - 38, 8. მოლეონი - 27, 9. აჟეტმო - 22, 10. ლურდი - 19.

პლეი ოფში თედო ზიბზიბაძისა და გიორგი გაბელიას „პერიგო“ A ჯგუფის პირველადგილოსანს შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიას, ელიზბარ ყუფარაძისა და დავით დადუნაშვილის „მასის“ დაუპირისპირდება.

გიორგი სორიდიას „ლილი“, რომლის შერკინებასაც **დავით ბოლლაშვილი** წვრთნის „ლანჟონისთან“ ითამაშებს. ავთანდილ კოპალიანის „მაკონის“ მეტოქე კი „კასტანე“ იქნება.

**პლეი ოფი**

პერიგო-მასი, ექსი-ოლორონი, როდეზი-ნევერი, ლა სეინი-ტიროსი, ლილი-ლანჟონი, კასტანე-მაკონი, ვანი-მონტობანი, ლანამეზანი-ობენა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. ევროპის ჩემპიონატი

# ელიტაში პირდაპირ პირველად

**საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები პოლონეთში გაემგზავრა, სადაც 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის ელიტური დივიზიონის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.**

2012-13 წლებში 18-წლამდელმა „ბორჯღალოსნებმა“ ორჯერ დაამარცხეს იტალიის თანატოლთა ნაკრები და მე-6 ადგილი დაიკავეს. აქედან გამომდინარე, ტურნირის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ჩვენი გუნდის ელიტურ დივიზიონში საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე დატოვება.

წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ელიტური დივიზიონის მატჩები პოლონეთში, პოზნანში 11-19 აპრილს გაიმართება. შარშანდელი გათამაშების მსგავსად, ტურნირის პირველ ტურში ქართველი 18-წლამდელები პირველ მატჩს ირლანდიასთან გამართავენ. მატჩი ოპალენიცას სტადიონზე, თბილისის დროით 16:00 საათზე დაიწყება.

მეორე ტური 15 აპრილს გაიმართება. პირველ ტურში დაფიქსირებული შედეგის მიხედვით, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები საფრანგეთი-იტალიის წყვილიდან ერთ-ერთს შეხვდება. ტურნირის ფინალურ რაუნდში, რომელიც 19 აპრილს შედგება, ჩვენი ნაკრების მეტოქე ტურნირის მსვლელობისას გაირკვევა.

**დავით ჩავლეიშვილი**, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„საფუძვლიანი მოსამზადებელი პერიოდი გავიარეთ. საბედნიეროდ, საბოლოო შემადგენლობაში ტრავმების გამო არავინ დაგვაკლდა და ბიჭების ფიზიკური ფორმითაც კმაყოფილი ვარ.*

*აქამდე ორი საწვრთნელი შეკრება გავმართეთ. რამდენიმე თვის წინათ ორი საკონტროლო მატჩი ვითამაშეთ უკრაინის 20-წლამდელთა ნაკრებთან. ორივე შეხვედრა გუნდისთვის ძალზედ სასარგებლო იყო, ვინაიდან ამ შემადგენლობამ ერთად პირველად მაშინ ითამაშა. უკანასკნელ შეკრებაზე უმნიშვნელოვანესი მატჩები გავმართეთ „კლერმონის“ 18-წლამდელთა გუნდთან. ამ შეხვედრებში გუნდი უფრო შეთამაშდა და გამოიკვეთა ძლიერი თუ სუსტი მხარეები. დარჩენილი დრო ხარვეზების გამოსწორებას დავუთმეთ.*

*პირველი შეხვედრა ირლანდიის 18-წლამდელებთან გვაქვს. ირლანდია შარშანდელივით საკმაოდ ძლიერი გუნდია. ჩვენ ვეცდებით შერკინების და ხაზის დაბალანსებული თამაში დავუპირისპიროთ მათ. „კლერმონთან“ თამაშებში გამოჩნდა, რომ მოძრავი მოთამაშეები გვყავს მეორე და მესამე ხაზში, რომლებიც შესაბამისად დიდ პრობლემებს შეუქმნიან მოწინააღმდეგეს და უკანა ხაზს მნიშვნელოვნად დაეხმარებიან.“*

**საქართველოს ნაკრები**

- ნიკა ნეფარიძე, ლუკა გოგინავა, ლაშა მამუჩარაშვილი (ორივე-ლოკომოტივი), ვანო მარგალიტაძე, ბესიკ გოგოლაძე, კახა ელბაქიძე (თიბისი), ლაშა ტაბიძე, ვასილ ლობჟანიძე, თორნიკე ხურცილავა, დავით ლობჟანიძე (არმაზი), შაქრო ლომსიანიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, გიორგი ჯავახია, ოთარ გიორგაძე, მიხეილ გორგასლიძე, თორნიკე მანაგაძე (აია), გიორგი ხუროშვილი (არმაზი), თორნიკე ზოიძე, თორნიკე ახობაძე, სანდრო ილურიძე (აკადემია), ბექა გორგაძე, გიორგი კოშაძე (ხარები), ლაშა საჯაია, ირაკლი სვანიძე (ჯიქები), გიორგი მელაძე (ყოჩები), ბექა ნონიაშვილი (ხულიგანა).

**ევროპის ჩემპიონატი**

საქართველო-ირლანდია, საფრანგეთი-იტალია, შოტლანდია-უელსი, ინგლისი-პორტუგალია

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლელობურთი

# ლელო დაიწყო

ჩვენი ეროვნული თამაშის ლელოს აღორძინება დაიწყო. საქართველოს რაგბის კავშირსა და საქართველოს ლელოს ფედერაციას შორის ურთიერთშეთანხმებით ბავშვთა და მოზარდთა რაგბის ფესტივალებზე ითამაშებენ როგორც რაგბის, ასევე ლელოს გუნდები. ეს საინტერესო იდეა უკვე ხორციელდება. ხუთ აპრილს წყალტუბოში გაიმართა პირველი ფესტივალი ლელოში დასავლეთ საქართველოს გუნდების მონაწილეობით. მალე აღმოსავლეთ საქართველოს გუნდებიც დაიწყებენ ლელოს თამაშს. ეს მოგვცემს საშუალებას, სულ მცირე სხვადასხვა ასაკის სამი ათას მოზარდს შევასწავლოთ ლელო.

თავდაცვის სამინისტროში ლელო ოფიციალურად არის შეტანილი სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში. რუსთავში უკვე გაიმართა ლელო სამხედრო ბრიგადებს შორის. ივნისიდან აქ დაიწყება ოფიციალური ჩემპიონატი თორმეტი გუნდის მონაწილეობით.

გრძელდება რეგიონალური ფედერაციების ჩამოყალიბება საქართველოში. 6 აპრილს ახალციხეში დაფუძნდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ლელოს ფედერაცია, რომლის პრეზიდენტად აირჩიეს **გიორგი კარკაძე.**

ზაფხულში ჩატარდება რეგიონების ჩემპიონატები როგორც დიდებში, ასევე სკოლებს შორის. ხოლო შემოდგომიდან საქართველოს ჩემპიონატი რეგიონების (გურია,სამეგრელო, იმერეთი და ა.შ.) ნაკრებ გუნდებს შორის გაიმართება.

**საქართველოს ლელოს ფედერაცია**



ლელობურთი წყალტუბოში გაგორდა

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის საუკეთესოები


დირკ ნოვიცკი

„შარლოტ ბობკეტსისა" და „დალას მავერიქსის" ფორვარდები **ელ ჯეფერსონი** და **დირკ ნოვიცკი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯეფერსონი თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა და ამ შეხვედრებში საშუალოდ 24.3 ქულა, 13.0 მოხსნა და 1.25 დაფარება დააგროვა. ჯეფერსონი ამ სეზონში მესამედ დასახელდა კვირის საუკეთესო მოთამაშედ.

ნოვიცკის კარგი თამაშის წყალობით, "დალასმა" გასულ კვირას ოთხიდან სამი მატჩი მოიგო. ამ შეხვედრებში ფორვარდის მონაგარი იყო - 25.3 ქულა და 8.0 მოხსნა. გერმანელმა 23 სამქულიანი ისროლა და 13 მოათავსა კალათში.

**ჯეფერსონის კვირა**

**2 აპრილი. ფილადელფია-შარლოტი 93:123.** 25 ქულა, 10 მოხსნა.

**4 აპრილი. შარლოტი-ორლანდო 91:80.** 29 ქულა, 16 მოხსნა.

**5 აპრილი. კლივლენდი-შარლოტი 94:96 (ო).** 24 ქულა, 15 მოხსნა, 4 პასი, 2 დაფარება.

**ნოვიცკის კვირა**

**1 აპრილი. დალასი-გოლდენ სტეიტი 120:122.** 33 ქულა, 11 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა.

**3 აპრილი. კლიპერსი-დალასი 107:113.** 26 ქულა, 11 მოხსნა, 2 ჩაჭრა.

**4 აპრილი. ლეიკერსი-დალასი 95:107.** 27 ქულა, 9 მოხსნა, 5 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი მოთამაშეები აცხადებდნენ პრეტენზიას: **პოლ მილსეპი** ("ატლანტა"), **ჯეფ ტიგი** ("ატლანტა"), **ჯო ჯონსონი** („ბრუკლინი"), **ჟოაკიმ ნოა** („ჩიკაგო"), **კლეი ტომპსონი** („გოლდენ სტეიტი"), **ომერ აშიქი** („ჰიუსტონი"), **ჯეიმს ჰარდენი** („ჰიუსტონი"), **ლებრონ ჯეიმსი** ("მაიამი"), **ჯეი არ სმიტი** („ნიუ იორკი"), **ჯერალდ გრინი** („ფინიქსი"), **დემარკუს კაზინსი** („საკრამენტო"), **კავაი ლეონარდი** („სან ანტონიო") და **დემარ დეროზანი** ("ტორონტო").

# ბარკლი ლეგენდებს ამხელს

სერ **ჩარლზ ბარკლი** უკომპრომისო მებრძოლი იყო მოედანზე და ასეთად დარჩა მის მიღმა: ამჯერად, ბარკლისგან „ჩიკაგო ბულზის" ლეგენდებს მოხვდათ.

**მაიკლ ჯორდანი** ცნობილია არა მხოლოდ საკალათბურთო მიღწევებით. მას იცნობენ, როგორც გამოუსწორებელ ძუნწს. თუ არ გჯერათ, ბარკლის მოუსმინეთ, რომელმაც ისევ ილაპარაკა ამ უხერხულ თემაზე. გასაგებია, რომ დიად ფორვარდს, შესაძლოა, პირადი წყენა ჰქონდეს „ჩიკაგოს" ლეგენდაზე. მაგრამ, მეორეს მხრივ, სხვა რა უნდა ქნას, როცა მართლაც მიაჩნია ჯორდანი ამ ასპექტში არასწორად! ბარკლი მხოლოდ საკუთარ აზრს გამოთქვამს. ამისთვის კი აშშ-ში არავინ ისჯება... თუმცა სერ ჩარლზისგან არა მხოლოდ „ბულზის" ლეგენდას მოხვდა.


ძუნწები?

*„სკოტი პიპენი და მაიკლ ჯორდანი - გამოუსწორებელი ძუნწები არიან,* - განაცხადა ერთ-ერთი სატელევიზიო შოუს დროს „ფინიქსის" ყოფილმა მოთამაშემ. *- დიახ, ის ასეთია. მე ყოველთვის ვაძლევდი უსახლკაროებს ფულს, ის კი ხელში მირტყამდა და მეუბნებოდა: „თუ მათ ხურდა სჭირდებათ გადარჩენისთვის - სამუშაოდ „მაკდონალდსში" წავიდნენ"*.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, როცა წამყვანი დაინტერესდა - რამდენს ტოვებს ჩაიზე თანხას ბარკლი?

*„ვფიქრობ, რაც უფრო წარმატებული ხარ, მით მეტი თანხა უნდა დატოვო. არსებობენ ეს ადამიანები - ოფიციანტები, მომსახურე პერსონალი, კაზინოს პერსონალი - მათ რთული სამუშაო აქვთ, ხელფასს კი ცოტას იღებენ. ერთხელ, ბლექ-ჯეკში 700 ათასის მოგების შემდეგ, ჩაიზე 25 ათასი დავტოვე. მაგრამ, თუ სიმართლე გაინტერესებთ, უფრო მეტი უნდა დამეტოვებინა"*, - მიაჩნია ბარკლის.

ამასობაში, ავტორიტეტულმა გამოცემა „ფორბსმა" სახელობითი ბრენდი „მაიკლ ჯორდანი" დაახლოებით 650 მილიონ დოლარად შეაფასა. გარდა ამისა, ლეგენდამ უშუალოდ საკალათბურთო ჰონორარებით 90 მილიონი გამოიმუშავა, აგრეთვე მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ „შარლოტ ბობკეტსის" მფლობელი გახდა. *„ვფიქრობ, ეს არის მათი სიმდიდრის რეცეპტი,* - აგრძელებს სერ ჩარლზი ჯორდანსა და ლეგენდარულ გოლფისტ **ტაიგერ ვუდსზე** საუბრისას. *- ისინი ჩაიზე ფულს არ ტოვებენ. ეს არის მათი ფინანსური მდგომარეობის საიდუმლო"*.

ეს არ არის ერთადერთი მსგავსი განცხადება ბარკლისგან. 2012 წელს, სერ ჩარლზმა ჯორდანს „ძუნწი" უწოდა ერთ-ერთი რადიოინტერვიუს დროს. გარდა ამისა, მან გააკრიტიკა NBA-ის კლუბის მმართვის ის სტილი, რომელსაც ჯორდანი იყენებს. და 2013 წელს, ბარკლიმ შედეგი მოიმკო: მისმა მკაცრმა განცხადებებმა იმოქმედა მაიკლთან ურთიერთობაზე.

*„მე ის ძალიან მომწონს, როგორც პიროვნება. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ შესანიშნავად ვეწყობოდით ერთმანეთს. მაგრამ შემდეგ რაღაც შეიცვალა და ჩვენ აღარ გვაქვს ძველებურად ახლო ურთიერთობა. ჩემთვის ეს ყველაფერი ნაღვლიანია"*, - განაცხადა CNN-თან კომენტარში ბარკლიმ.

# დიდების დარბაზი შეივსება


ალონზო მოურნინგი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ლეგენდარული მოთამაშეები - **ალონზო მოურნინგი** და **მიტჩ რიჩმონდი**, აგრეთვე მწვრთნელები - **ნოლან რიჩარდსონი** და **გარი უილიამსი** ჯეიმს ნეისმიტის სახელობის საკალაბურთო დიდების დარბაზში შეყვანისთვის აირჩიეს.

როგორც სააგენტო AP იუწყება, 2014 წელს, კალათბურთის დიდების დარბაზში მოხვდებიან: იმაკულატის უნივერსიტეტის ქალთა გუნდი (70-იან წლების დასაწყისი), NBA-ის ჩემპიონი და „ყველა ვარსკვლავის მატჩის" შვიდგზის მონაწილე ალონზო მოურნინგი, მწვრთნელი ნოლან რიჩარდსონი, რომელიც არკანზასის უნივერსიტეტთან ერთად გახდა ჩემპიონი, „ყველა ვარსკვლავის მატჩის" ექვსგზის მონაწილე მიტჩ რიჩმონდი, მწვრთნელი გარი უილიამსი, ვინც NCAA-ის ჩემპიონატი მოიგო, ABA-ის სამგზის ჩემპიონი **ბობ ლენარდი**, NBA-ის პირველი აფროამერიკელი **ნეტ კლიფტონი**, ოლიმპიური ჩემპიონი **შარუნას მარჩიულიონისი**, „ყველა ვარსკვლავის მატჩის" სამგზის მონაწილე **გარ როჯერსი** და ყოფილი კომისარი **დევიდ სტერნი**.

საზეიმო ცერემონია 8 აგვისტოს, მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ სპრინგფილდში.

● ჩოგბურთი


აიზეკ სტოუტი

# რასიზმისგან დაჩაგრული იუნიორი

17 წლის ბრიტანელი ჩოგბურთელის **აიზეკ სტოუტის** ოჯახმა ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციას რასობრივი დისკრიმინაციის გამო სასამართლოში უჩივლა. მულატი სტოუტი ერთ-ერთია იმ ხუთი იუნიორი მოთამაშიდან, რომელიც უფროსების ეროვნულ კლასიფიკაციაში შედის. მას ერთ-ერთი სასამართლო პროცესის დროს უწოდეს „პერსპექტიული და ნიჭიერი შავი მოთამაშე ბრიტანეთიდან".

სარჩელში სტოუტები ამტკიცებენ, რომ ასოციაცია ტურნირებზე გამოსვლისთვის, საწვრთნელი პროგრამებისთვისა და ფინანსური დახმარებისთვის უპირატესობას ანიჭებს თეთრკანიან მოთამაშეებს, რომლებიც რეიტინგში აიზეკზე დაბლა დგანან. ასევე სტოუტის ოჯახს მიაჩნია, რომ ასოციაცია ჩქმალავს აიზეკის წარმატებებს, რითაც აზარალებს მის იმიჯს პოტენციურ სპონსორებში, არადა, თეთრკანიანი ჩოგბურთელის გამარჯვებებს ფართოდ არეკლამებენ. სტოუტები ითხოვენ აიზეკისთვის ფინანსური დახმარების აღდგენას, რომელიც 2010 წელს შეწყდა, აგრეთვე კომპენსაციას 60 ათასი ფუნტის ოდენობით და დისკრიმინაციის ფაქტის აღიარებას, რამაც ოჯახს მორალური და მარკეტინგული ზარალი მოუტანა.

სტოუტების ამჟამინდელი სარჩელი - აპელაციაა. გასულ აგვისტოში მათი პირველი განცხადება პროცედურული შეცდომების გამო არ განიხილეს. ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციის წარმომადგენლებმა კატეგორიულად უარყვეს დისკრიმინაციაში ბრალდება.

● კრივი

# რკინის მაიკს 12-მა მცველმა უშველა

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს, ლეგენდარულ ამერიკელს **მაიკ ტაისონს** 12 მცველის დახმარება დასჭირდა იმისთვის, რომ დაეტოვებინა ღონისძიება, რომელზეც ის ავტოგრაფებს არიგებდა. ფანებთან შეხვედრა ნიუ იორკის სავაჭრო ცენტრში გაიმართა და მასში მონაწილეობას იღებდნენ წარსულის სხვა ჩემპიონებიც - **ევანდერ ჰოლიფილდი, რეი ლეონარდი, რობერტო დურანი** და **ტომას ჰერნსი**.

ღონისძიებას დაახლოებით 700 ადამიანი დაესწრო. ტაისონთან ფოტოს გადაღების მსურველებს 149 დოლარი უნდა გადაეხდათ. გარდა ამისა, გულშემატკივრებს სთავაზობდნენ 2 ათასი დოლარის ღირებულების VIP-პაკეტს. მის მფლობელს შეეძლო ხუთივე მოკრივესთან ერთად დროის გატარება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


მაიკ ტაისონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა

# ხელის მოჭრას გადაურჩა

ლეგენდარული ავსტრალიელი მოცურავე, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი **იან ტორპი** სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. სპორტსმენი ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში ინტენსიური თერაპიის კურსს გადის და, შესაძლოა, მარცხენა ხელის გარეშე დარჩეს.

ავსტრალიური პრესა იტყობინება იმის შესახებ, რომ შვეიცარიაში ჩატარებული ოპერაციის მსვლელობისას, ტორპს ინფექცია შეეჭრა და მარცხენა ხელის დაკარგვის საფრთხეც აქედან წამოვიდა.

ჟურნალისტებთან საუბრისას, მოცურავის მამამ დაადასტურა, რომ მისი ვაჟი დეპრესიამ შეიპყრო. დეპრესანტებისა და მხარის ტრავმისგან აღდგენისთვის საჭირო პრეპარატების ერთობლივმა მიღებამ იანს გონება აურია და ბოლო დროს ის უცნაურად იქცეოდა. 2014 წლის დასაწყისში ტორპმა ამ პრობლემებით ექიმებს მიმართა.



იან ტორპი

**P. S.** გვიან გახდა ცნობილი, რომ იან ტორპი არ დაკარგავს მარცხენა ხელს და კიდურის მოქმედებაც სრულად აღდგება. ეს ინფორმაცია ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონის წარმომადგენლებმა დაადასტურეს.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად დაასახელა „ედმონტონ ოილერზის“ ფორვარდი **ტეილორ ჰოლი.** ის ლიგის ლიდერი გახდა შვიდი შედეგიანი პასითა და ცხრა ქულით. ახალგაზრდა ჰოკეისტმა ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი „სან ხოსესთან“ 4:5 წაგებულ მატჩში, როცა გოლი და სამი შედეგიანი გადაცემა მიითვალა. 22 წლის ფორვარდი 77 ქულით „ედმონტონის“ ლიდერია და მეშვიდეა ლიგის ბომბარდირთა სიაში.

კვირის მეორე ვარსკვლავი გახდა „კოლორადო ეველანშის“ მეკარე **სემიონ ვარლამოვი.** მან თავის გუნდს ოთხიდან სამი მატჩი მოაგებინა, საშუალოდ 1.42 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 95.0 პროცენტი მოიგერია. რუსმა მეკარემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „სენტ ლუისთან“ 4:0 მოგებულ მატჩში, როცა 31 დარტყმა მოიგერია და სეზონში მეორე „შათაუტი“ შეასრულა. ვარლამოვი სეზონის ლიდერია 40 მოგებით, რითაც მან გაიმეორა „კოლორადოს“ ლეგენდის **პატრიკ რუას** 2000-01 წლების სეზონში დამყარებული საკლუბო რეკორდი.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი მიიღო „მონრეალის“ ფოვარდმა **მაქს პასიორეტიმ**, რომელიც ოთხი გოლით ლიგის ლიდერი გახდა და ამას ორი შედეგიანი პასიც დაუმატა. პასიორეტიმ ფანტასტიკური თამაში აჩვენა „ოტავასთან“ 7:4 მოგებულ მატჩში. მის ანგარიშზე სამი გოლი და ორი საგოლე პასი იყო. ამ მომენტისთვის მონრეალელს 39 გოლი დაუგროვდა, რაც მესამე შედეგია ლიგაში, აგრეთვე ლიდერობს რეგულარულ ჩემპიონატს გამარჯვების შაიბების რაოდენობით - 11.



ტეილორ ჰოლი

**ნიუ ჯერსი-კალგარი 0:1**

0:0, 0:0, 0:1

**გოლი:** 0:1 ჯორდანო-14 (ჰუდლერი-35, კამალერი-18).

**ვინიპეგი-მინესოტა 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**გოლი:** 0:1 კოილი-12 (პარიზე-26, მ. კოივუ-40).

**ვანკუვერი-ანაჰაიმი 0:3**

0:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ვინიკი-6, 0:2 პალმიერი-14 (ლავჯოი-12, ალენი-10), 0:3 ბელესკი-7 (პერი-38, გეტცლაფი-55).

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| დორტმუნდი-რეალი | 2:0 (0:3) |
| ჩელსი-პსჟ | 2:0 (1:3) |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბორნმუთი-რედინგი | 3:1 |
| ბარნსლი-ბარნლი | 0:1 |
| ბლექბერნი-ქუინზ პარკი | 2:0 |
| ჩარლტონი-იეოვილი | 3:2 |
| დონკასტერი-ბოლტონი | 1:2 |
| ჰადერსფილდი-იფსვიჩი | 0:2 |
| ლესტერი-ბრაიტონი | 1:4 |
| მიდლსბრო-ბირმინგემი | 3:1 |
| ნოტინგემი-უესლი | 3:3 |
| უოტფორდი-ლიდსი | 3:0 |
| უიგანი-მილუოლი | 0:1 |
| ბლეკპული-დერბი | 1:3 |
| **I ლიგა** | |
| ბრენტფორდი-ქროული | 1:0 |
| პიტერბრო-ჯილინგემი | 2:0 |
| შეფილდი-როტერჰემი | 1:0 |
| **II ლიგა** | |
| ნიუპორტი-პლიმუტი | 1:2 |
| **კონფერენსი** | |
| ალფრეტონი-ალდერშოტი | 1:4 |
| ბრენტრი-მაკლსფილდი | 0:1 |
| ფორესტ გრინი-კიდერმინსტერი | 1:1 |
| გრიმსბი-უოკინგი | 2:2 |
| ჰაიდი-სალისბერი | 0:2 |
| ლუტონი-ტამუორტი | 2:0 |
| საუთპორტი-ბარნეტი | 1:1 |
| უელინგი-ჰერეფორდი | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **ნასიონალი** | |
| კოლომიერი-ამიენი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| ერებრო-მიალბიუ | 1:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალტახი-ლიფერინგი | 1:1 |
| ჰარტბერგი-პარნდორფი | 2:0 |
| მატერსბურგი-აუსტია (ლ) | 2:1 |
| სტ. პოლტენი-კაპფენბერგი | 2:1 |
| **ავსტრიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ადმირა-შტურმი | 0:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| კასიოპი-ოლიმპიაკოსი (3) | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-იაბლონეცი | 0:0 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩები** | |
| რუჟემბეროკი-კოშიცე | 0:0 |
| შენიცა-სლოვანი | 1:3 |
| **რუსეთი** | |
| კრილია-ტერეკი | 1:1 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ზაგლებე-არკა | 3:0 |

| | |
|---|---|
| **ლიტვის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ტრაკაი-ჟალგირისი | 0:1 |
| **კოლუმბია** | |
| ა. პეტროლერა-მილიონარიოსი | 2:1 |
| **ს. აფრიკა** | |
| უნივერსიტი-მოროკა | 2:1 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ბრაუნშვაიგი-სკაილაინერსი | 82:81 |
| **საფრანგეთი** | |
| ნანსი-ლე მანი | 62:68 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ლოკომოტივი-ლევი | 3:2 (ო) |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-ბოლცანო | 7:2 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-კიოლნი | 2:3 |
| ინგლოშტადტი-ჰამბურგი | 5:2 |
| **დანია** | |
| სონდერიისკი-ჰერნინგი | 2:1 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-სტავანგერი | 1:2 |
| **შვეიცარია** | |
| კლოტენი-ფრიბურგი | 4:1 |
| სერვეტი-ციურიხი | 5:2 |
| **შვედეთი** | |
| შელეფტეო-ლინჩოპინგი | 7:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. კასაბლანკა** | |
| გოფენი-**კარბალესი** | 2:6, 5:7 |
| ვოლანდრი-**პელივო** | 6:7, 3:6 |
| **რამოსი**-უაჰაბი | 6:3, 2:6, 6:1 |
| **ჰანესკუ**-ხადარი | 7:6, 6:3 |
| სიმონი-**დელ ბონისი** | 4:6, 4:6 |
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| **რასელი**-ხიმენო ტრავერი | 6:3, 7:6 |
| ჰარისონი-**იანგი** | 0:6, 1:6 |
| **ბეკერი**-რამირეს იდალგო | 6:1, 1:6, 6:3 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| გონსალესი-**არუაბარენა** | 1:6, 0:6 |
| **ბეგუ**-შმიედლოვა | 6:3, 6:1 |
| გიბსი-**კოვინიჩი** | 6:4, 3:6, 0:6 |
| კუდრიავცევა-**ირიგოენი** | 2:6, 6:4, 3:6 |
| **ოპრანდი**-მარია | 7:6, 6:1 |
| პფიცენმაიერი-**შაფათავა** | 4:6, 6:2, 2:6 |
| **დუკე მარინო**-სტივენსი | 6:3, 6:3 |
| **ლისარასო**-ვიკერი | 7:5, 6:4 |
| **გარსია**-მოლინერო | 6:3, 6:4 |
| მეირი-**ორმაეჩეა** | 5:7, 1:6 |
| **WTA. კატოვიცე** | |
| პერვაკი-**ვინჩი** | 3:6, 3:6 |
| **პირონკოვა**-ჰლავაჩკოვა | 4:6, 7:5, 6:1 |
| **ა. რადვანსკა**-კრის. პლიშკოვა | 6:3, 6:2 |
| **კუკოვა**-ნიკულესკუ | 6:1, 6:1 |
| ლინეტე-**ზაკოპალოვა** | 4:6, 3:6 |
| დოი-**სოლერ ესპინოსა** | 1:6, 5:7 |
| ფრეში-**მოისბურგერი** | 3:6, 1:6 |
| **კორნე**-დოლონცი | 6:3, 6:2 |
| დუშევინა-**სკიავონე** | 0:6, 2:6 |

ამბები

ჩოგბურთი

## პლეი ოფი დაწყვილებულია

გუშინ, ლონდონში, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფისში გაიმართა დევისის თასის მსოფლიო ჯგუფის პლეი ოფის წილისყრა, რომლის შედეგად რვა ასეთი წყვილი მივიღეთ:

ინდოეთი-სერბეთი
ბრაზილია-ესპანეთი
ისრაელი-არგენტინა
კანადა-კოლუმბია
აშშ-სლოვაკეთი
ავსტრალია-უზბეკეთი
ჰოლანდია-ხორვატია
უკრაინა-ბელგია

თამაშები პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე გაიმართება. ამ შეხვედრებში გამარჯვებულები 2015 წლის სეზონში მსოფლიოს ჯგუფში გამოსვლის უფლებას მიიღებენ. პლეი ოფის მატჩები 12-14 სექტემბერს გაიმართება.

კალათბურთი

## ჟალგირისი უმწვრთნელოდ დარჩა

კაუნასის „ჟალგირისის“ მთავარმა მწვრთნელმა **საულიუს შტრომბერგასმა** პოსტის დატოვების შესახებ გამოაცხადა. სპეციალისტმა ასეთი გადაწყვეტილება კლუბის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო მიიღო. სეზონის ბოლომდე მთავარი მწვრთნელის მოვალეობებს **გინტარას კრაპიკასი** შეასრულებს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში „ჟალგირისმა“ ევროლიგის TOP16-ში შეაღწია, მაგრამ უკვე დიდი ხანია დაკარგა პლეი ოფში გასვლის შანსი. ლიტვის ჩემპიონატში კაუნასელები მეოთხე ადგილზე არიან 12 მოგებითა და 5 წაგებით.

ოლიმპიზმი

## ამერიკული ფეხბურთიც დააფასეს

ამერიკული ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია და მფრინავი დისკის მსოფლიო ფედერაცია საერთაშორისო ფედერაციების ასოციაციის წევრებად დაამტკიცეს. თავის მხრივ, ეს ორგანიზაცია აღიარებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. აგრეთვე საერთაშორისო ფედერაციების ასოციაციამ დაამტკიცა ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციათა ერთ ორგანიზაციად შერწყმა.

ასე რომ, ახლა, საერთაშორისო ფედერაციების ასოციაციაში 34 ორგანიზაცია შედის, რომლებიც საკუთარ სახეობებში საერთაშორისო ტურნირებს ატარებენ. უკვე ნახსენები სამი სახეობის გარდა, აქ გაწევრიანებულნი არიან: სპორტის საჰაერო სახეობების საერთაშორისო ფედერაცია, ავტოსპორტი, ბურთის ჰოკეი, ბასკური პელოტა, ბილიარდი, ბოულსი, ბოულინგი, ბრიჯი, ჭადრაკი, მეკლდეურობა, კრიკეტი, ცეკვები, ფლორბოლი, კარატე, კორფბოლი, სიცოცხლის გადარჩენა, მოტოსპორტი, ალპინიზმი, ნეტბოლი, სპორტული ორიენტირება, პოლო, წყალსამოტორო სპორტი, რაკეტბოლი, გორგოლაჭებიანი სახეობები, სქვოში, სუმო, სერფინგი, ბაგირის გადაწევა, წყლის თხილამურები და ვეიკბორდი, სპორტის წყალქვეშა სახეობები და უშუ.

კრივი

## პოვეტკინი-ორტისი გაუქმდა

სუპერმძიმე წონაში უკვე დაანონსებული ორთაბრძოლა რუს **ალექსანდრ პოვეტკინსა** და კუბელ **ლუის ორტისს** შორის არ გაიმართება. მიზეზი ორტისის გადაჭარბებული ფინანსური მოთხოვნებია.

როგორც იტყობინებიან, კუბელმა ძალიან მაღალი ჰონორარი მოითხოვა. არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მან ეს იმის გამო გააკეთა, რომ უკვე ჰქონდა შეთანხმება სხვა ბრძოლის ჩატარებაზე. შეგახსენებთ, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული WBA-ის „რეგულარული“ ჩემპიონი გახდებოდა და უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსთან** შეხვედრის უფლებას მიიღებდა.

ჰოკეი

## აიზერმანი ტამპაში დარჩა

ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბის „ტამპა ბეი ლაითნინგის“ გენერალურმა მენეჯერმა **სტივ აიზერმანმა** გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება ოთხწლიანია.

*„მადლობას ვუხდი კლუბის მფლობელს იმისთვის, რომ იმ პროცესის გაგრძელების საშუალება მომცა, რომელიც ოთხი წლის დავიწყეთ. გუნდის მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ და სიამოვნებას ვიღებ მუშაობისგან“*, - განაცხადა აიზერმანმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4-ფინალი. საპასუხო მატჩები

# მოურინიომ ბლანს აჯობა

**ჩელსი–პსჟ 2:0 (1:3)**

**გოლები:** 1:0 შიურლე (32), 2:0 ბა (87)

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ივანოვიჩი, კეჰილი, ტერი, ასპილიკუეტა - დავიდ ლუისი, ლამპარდი (66. ბა) - ვილიანი, ოსკარი (81. ფ. ტორესი), აზარი (18. შიურლე) - ეტოო

**პსჟ (4-3-2-1):** სირიგუ - ჟალე, ალექსი, ტიაგო სილვა, მაქსველი - მატუიდი, ვერატი (55. კაბაი), ტიაგო მოტა - ლუკას მოურა (84. მარკინიოსი), ლავეცი (73. პასტორე) - კავანი

**გაფრთხილება:** ვილიანი, ლამპარდი, ივანოვიჩი, დავიდ ლუისი - ვერატი, კავანი, ლუკას მოურა, მაქსველი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 18-11; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 16-13 (10-6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 38 080

დორტმუნდის მსგავსად, საოცარი მატჩი გაიმართა ლონდონშიც, სადაც ყველაფერი ბოლო წუთებზე გადაწყდა. 87-ე წუთზე, „ჩელსი" მინიმალური სხვაობით იგებდა და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ლონდონელებს კიდევ ერთი გოლი სჭირდებოდათ. სწორედ ამ დროს, მასპინძლებს მხსნელად **დემბა ბა** მოევლინათ, რომელიც ფრანგების საჯარიმოში შექმნილ არეულობაში ყველაზე უკეთ გაერკვა და **სალვატორე სირიგუს** კარი დალაშქრა. ამის მერე, პარიზელები მთელი გუნდით წინ წავიდნენ და ერთი კარგი მომენტიც შექმნეს - უკანასკნელ წამებზე, კუთხურის შემდეგ, **ტიაგო მოტამ** საჯარიმოში **მაქსველი** მოძებნა, რომელმაც ბურთი უმეთვალყურეოდ დატოვებულ **მარკინიოსს** დაუგორა, რომლის დარტყმულსაც **ჩეხი** გაუმკლავდა. ამას კიდევ ერთი კუთხური და საფინალო სასტვენი მოჰყვა. 2:0 და პარიზელები ჩემპიონთა ლიგიდან, შარშანდელის მსგავსად, სტუმრად გატანილი მეტი გოლის წესის გამო გავარდნენ.

**ჟოზე მოურინიომ** ტრადიციული ტაქტიკა და შემადგენლობა შეარჩია. დაცვაში ნაცნობი ოთხეული ვიხილეთ, ნახევარდაცვის ცენტრში კი **ფრენკ ლამპარდს** პორტუგალიელმა **დავიდ ლუისი** შეუწყვილა. ძირითადში აღმოჩნდა **სამუელ ეტოოც**, რომელმაც გამოჯანმრთელება მოასწრო. **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** სახით სერიოზული დანაკლისი ჰქონდა პსჟ-ს. ამის გამო, შეტევაში **ლორან ბლანმა ედინსონ კავანი** გაამწესა, ფლანგებზე კი **ლუკას მოურა** და **ესეკიელ ლავეცი** დააყენა.

შეხვედრის დებიუტი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა - „ჩელსის" ლიდერმა და მთავარმა იმედმა, **ედენ აზარმა** ტრავმა მიიღო, რის გამოც, უკვე მე-18 წუთზე მოედანი დატოვა. ბელგიელის ნაცვლად თამაშში **ანდრე შიურლე** ჩაერთო, რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში. გერმანელმა ფეხბურთელმა გოლი 32-ე წუთზე, დავიდ ლუისის მიერ კეფით გაკეთებული პასის შემდეგ გაიტანა.

მეორე ტაიმში შიურლეს დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ მისი უძლიერესი დარტყმა ხარიხამ მოიგერია. ამ ეპიზოდიდან ზუსტად ორ წუთში, პსჟ-ს კარის მიმართულებით საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, რომელიც **ოსკარმა** შეასრულა და ბურთი მანაც ხარიხას მოარტყა. რამდენიმე შანსი პარიზელებსაც ჰქონდათ, მაგრამ რეალური მომენტები ჩეხის კართან არ შექმნილა.

მატჩის ბოლოსკენ მოურინიომ თამაშში **ფერნანდო ტორესი** და **დემბა ბა** ჩართო, რამაც შედეგი ბოლო წუთებზე რომ გამოიღო, ამის შესახებ დასაწყისშიც ვისაუბრეთ. „ჩელსის" მეორე გოლის შემდეგ, პარიზელები წინ კი წავიდნენ, მაგრამ სტუმრებს დრო არ ეყოთ.

საბოლოოდ, მატჩი 2:0 დასრულდა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ჩელსიმ" მეტოქეს აშკარად აჯობა და ნახევარფინალის საგზური დამსახურებულად მოიპოვა.

**ტატო ბაციკაძე**



„ჩელსი" 1/2 ფინალში დემბა ბას ამ გოლმა გაიყვანა



მარკო როისი ანგარიშს ხსნის

# დორტმუნდს ძალა აღარ ეყო

**დორტმუნდი–რეალი 2:0 (0:3)**

**გოლები:** 1:0 როისი (24), 2:0 როისი (37)

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი (81. ობამეიანგი), ფრიდრიხი, ჰუმელსი, დურმი - კირხი, იოიჩი - როისი, მხითარიანი, გროსკროიტცი - ლევანდოვსკი

**რეალი (4-3-3):** კასილიასი - კარვახალი, პეპე, რამოსი, კოენტრაუ - ილიარამენდი (46. ისკო), ალონსო, მოდრიჩი - დი მარია (73. კაზემირო), ბენზემა (90+2. ვარანი), ბეილი

*ანხელ დი მარიამ (17) ვერ გაიტანა პენალტი*

**გაფრთხილება:** როისი, ობამეიანგი - რამოსი, ალონსო, კარვახალი, კასემირო, ბენზემა

**კარში დარტყმა:** 12-10 (6-5) **კუთხური:** 4-2 **თამაშგარე:** 1-0 **ჯარიმა:** 10-10 **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 65 829

**იურგენ კლოპის** გუნდს 1/2-ფინალისთვის სასწაული სჭირდებოდა, თუმცა მან ეს განსაკუთრებული მხარდაჭერის ფონზეც კი ვერ მოახერხა. სისხლისგან დაცლილ „შავ-ყვითლებს" ამისთვის მატჩის ბოლო წუთებზე უბრალოდ ძალა აღარ ეყოთ. საბოლოო ჯამში სამეფო კლუბმა შარშანდელი „ბრიყვული წყენისთვის" რევანში მაინც აიღო.

თამაშის პირველი 16 წუთი მოსაწყენზე უფრო მოსაწყენი გამოდგა. გუნდებმა მთელი დრო დაზვერვას მოანდომეს. მე-17-ზე კი სტუმრებს გამარჯვებულის ვინაობის დასახელება შეეძლოთ. **ლუკა მოდრიჩის** ჩაწოდება **ლუკას პიშჩეკს** ხელზე მოხვდა. **დამირ სკომინას** არც უყოყმანია ისე გაიშვირა ხელი პენალტისკენ. **რომან ვაიდენფელერმა ანხელ დი მარიას** კუთხეც გამოუცნო და დარტყმის სიმაღლეც. თამაში, რასაც ჰქვია, სწორედ ამის მერე დაიწყო. ზუსტად ორ წუთში ანგარიში უნდა გახსნილიყო. **რობერტ ლევანდოვსკიმ** გადასასვლელად გამზადებული ბურთი მოედანზე დააბრუნა, **მარკო როისის** პასის შემდეგ კი **ჰენრიხ მხითარიანს** 3-4 მეტრიდან აუცილებლად უნდა გაეტანა. სომეხი ნახევარმცველი მეორე ტაიმშიც აქტიურობდა. **იკერ კასილიასმა** მას ორი რთული დარტყმა აუღო, ერთხელ კი ჩვენმა მეზობელმა გოლკიპერიც მოატყუა, მაგრამ ძელს ველარ ააცილა.

**კარლო ანჩელოტი** უჩვეულოდ სუსტად მოთამაშე დაცვამ და ნახევარდაცვამ ორჯერ დაალალატა. 24-ე წუთზე **პეპემ** თავურით როისი იკერ კასილიასთან პირისპირ დატოვა. გერმანელმა გოლკიპერი იოლად ჩამოიცილა და ანგარიში გახსნა. 37-ე წუთზე კი **ასიერ ილიარამენდიმ სერხიო რამოსის** პასი ვერ დაამუშავა. კონტრშეტევა ისევ როისმა წამოიწყო და ლევანდოვსკის გადააწოდა. პოლონელის დარტყმა შორეულ ძელს მოხვდა, უკან გადმოვარდნილ ბურთზე კი პირველი ისევ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი გაჩნდა. მოგვეჩვენა, რომ 75-ე წუთზე მარკოს წინააღმდეგ საჯარიმოში თამაშის წესები დაირღვა. მეტოქემ მას უმნიშვნელოდ, თუმცა მუხლში მაინც გაჰკრა. ვარდნა თეატრალური იყო, რამაც ალბათ დააეჭვა კიდეც არბიტრი. სლოვენიელი მთელი თამაშის განმავლობაში იმდენად კარგად უძღვებოდა თამაშს, არ გამოვრიცხავთ, ის ამ შემთხვევაშიც სწორი ყოფილიყო.

ზემოთაც ვთქვით, რომ „დორტმუნდს" ბოლო წუთებზე შტურმისთვის ძალები არ ეყო. დიახ, ეს ასე იყო. პირიქით, კონტრშეტევაზე „რეალს" რამდენჯერმე შეეძლო გატანა, თუმცა ვაიდენფელერმა მეტოქეს ამის საშუალება არ მისცა.

**ლევან ბიბილაშვილი**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

9 772233 382000

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28)

მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:35 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608